http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან



ახალი

უნივერსიტეტი

22 ოქტომბერი, ორშაბათი, 2007 წ. №18 (2063)

ფასი 30 თეთრი

სტუდენტთა გულწრფელი ინტერესები ვაზის ფოთლებში მოელვარე პოლიტიკური ფიქრების წინააღმდეგ

რატომ გააქილიკეს სტუდენტური რთველი კახეთში? — ჩვენ არ ვაპირებთ მთავარი მიზეზის ძიებას ამ კუთხით. არც იმას ვამტკიცებთ, რომ გლეხმა კახეთში ყურძენი ვინმეს დაკვეთით გაჩეხა. თუმცა რა გასაკვირია, ამ ფაქტის გამო სტუდენტები კიდევ უფრო დაინტერესებულიყვნენ, კახელ გლეხებს დახმარებოდნენ და, ამავე დროს, რთველით თავიც გაემხიარულებინათ. ნუთუ ასე იოლია იმ სტუდენტების „კოლექტივიზაციის პროგრამაში" ჩართვა, რომლებიც გზად მიმავალნი „ჩაკრულოს" მღერიან.

მე-8 გვერდზე

რა მანძილია IPAP-იდან NATO-მდე

NATO-ს გენერალური მდივნის იაპ დე ჰოოპ სხეფერის ვიზიტი უნივერსიტეტში

მაია ტორაძე

4 ოქტომბერს საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია NATO-ს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი. ვიზიტის ერთერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მისი სტუმრობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც საჯარო ლექციის შემდეგ სტუდენტებსა და მაღალი რანგის სტუმარს შორის საინტერესო დიალოგი შედგა.

ვიზიტის მნიშვნელობაზე განცხადებები ჯერ კიდევ წინა დღეებში გაკეთდა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ ვიზიტს ისტორიული უწოდა და განაცხადა, რომ საქართველომ NATO-ს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტით, IPAP-ით და ინტენსიური დიალოგის ფორმატით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, ახლა მთავარია, რას გადაწყვეტს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის 26 წევრი ქვეყანა.

იაპ დე ჰოოპ სხეფერმა თავის გამოსვლაში ისაუბრა NATO-ს ღია კარის პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ ალიანსის გაფართოების პროცესი შეუქცევადია და მას ხელს ვერავინ შეუშლის. მთავარია, საქართველომ შეასრულოს NATO-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, რომელიც შეეხება ქვეყნის დემოკრატიული რეფორმირების პროცესს, სასამართლო რეფორმის წარმატებით დასრულებას, სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარებას და სხვა ვალდებულებით ნაკისრი პროგრამების განხორციელებას.

დასმულ შეკითხვებში სტუდენტები კონკრეტულნი იყვნენ. ისინი დაინტერესდნენ, როდის გადავა ქვეყანა IPAP-დან NATO-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP), შეუშლის თუ არა ქვეყანას ხელს კონფლიქტური რეგიონების არსებობა, რა გავლენას მოახდენს ალიანსის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებაზე რუსეთის ფაქტორი.

ბატონ იაპ დე ჰოოპ სხეფერს ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხები არ გაუცია, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში მისი ორი წლის წინანდელი ვიზიტის შემდეგაც კი ცხადად ჩანს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების შედეგები. მისი თქმით, NATO-ში გაწევრიანების პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული ტარნსფორმირების ტემპზე იქნება დამოკიდებული.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის სტუმრობა უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა. „სტუდენტებს უნდათ უსაფრთხო გარემოში სწავლა და ამის გარანტი არის NATO", — განაცხადა მან.

ასეთი მაღალი რანგის ვიზიტ[illegible] შემდეგ, ბუნებრივია, საინტერე[illegible] როგორ შეფასებას აძლევენ [illegible] პოლიტიკური ექსპერტები. ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორს ირაკლი მენაღარიშვილს.

მე-7 გვერდზე

სტუდენტური Press კლუბი

მე- 7–10 გვ.

უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსები არ იყიდება!
მე-2 გვერდზე

თსუ-ში სტუდენტებს დასაკარგი ლექტორები არ ჰყავთ
მე-3 გვერდზე

ინტერვიუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან გულნაზ გალდავასთან
მე-5 გვერდზე

მაღალტემპერატურული ზეგამტაროების საიდუმლო ჯერ კიდევ არ ამოხსნილა
მე-12 გვერდზე

ახალი ინტერპრეტაციები არგონავტებზე
მე-13 გვერდზე

სახელმწიფო არის დროებითი რეალობის ავტონომია

მე-14 გვერდზე

რექტორის ბრძანება

№88/01-01 **03.10.2007**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის სემესტრული დატვირთვის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის სემესტრული დატვირთვა განისაზღვროს 30 კრედიტის ოდენობით.

2. სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით აირჩიოს საგანი არაუმეტეს 34 კრედიტის ფარგლებში, თუ მის მიერ შერჩეული საგნების კრედიტთა ჯამი 30 კრედიტზე ნაკლებია.

3. ბაკალავრიატის მე-8 სემესტრში სტუდენტს უფლება ეძლევა 240 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები არაუმეტეს 40 კრედიტისა.

4. ბრძანების შესრულების უზრუნველყოფა დაევალოს სასწავლო დეპარტამენტს (მ. სვანაძე).

5. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

რექტორი,
პროფესორი გ. ხუბუა

რატომ 34 და არა, მაგალითად, 35 კრედიტი

რექტორის ბრძანების ახსნა-განმარტება სტუდენტებისთვის

3 ოქტომბერს გამოიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის სემესტრული დატვირთვის განსაზღვრის შესახებ.

ბრძანებაში მითითებულია, რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის სემესტრული დატვირთვა განისაზღვრა 30 კრედიტის ოდენობით. ამავე ბრძანებით, სტუდენტს უფლება მიეცა დამატებით აირჩიოს საგანი არა უმეტეს 34 კრედიტის ფარგლებში, თუ მის მიერ შერჩეული საგნების კრედიტთა ჯამი 30 კრედიტზე ნაკლებია, ხოლო ბაკალავრიატის მე-8 სემესტრში სტუდენტს უფლება ეძლევა 240 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები არაუმეტეს 40 კრედიტისა.

აღნიშნული ბრძანება, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორთა აზრით, საჭიროებს განმარტებებს — რატომ განისაზღვრა 34 და არა, მაგალითად, 35 კრედიტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების უფროსის პაატა ტურავას თქმით, იმის გამო, რომ სწავლის ხანგრძლივობა 8 სემესტრია და სტუდენტს, დროის ამ ხანგრძლივობაზე გათვლით, ზოგჯერ 240 კრედიტის დაგროვების პრობლემა ექმნება, ბრძანებაში შევიდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც მათ კრედიტის დამრგვალების საშუალება მიეცათ.

პაატა ტურავა:

— აქამდე სტუდენტები სულ ჩიოდნენ, რომ ირჩევენ საგნებს და ზოგჯერ გამოსდით სემესტრში არა 30, არამედ 28 — 29 კრედიტი, რის გამოც ვერ ასრულებდნენ სწავლას 8 სემესტრში. ამიტომ დავუშვით 34 კრედიტის შესაძლებლობა. ამით ზღვარი დავაწესეთ, რომ არ მოხდეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული 8 სემესტრის ადრე დასრულება.

ბრძანების ამ პუნქტით არ იცვლება ძირითადი პრინციპი — სემესტრული დატვირთვა არის 30 კრედიტი, მაგრამ, როცა სტუდენტი აირჩევს საგნებს და მათი კრედიტების ჯამი არ აძლევს 30-ს, შეუძლია აიღოს დამატებით ერთი საგანი, რომელიც საშუალებას მისცემს, დააგროვოს კრედიტების სათანადო რაოდენობა. ჩვენ არ გვინდა, სტუდენტი სწავლის დასრულებისას ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ამიტომ ვაძლევთ საშუალებას, დაიმატოს კიდევ ერთი საგანი, ოღონდ, საბოლოო ჯამში სემესტრში საგანთა კრედიტების ჯამი არ უნდა იყოს 34 კრედიტზე მეტი. ეს არის ამ პუნქტის მიზანი.

სტუდენტს შეუძლია 40-მდე გაზარდოს კრედიტების რაოდენობა დამამთავრებელ მე-8 სემესტრში

რაც შეეხება ბრძანების შემდეგ პუნქტს, რომლის მიხედვითაც მე-8 სემესტრში სტუდენტს უფლება მიეცა 240 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები, არაუმეტეს 40 კრედიტისა, პაატა ტურავას განცხადებით, ესეც სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ჩაიწერა და განპირობებულია იმ თავისებურებით, რომ ძველი სისტემიდან ახალზე გადასვლა მოხდა. უნივერსიტეტს ჰყავდა დაუსწრებელი და ერთსაფეხურიანი სწავლების სტუდენტები. მათთვის კრედიტების დაგროვება სხვა სისტემით იყო გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება დააკლდეთ რამდენიმე კრედიტი, რის გამოც მათ აღარ დასჭირდებათ დამატებითი სემესტრის გავლა. ამიტომ გარდამავალი პერიოდისთვის დაშვებულია გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს შეუძლია 40-მდე გაზარდოს კრედიტების რაოდენობა, ოღონდ მხოლოდ დამამთავრებელ, მე-8 სემესტრში.

პაატა ტურავა:

— ჩემი აზრით, ძალიან სამართლიანია, რომ 40-მდე ვზრდით სტუდენტების შესაძლებლობას ბოლო სემესტრში და არ ვთხოვთ, 5 ან 10 კრედიტის დაკლების შემთხვევაში დამატებით გაიაროს ერთი სემესტრი. თუმცა ეს არის გამონაკლისი გარდამავალი პერიოდისთვის. სხვა შემთხვევაში შენარჩუნებულია 30 კრედიტი.

უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსები არ იყიდება!

ამ ინფორმაციას პირიქით ნუ გავავრცელებთ

მაია ტორაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თემა ყველა დროში აქტუალური იყო როგორც განათლების მესვეურთათვის, ასევე პოლიტიკური პარტიებისთვის, რომელთაც ამ თემით მანიპულირება საარჩევნო ქულების ჩაწერის საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ. ამჯერად უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ მოექცა მათი „მაღალი ყურადღების“ ქვეშ.

გავრცელებულმა ცნობამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსი კორპუსის ინვესტორისთვის გადაცემის თაობაზე, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ხოლო პოლიტიკურ პარტიათა ნაწილმა „მეორედ მოსვლის“ ასოციაცია შექმნა. „იყიდება უნივერსიტეტი!“, ამ ლოზუნგით ტელევიზიითა და პრესით არა ერთი ნაცნობი პოლიტიკოსის „შეშფოთებული“ სახე ვიხილეთ, თუმცა არსად მოგვისმენია ლოგიკური დასაბუთება — რით არის ვაკეში არსებული რამოდენიმე ამორტიზირებული შენობის ინვესტორისთვის გადაცემა ცუდი, თუკი სანაცვლოდ უნივერსიტეტი მიიღებს თანამედროვე, უახლესი ტექნიკითა და ლაბორატორიებით აღჭურვილ კამპუსს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიან წევრად აქცევს? სხვათა შორის, ერთერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც ვინაობის გამხელა არ უსურვებია, უნივერსიტეტის კორპუსების ხელშეუხებლობის ერთერთ არგუმენტად შენობების ვაკის ტერიტორიაზე არსებობას ასახელებს მხოლოდ ერთი მოტივით, იარონ და ისწავლონ ვაკეში(?!) მათმა შვილებმაც.

პესიმისტებისთვის დამამშვიდებელი არ აღმოჩნდა ის გარემოებაც, რომ სწორედ ვაკეში მდებარე პირველი და მეორე ისტორიული კორპუსები უნივერსიტეტის მფლობელობაში რჩება. ამასთან საუნივერსიტეტო ქალაქის აშენებამდე ძველ კორპუსებში ჩვეულებრივ გაგრძელდება სასწავლო პროცესი.

განსხვავებით ოპონენტთაგან, ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას მყარი არგუმენტებით ასაბუთებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და რექტორატი. მეტიც, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა აცხადებს, რომ უნივერსიტეტის არც ერთი შენობა არ იყიდება:

— მოხარულნი ვართ, რომ ქართულ უნივერსიტეტს აქვს ასეთი კარგი პერსპექტივა — მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება ახალი, თანამედროვე საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა. მასში განთავსდება არა მარტო ულტრათანამედროვე სასწავლო ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები და აუდიტორიები, არამედ სტუდენტური ცხოვრებისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი — იქნება ეს სპორტული, კულტურული თუ სხვა ღონისძიებებისთვის აუცილებელი ნაგებობები. შეიძლება ეს ვიღაც-ვიღაცებს არ მოსწონთ, მაგრამ უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესურას ახალი ინიციატივა ნამდვილად ახარებთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს სტუდენტებს საუნივერსიტეტო ქალაქი შესაძლებლობას მისცემს, რომ იცხოვრონ სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებით, ჰქონდეთ სწავლის და დასვენების თანამედროვე პირობები.

საუნივერსიტეტო ქალაქის აშენებამდე უნივერსიტეტის ყველა კორპუსში სწავლა გაგრძელდება იგივე რეჟიმით, როგორც ახლა მიმდინარეობს. ამ დრომდე, არც ერთი აუდიტორია არ დაიცლება. რაც შეეხება პირველ და მეორე კორპუსებს, არა ერთხელ გვითქვამს და კვლავ გავიმეორებ, რომ ეს კორპუსები არის უნივერსიტეტის ისტორია. რაც არ უნდა ულტრათანამედროვე ქალაქის გაშენებაზე ვიფიქროთ, პირველი ქართული უნივერსიტეტის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი პირველი და მეორე კორპუსი აქ დარჩება და მეტიც, მისი გარემონტება, საავარაუდოდ, მომავალი წლისთვის იგეგმება. მომავალ წელს, მოგეხსენებათ, ჩვენ ვზეიმობთ უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს.

ახალი კადრი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ახალი დეკანის მოვალეობის შემსრულებელი — ნოდარ ბელქანია ჰყავს

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ახალი დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს. 17 ოქტომბერს უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნულ თანამდებობაზე ამავე ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი ნოდარ ბელქანია წარადგინა, თუმცა მისი დანიშვნის თაობაზე ოფიციალური ბრძანება ჯერ არ დაწერილა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ნოდარ ბელქანიას დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც იოსებ სალუქვაძემ თანამდებობიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა. იგი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას წელიწადნახევრის განმავლობაში ასრულებდა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის 6 სასწავლო-სამეცნიერო მიმართულება: სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის; პოლიტიკის მეცნიერებათა; საერთაშორისო ურთიერთობების; ჟურნალისტიკის; ფსიქოლოგიის; სოციოლოგიის.

გამოცდა

დაფინანსდება მაგისტრანტთა ის 10 %, ვინც სპეციალობაში მაღალი ნიშანი მიიღო

2007-2008 სასწავლო წლისთვის თსუ-ში დასრულდა მაგისტრატურაში მისაღები კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საერთო რაოდენობა 1 011 იყო. მათგან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურაში აბარებდა 159, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე — 161, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 153, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე — 205, იურიდიულზე — 287, მედიცინის ფაკულტეტეზე — 5, ევროპამცოდნეობაზე — 39.

მისაღები გამოცდები წარმატებით გადალახა 338-მა კონკურსანტმა. მათგან: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 56-მა; ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე — 68-მ; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 71-მა; ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე – 41-მა; იურიდიულზე — 76-მა; მედიცინის ფაკულტეტეზე — 4-მა; ევროპამცოდნეობაზე — 22-მა.

რაც შეეხება მაგისტრანტთა დაფინანსების პრობლემას, დაფინანსდება მაგისტრანტთა ის 10 %, ვინც სპეციალობაში მაღალი ნიშანი მიიღო.

მარტში ჩარიცხულ 54 წარჩინებულ მაგისტრანტს კი, შეთანხმებისამებრ, მიეცემა სემესტრული დაფინანსება.

რაც შეეხება დოქტორანტურას, კონკურსი ჯერ არ დასრულებულა.

როგორც სასწავლო დეპარტამენტის დოქტორანტურისა და მაგისტრატურის განყოფილების გამგემ ქეთევან გურჩიანმა განაცხადა, დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველთაგან ძირითადი კონტინგენტი ძველი ასპირანტები და მაძიებლები იყვნენ. ჯერჯერობით ჩატარებულია გამოცდები უცხო ენაში.

ინგლისურში გამოცდას ატარებდა ბრიტანეთის საბჭო. 166 კონკურსანტიდან მინიმალური ზღვარი გადალახა 74-მა.

ფრანგულში გამოცდა ჩაატარა საფრანგეთის საელჩომ. ზღვარი გადალახა 16-მა კონკურსანტმა;

გერმანულში გამოცდა ჩაიბარეს გოეთეს ინსტიტუტში და 7 მსურველიდან მხოლოდ 5 გააგრძელებს გამოცდებს.

რა მანძილია IPAP-იდან NATO -მდე

NATO-ს გენერალური მდივნის იაპ დე ჰოოპ სხეფერის ვიზიტი უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

— ბატონო ირაკლი, რა შეფასებებს მისცემთ NATO-ს გენერალური მდივნის სტუმრობას საქართველოში. რით იყო ის გამორჩეული?

— NATO-ს უმაღლესი ოფიციალური პირების ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში სიურპრიზი აღარ გახლავთ. საქართველო ნატოსთან ინტენსიური დიალოგის რეჟიმში მუშაობს. საქართველო ის ქვეყანაა, რომლისთვისაც ალიანსის წევრობა სტრატეგიული არჩევანია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო მორიგი სამუშაო ვიზიტი და არ იყო დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან, მაინც მნიშვნელოვანი გახლდათ.

— უნივერსიტეტის სტუდენტებს დასმულ შეკითხვებში აშკარად ემჩნეოდათ, რომ უფრო კონკრეტული საუბრის მოლოდინში იყვნენ და კითხვებიც კონკრეტული დასვეს. ზოგიერთს, ცოტა, ზოგადი მოეჩვენა სხეფერის გამოსვლა.. რით შეიძლება ეს აიხსნას?

— მე არ დავსწრებივარ სხეფერის უნივერსიტეტში გამოსვლას, მაგრამ თუკი ეს შეკითხვები ეხებოდა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების ფორმას, დროს და ვადას, მაშინ არ გამიკვირდება, თუ ამგვარი შეკითხვის ავტორს ბატონი სხეფერის პასუხი ზოგადად მოეჩვენა.

ვერც ნატოს გენერალური მდივანი და ვერც ალიანსის რომელიმე სხვა ოფიციალური პირი, თავს უფლებას ვერ მისცემს, განაცხადოს რაიმე დროითი განზომილების თაობაზე, იმიტომ, რომ ყველაფერი საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესზეა დამოკიდებული. ამის იქით, მისი მხრიდან რაიმე კონკრეტულის თქმა უპასუხისმგებლობა იქნებოდა. ამიტომ ნუ გაგვიკვირდება და გული ნუ დაგვწყდება იმაზე, თუ ბატონი სხეფერი კონკრეტულ ვადაში რაიმე საკითხის გადაწყვეტას არ დაგვპირდა. ამის მანდატი მას, უბრალოდ, არ გააჩნია.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარების დამადასტურებელი უახლოესი ტესტი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებია. ჩვენმა ქვეყანამ ბოლო პერიოდში არაეთხელ დაადასტურა, რომ შეუძლია სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარება. კიდევ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს ტესტი წარმატებით ჩავაბაროთ?

— არჩევნები არ არის ერთადერთი თემა, რომელიც ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის გასაზომად გამოიყენება. აქ საუბარია იმაზე, თუ რას ეფუძნება ქვეყნის სტაბილურობა და უსაფრთხოება — დემოკრატიულ ინსტიტუტებს, მათ ეფექტურ ფუნქციონირებას, თუ ვინმეს, თუნდაც კეთილგონიერი, ჭკვიანი, ძლიერი ხელის მქონე მმართველის პოლიტიკურ ნებას. კარგად არის ცნობილი, რომ მყარი და საიმედო მხოლოდ პირველი ტიპის სტაბილურობა გახლავთ. ამის დადასტურება საქართველოს მხრიდან იქნება ის, რომ ქვეყანამ განვითარების დემოკრატიული გზა აირჩია. არჩევნებზე ეს უნდა დადასტურდეს, თუმცა მისი ყველაზე დემოკრატიულად და წარმატებით დასრულებაც კი ამის საკმარისი არგუმენტი არ იქნება. საქართველომ, ასევე, წარმატებით უნდა განახორციელოს სხვა მოთხოვნებიც.

— აქამდე ჩვენ ვიცოდით ერთი ქვეყანა, რუსეთი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. სწორედ სხეფერის ვიზიტის წინ გაჟღერდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომელშიც გამოთქმული იყო შენიშვნები საქართველოს მიმართ. რით იყო ეს გამოწვეული და როგორ შეაფასებდით ამ განცხადებას?

— ჩვენ ერთმნიშვნელოვნად უნდა გვესმოდეს, რომ კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესების, ქვეყნის დემოკრატიულობის, ტრანსფორმაციის ტემპის და სხვა ფაქტორების მიმართ, სულაც არ ნიშნავს წინააღმდეგობის გაწევას ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციისათვის. როგორც წესი, თქვენდამი მაქსიმალურად კრიტიკული თქვენივე კეთილისმყოფელია იმისათვის, რომ უკეთესი გახდეთ. ამ კრიტიკის მიზანი მხოლოდ ეს გახლდათ.

რუსეთი სხვა შემთხვევაა. იქ არც მალავენ, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია მათი სტრატეგიული ინტერესების საწინააღმდეგოა, ხოლო ევროპის ყველა, და, მათ შორის, ალიანსის წევრი ქვეყნების ინტერესებშია, საქართველო სრულად შეესაბამებოდეს ალიანსის წევრობის მოთხოვნებს.

ასე რომ, რუსეთის პოლიტიკურ კურსსა და იმ ქვეყნების განცხადებებს შორის, ვინც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს კრიტიკულად უყურებს, პარალელს ნუ გავავლებთ. ეს ერთი და იგივე მოვლენა არ გახლავთ.

— როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელოვნური ბარიერები არ შეექმნება. მით უფრო საინტერესოა, რით შეუძლია რუსეთს ხელი შეგვიშალოს?

— ერთი ინსტრუმენტი, რომელიც ამ მიზნით არის გამოყენებული, უკვე ნათელია — ეს არის კონფლიქტები და კონკრეტული სიტუაციის გამწვავების პერსპექტივა. საქართველოში ძალადობის პროვოცირება, თუკი ჩვენი ამ მახეში გაბმა მოახერხა ვინმემ, იქნება ის წერტილი, რომელიც დაესმება საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ამიტომ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და ქვეყნის შიგნით შერიგების პროცესის მხოლოდ მშვიდობიანი გზის მომხრენი ვართ, აბსოლუტურად გულწრფელი უნდა ვიყოთ და უნდა დავამტკიცოთ, რომ მართლაც ასეა. თამაში ნაციონალურ გრძნობებზე და სენტიმენტებზე ძალიან ადვილია და ეს ჩვენმა ისტორიამ კარგად იცის. ასე რომ, ვისაც სურს, საქართველომ ნაბიჯი ვერ გადადგას დასავლეთით, მისთვის უპირველესი ინსტრუმენტი ამგვარ სიმებზე თამაში გახლავთ. აქ უნდა გამოჩნდეს ჩვენი საზოგადოების სიმწიფე და პოლიტიკური ელიტის მზაობა — წინ აღუდგეს ამგვარ მცდელობებს.

— ნატომ შეცვალა განათლებისა და მეცნიერების პროგრამების მიმართულება, რაც თავის გამოსვლაში დაადასტურა ბატონმა სხეფერმაც. რა მიმართულება შეიძინა მან, რა ნიშა უნდა დაიკავოს მეცნიერებამ ნატოს განვითარების პროგრამებში?

— რაიმე განსაკუთრებული და პრინციპული ცვლილება არ მომხდარა. შეიცვალა მხოლოდ თემატიკა იმ სამეცნიერო კვლევებისა, რომელსაც უახლოეს პერიოდში მხარს დაუჭერს ალიანსი. საქართველოსთვის მთავარი არის ის, რომ თავისი ადგილი ნახოს ალიანსის მუშაობის ყველა სფეროში, მათ შორის, სამეცნიერო თანამშრომობის კუთხით, მით უმეტეს, საქართველოს ამის სერიოზული პოტენციალი გააჩნია.

პასუხი

თსუ-ში სტუდენტებს დასაკარგი ლექტორები არ ჰყავთ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დისკრედიტაციისთვის ცხელ-ცხელი ამბების შეთხზვის სააგენტო, ალბათ, სპეციალურ შტაბ-ბინაშია განთავსებული, საიდანაც შიკრიკი პრესას პერმანენტულად ცრუ ან გადაუმოწმებელ ინფორმაციას აწვდის. მიზანი ერთია — პირველ ქართულ უნივერსიტეტს, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით სტუდენტთა საუკეთესო ნაწილი უცხადებს ნდობას, საფუძველი შეურყიონ, პირველ რიგში, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ლანძღვით და მიმდინარე საუნივერსიტეტო რეფორმის დაკნინებით. როგორც კი ოფიციალურმა წყაროებმა დაადასტურეს ინფორმაცია, რომ მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ევროპული სტანდარტის საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობაა დაგეგმილი და, რაც ყველაზე მთავარია, პირველი და მეორე კორპუსები არ იყიდება, მავანთ დროებით შემოაკლდათ უნივერსიტეტის „დამაქცევართა“ საჯიჯგნი თემები. თუმცა შიკრიკმაც არ დააგვიანა...

ნინო კაკულია

„ხუბუას უნივერსიტეტში კრიზისი იწყება?“ — პოლიტიკურად ანგაჟირებულთა ლექსიკონს იყენებს და ასეთ კითხვას სვამს გაზეთ „ალიას“ კორესპონდენტი, რომელმაც სათაურშივე დაასკვნა, რომ „სტუდენტები მცოდნე და მომთხოვნ ლექტორებს უმუშევრად ტოვებენ“. სამწუხაროა, როდესაც ყოველივე ქართულის დაცვაზე ორიენტირებული ჟურნალისტი ოპონირებს უნივერსიტეტებში ევროპული ღირებულებების დამკვიდრების თემას — ესოდენ დრომოჭმული პროპაგანდა სწორედ რომ ვეღარ წაადგება ქართულ სინამდვილეს. ამის ახსნას ფაქტებით შევეცდებით, რადგან არ ვაპირებთ ადვილად „თავშიხელწამოსარტყამი“ გავხადოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც გაორმაგებულ პასუხისმგებლობას გრძნობს იმ სტუდენტების წინაშე, რომელთაც არჩევანი ჩვენს უნივერსიტეტზე გააკეთეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 100 %-იანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს, სასწავლო წლის დაწყებისთანავე ლექტორის მიზეზით ზოგიერთი ლექციის გაცდენაზე პროტესტი დეკანთან უმალ გამოხატეს და უნივერსიტეტში მოქმედი გაცვლითი პროგრამების სქემით უკვე დაინტერესდნენ კიდეც. ეს სწორედ იმის მანიშნებელია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ის თაობა მოდის, რომელსაც სასწავლებლის ხელმძღვანელობა არა თუ ვერ „მოისყიდის“, არამედ ვერც მოახვევს თავს საკუთარ შეხედულებებს. თანაც, ამის სურვილი უნივერსიტეტის წარმატებაზე ორიენტირებულ ადამიანებს — რექტორი იქნება იგი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თუ სხვა თანამშრომელი, ნამდვილად არ აქვს. ამ წარმატებას კი ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩვენი ადაპტაციის უნარიანობა განაპირობებს. სწავლების ახალ სისტემაზე გადასვლა, რასაც ბოლონიის პროცესში თანამონაწილეობა გვკარნახობს, იმ თეზისის დაცვასაც მოიცავს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტზე ორიენტირებული გარემო შეიქმნას.

„სტუდენტი ირჩევს, სტუდენტი აფასებს“ — წესიერად ჯერაც ვერ ამოქმედებულ ამ „მუხლს“ თუკი ისეთ ინტერპრეტაციას დავურთავთ, რომ იგი უნივერსიტეტიდან კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა გარიყვის მიზნით დაგებული ხაფანგია, მაშინ ადვილი მისახვედრია, საიდან შეიძლება მოდიოდეს ასეთი „ახლომხედველობა“, რომლის პირველწყარო აგრესიაა. არავინ უარყოფს იმას, რომ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი, სასწავლო პროგრამები დასახვეწია, მაგრამ გულდასაწყვეტია ის, რომ რექტორატის არაერთ მცდელობას, უნივერსიტეტში შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრი, მიუხედავად მისი შეხედულებებისა და პოლიტიკური მრწამსისა, პრესაში დადებითი შეფასება ერთხელაც არ მოჰყოლია. თითქმის არ შუქდება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და თსუ-ის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების, მათთან თანამშრომლობის რეალური გეგმების ამსახველი ინფორმაციები. რატომ? ეს ხომ უნივერსიტეტის პრესტიჟია, სახელია, ავტორიტეტია, დამატებითი გრანტებია... თუკი ვინმეს ჰგონია, რომ საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონტაქტები ხელს შეუშლის ქართული, ეროვნული ფასეულობების დაცვას ამ სფეროში, ეს მისი პრობლემაა.

ახლა კი უფრო კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რამდენად რეალურად დაინერგა უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ საგნების არჩევასთან ერთად ლექტორის არჩევის პრაქტიკა? გაამართლა თუ არა ასეთმა ექსპერიმენტმა რომელიმე ფაკულტეტზე? მართლაც ირჩევენ თუ არა სტუდენტები ლოიალურ და უცოდინარ ლექტორებს? შეიძლება თუ არა, ამ წესმა შვას ახალი უკანონობა — კონკურსის წესით შერჩეულ პროფესორთა სტუდენტის ძალისხმევით გარიყვა? იდევნება თუ არა ვინმე პოლიტიკური შეხედულების გამო უნივერსიტეტის წიაღიდან? რამდენად დაემუქრა საფრთხე ქართულ ფასეულობებს პირველ ქართულ უნივერსიტეტში? — ეს კითხვები შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ დასკვნების გაკეთებას კონკრეტული მაგალითების მოყვანა ჭირდება. ამ მიზნით მივმართეთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირინე დარჩიას, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ გაზეთ „ალიაში“ დაბეჭდილ სტატიაში მისი თითქმის ყველა კომენტარი დამახინჯებულია. ჩვენ არ დავიწყებთ ამის გარჩევას, თუმცა შევეცდებით ჩვენს ძირითად კითხვებზე ქალბატონი ირინასგან პასუხები მოვისმინოთ.

— ჩვენს უნივერსიტეტში რამდენად ხორციელდება ახალი წესი: „სტუდენტი ირჩევს, სტუდენტი აფასებს“, ანუ ისინი საგნებთან ერთად ირჩევენ თუ არა ლექტორებსაც?

— მე შემიძლია განვაცხადო, რომ ლექტორების შერჩევა ყველა ფაკულტეტზე არ ხდება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამის გამოცდილება აქვს მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტს. ტექნიკური მიზეზების გამო სხვაგან ეს ვერ განხორციელდა.

— ანუ ჩვენს პრაქტიკაში იმის ალბათობა, რომ სტუდენტმა ლექტორის გადარჩევით ის შეიძლება უმუშევარიც კი დატოვოს, აბსურდია?

— ჩემთვის ერთადერთი ფაქტია ცნობილი, როდესაც ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სტუდენტებმა გამოთქვეს პროტესტი ერთ ლექტორთან მიმართებაში და შემდეგ სემესტრში მისი მხოლოდ ჩანაცვლება მოხდა.

— რა კრიტერიუმია გადამწყვეტი ლექტორის შერჩევისას?

— წესით, გადამწყვეტი უნდა იყოს პროფესორის სილაბუსი, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ რა პროგრამით ასწავლის ის სტუდენტს. მნიშვნელობა აქვს იმასაც, ვის როგორი იმიჯი აქვს. მაგრამ ჩვენთან ამ წესის შემოტანა, ვფიქრობ, ადრეა.

ზოგადად, სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი აფასებს სალექციო კურსს და, შესაბამისად, ლექტორს. ჩვენ ამის გაკეთება ვცადეთ შარშან, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო კითხვარების დამუშავება ვერ მოხერხდა.

მე-4 გვერდზე

თსუ-ში სტუდენტებს დასაკარგი ლექტორები არ ჰყავთ

მე-3 გვერდიდან

შემდეგ შევთანხმდით, რომ სჯობს, ეს მოხდეს ინტერნეტის საშუალებით და სტუდენტთა გამოკითხვა ჩაჯდეს რეგისტრაციის პროგრამაში. მომდევნო სემესტრში ჩვენ ამას დავნერგავთ. მინდა გითხრათ, რომ საზღვარგარეთ უნივერსიტეტებში, როდესაც სტუდენტი აფასებს სალექციო კურსს და ლექტორს — ეს მასალა იდება ლექტორის პირად საქმეში. ე.წ. პორტფოლიოში. ლექტორების დაწინაურების ან მათთვის ხელშეკრულებების გაგრძელების დროს ითვალისწინებენ სტუდენტთა შეფასებებს. ანუ, სხვა კრიტერიუმებთან ერთად ხდება სტუდენტების აზრის გათვალისწინებაც. სტუდენტების აზრი არ არის განმსაზღვრელი, ის არის ერთერთი ინდიკატორი, რამეთუ თეორიულად შეიძლება იყო ნობელის პრემიის ლაურეატი და სიმკაცრის გამო სტუდენტებს მართლაც არ მოეწონო. „ალიასთან“ ინტერვიუში მე არ მითქვამს ფრაზა, რომ სტუდენტების მიერ არასასურველი ლექტორის გადაყენების უფლება დასავლური სტანდარტია. ასეთ რამეს ვერ ვიტყოდი, რადგან დასავლეთის უნივერსიტეტებშიც არ არის ასე მარტივი ლექტორის გადაყენება. ასეთი რამ არსად არ ხდება.

— ანუ კრიტერიუმი „მკაცრი“ ჩვენს პრაქტიკაში არ იქნება ლექტორის გადარჩევისთვის საკმარისი არგუმენტი?

— ეს არ იქნება გადამწყვეტი. ისე უნდა გითხრათ, რომ დღეს სხვა სტუდენტობა მოდის. მე როცა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დავინიშნე, პირველი „კულტურული შოკი“ მივიღე, როდესაც სტუდენტები მოვიდნენ საჩივრით, რომ ლექციები გვიცდება და გვიშველეთო. ჩემი სტუდენტობის დროს ასეთი რამ გამორიცხული იყო. დღეს სტუდენტმა იცის, თუ არ გახდა თავისი საქმის პროფესიონალი, შეიძლება უმუშევარი დარჩეს. ამას ემატება ის მოტივაციაც, რომ სტუდენტი სწავლაში ფულს იხდის. ამიტომ მეტ პასუხისმგებლობასაც გრძნობს სწავლის მიმართ. ეს არის აშკარა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირინე დარჩიას განმარტების თანახმად (სტუდენტის მიერ ლექტორის არჩევის პრაქტიკა, რეალურად, იურიდიულ ფაკულტეტზე არსებობს), ჩვენ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს ნანა ჭიღლაძეს მივმართეთ ანალოგიური შეკითხვებით. აღმოჩნდა, რომ მას სტატისტიკაც კი აქვს, თუ რომელ ლექტორს რა ნიშნით ირჩევენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები. „როგორ გგონიათ, კარგი ლექტორი გაირიყება? უკვე მეხუთე სემესტრია, ფაკულტეტზე საგნებთან ერთად ლექტორებსაც ირჩევენ და არანაირი გამოცდილება არ ადასტურებს იმას, რომ მკაცრი ლექტორის შემთხვევაში სტუდენტი არჩევანს მის სასარგებლოდ არ აკეთებს. მე მგონია, რომ ეს პრაქტიკა სერიოზულად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტში პროფესიონალთა „დამაგრების“ პროცესს. ჩვენ გვაქვს ყველანაირი სტატისტიკური მონაცემი, კერძოდ: — ლექტორებს, რომლებიც წერენ არადამაკმაყოფილებელ ქულებს, თუნდაც დიდი რაოდენობით, მეორე სემესტრში კვლავ ირჩევენ. მე მგონია, რომ რაღაც ეტაპზე, სტუდენტების არჩევანის ფონზე მკვეთრად გამოიკვეთება, როგორი ლექტორები ჭირდება თანამედროვე უნივერსიტეტს. ასეთი ლექტორების მახასიათებელი იქნება არა ლოიალობა, არამედ პროფესიონალიზმი“, — განაცხადა ნანა ჭიღლაძემ ჩვენთან საუბრისას.

რაც შეეხება იმ თემას, რამდენად შესაძლებელია ყველა ფაკულტეტზე ამ წესის ამოქმედების შემთხვევაში ლექტორის უმუშევრად დატოვება, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მერაბ სვანაძის განმარტებით, კონკურსის წესით არჩეული აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტიდან ვადამდე ადრე დათხოვნა ყოვლად წარმოუდგენელია. სტუდენტების მხრიდან ლექტორთა არჩევა კი ჯგუფების გადანაწილების დროს ხდება. „ვთქვათ, ლექციას

ატარებს პედაგოგი და მსმენელია 100 სტუდენტი. პრაქტიკული მეცადინეობა, როგორც წესი, ტარდება 25 სტუდენტთან. ამ შემთხვევაში ფაკულტეტი 4 პედაგოგს ჯგუფის შექმნას სთავაზობს. სტუდენტს შეუძლია ამ ჯგუფებიდან აირჩიოს ერთერთი“, — განაცხადა მერაბ სვანაძემ. ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან დარეჯან თვალთვაძესთან საუბარში გავარკვიეთ, რომ იურიდიული ფაკულტეტის გარდა, ლექტორებს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზეც ირჩევენ. „მაღალ კურსებზე, სადაც 200-400 სტუდენტი სწავლობს, სტუდენტს შეუძლია საგანთან ერთად აირჩიოს ლექტორიც. ეს პრაქტიკა ჩვენს ფაკულტეტზე არსებობს. მაგალითად, ენათმეცნიერების შესავალი 380-მდე სტუდენტმა აირჩია. ბუნებრივია, ამ 380 სტუდენტს ერთი ლექტორი ვერ მოემსახურება. იქ რამდენიმე პედაგოგია შეთავაზებული და, ამ შემთხვევაში, სტუდენტს, ვისთანაც უნდა, იმასთან ჩაეწერება. მაგრამ სემინარის დონეზე ფართო არჩევანი ყველა საგნის მიხედვით ჯერ არ გვაქვს. არის საგანი, რომელსაც კითხულობს ერთი პედაგოგი და მას ვერ აირჩევენ. გვქონია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სტუდენტები ირჩევენ ლოიალურ ლექტორებსაც, მაგრამ, ძირითადად, მოსწონთ ისეთი ლექტორები, რომლებისგანაც, ცოდნის თვალსაზრისით, მეტს მიიღებენ და რომელთა კომპეტენტურობაშიც დარწმუნებულნი არიან“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის თავმჯდომარე თორნიკე ხუციშვილი კი უფრო კონკრეტულად საუბრობს სტუდენტების არჩევანის პრინციპზე და აცხადებს, რომ გარდა ცოდნისა, ლექტორი ურთიერთობის ხელოვნებასაც უნდა ფლობდეს, რათა მან სტუდენტების სიმპათია დაიმსახუროს. „მე მივესალმები „სიმკაცრეს“ განათლების კუთხით. როცა ლექტორი სტუდენტისგან გაცემული ინფორმაციის უკან მიღებას ადეკვატურად მოითხოვს, ეს აუცილებელიც კია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან თუ სტუდენტების მხრიდანაც, ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია, რომ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ჩვენი ლექტორები გარეთ ასე პანტა-პუნტით ვისროლოთ, რადგან სპეციალისტების სერიოზული კრიზისია. ამიტომ საჭიროა, ეს ინტელექტუალური ძალა უნივერსიტეტმა შემოიკრიბოს და მეეჭვება, რომ ვინმეს, მათი პიროვნული და, მით უფრო, პოლიტიკური ნიშნით უნდოდეს აქედან მათი გაშვება“. — განაცხადა თორნიკე ხუციშვილმა.

უნივერსიტეტის მისამართით გამოთქმულ ბრალდებას — თითქოს საბაკალავრო სასწავლო პროგრამები დასავლეთის უნივერსიტეტებიდან პირდაპირ არის გადმოწერილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირინე დარჩია პასუხობს: „გაზეთ „ალიასთან“ ინტერვიუში მე ვსაუბრობდი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე, რომლის დახვეწის დროსაც ქართული ტრადიციების გათვალისწინებაც მოხდა. რამდენადაც ვიცი, დასავლეთის უნივერსიტეტებიდან გადმოღებული საბაკალავრო სასწავლო პროგრამა მხოლოდ ამ ფაკულტეტზეა.

ეკონომიკაში გვიჭირს სპეციალისტები — ეს არის ბუნებრივი. საბჭოთა პერიოდში ყველაზე მეტად იდეოლოგიზირებული იყო პოლიტოლოგია და ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, ამ სფეროებში დასავლური გამოცდილების გაზიარება უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში ან ბიოლოგიაში...“, — აღნიშნა ქალბატონმა ირინამ. ნამდვილად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როცა თავის მართლება გიწევს იმ საკითხზე, რაც ჩვენი უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ადგილის დასამკვიდრებლად ესოდენ მნიშვნელოვანია და რის გადაჭრასაც, პირველ რიგში, სტუდენტები ითხოვენ.

ვაკნინებთ თუ არა ამით „ყველაფერ ქართულს“ უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამ თემაზეც ძალიან ხშირად ხდება იძულებული — თავი იმართლოს მაშინ, როდესაც ფაქტები ზედაპირზე დევს და ახალი სასწავლო პროგრამებით ახალ სასწავლო სისტემაზე გადასვლის მოტივაციის ახსნასაც არავინ გაურბის. „თუ ჩვენი ფაკულტეტის მასშტაბით ვილაპარაკებთ, აქ არანაირი საშიშროება იმისა, რომ ქართული აღმოიფხვრას, ჩვენი სასწავლო პროგრამებიდან ამოვიღოთ ქართული ენა, კულტურა თუ ისტორია, არ არსებობს. პირიქით, საქართველოს ისტორია ჩვენ სავალდებულო საფაკულტეტო საგნებში გვაქვს შეტანილი. ის საგნები, რაც უნივერსიტეტში ისწავლებოდა დღიდან მისი დაარსებისა, ისწავლება დღესაც. წელს ქართული ფილოლოგიის შესწავლის სურვილს 150 პირველკურსელი გამოთქვამს. რაც შეეხება სხვა მიმართულებებისთვის ქართულის შეთავაზებას, მოგეხსენებათ, ახალი სისტემის თანახმად, ეს სტუდენტის არჩევანზეა დამოკიდებული,“ — განმარტავს დარეჯან თვალთვაძე.

სხვათაშორის, მინდა აღვნიშნო, რომ მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში არაერთი საინტერესო ღონისძიება იმართება ქართული ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის თემებზე, დარბაზი ხალხით არც თუ ისე სავსეა ხოლმე. მასმედია კი ასეთი ლექციების მიმართ ყურადღებას საერთოდ არ იჩენს.

თუკი ჩვენს ქვეყანაში დღეს ის თემაა სადავო, თუ რატომ ვაძლევთ სტუდენტებს თავისუფალი არჩევანის საშუალებას, მაშინ გამოდის, რომ არათუ წინ, არამედ უკანაც არ ვიხედებით. ყველას მართებს თვალი გაუსწოროს რეალობას — დღეს ახალგაზრდობას ნაკლებად თუ მოახვევ თავს შენს შეხედულებას ან ინტერესს. აკრძალვით კი გარემოს მიმართ პროტესტს უფრო ადვილად გაუჩენ. დღეს სხვა დროა და სხვა ვითარება. ამდენად, როდესაც სტუდენტების არჩევანს ვეხებით, იმაზეც დავფიქრდეთ, დღევანდელმა ახალგაზრდობამ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე უფროსი თაობის რა ღირებულებები, რა თვისებები და რა ხასიათი დაინახა. იქნებ ისინი გვთავაზობენ სწორედ იმ გზას, რაც უფრო სამართლიანად გამოგვარჩევს ერთმანეთისგან.

საფიქრებლად

დაკვეთა ზემოდან და პასიურობა ქვემოდან

რატომ არ არსებობს დღემდე უნივერსიტეტისთვის საჭირო სახელმძღვანელოების ნუსხა?

მიმდინარე სასწავლო წელს კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში პრობლემა, რომელზეც სამეცნიერო წრეებში დიდი ხანია საუბრობენ — ესაა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოების დეფიციტი, რაზეც დიდად არის დამოკიდებული ადეკვატური სილაბუსების შედგენა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

მაია ტორაძე

პრობლემა ახალი არ არის. თავის დროზე, როცა მან მთელი სიმწვავით იჩინა თავი, გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომელზე მუშაობაც სამეცნიერო საზოგადოების პირდაპირი მოვალეობა გახლდათ: უნდა შედგენილიყო სახელმძღვანელოთა ნუსხა, რომლებიც საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში შეუცვლელად მიიჩნეოდა, ხოლო ის სახელმძღვანელოები, რომლებიც ღირებულებათა ცვალებადობის გამო მოძველებულია, უნდა შეცვლილიყო ახალი, თანამედროვე ლიტერატურით. ასევე უნდა შექმნილიყო ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც დღეს ევროპასა და ამერიკაში ყველაზე ხელმისაწვდომ და იაფფასიან სასწავლო ლიტერატურად მიიჩნევა.

ცხადია, ამ პრობლემის მოგვარება ერთი და ორი წლის საქმე არ არის. მას დრო, სათანადო კვალიფიკაციის პროფესურა და სახსრები სჭირდება, რაც თანდათან დაიძლევა. მანამდე კი სასწავლო პროცესში სახელმძღვანელოების პრობლემა არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, არამედ ყველა ქართულ უმაღლეს სასწავლებელს ექნება, რაც, თავის მხრივ, დაღს დაასვამს სილაბუსების შედგენას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორის ზაზა ფირალიშვილის თქმით, ამ პრობლემას რამდენიმე განზომილება აქვს. ერთია გამართული სილაბუსის შედგენა იმ სამეცნიერო ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ობიექტურად არსებობს, მეორე — მუდმივი ცვლილებების შეტანა სილაბუსში სიახლეების გათვალისწინებით. საამისოდ კი უმაღლესმა სასწავლებელმა პედაგოგი უნდა უზრუნველყოს შესაბამისი აკადემიური გარემოთი: ლიტერატურით, ინტერნეტით, საერთაშორისო კავშირების განხორციელების ფინანსური საშუალებით. „ახალი ლიტერატურის მოძიება—შემოტანა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამის გარეშე შეუძლებელია, მუდმივად საქმის კურსში იყო, თუ რა ხდება შენს დარგში. ამ რამდენიმე წლის წინ უცხოეთიდან 150-მდე წიგნი და 30-მდე სტატიების კრებულის ელექტრული ვერსიები შემოვიტანე. გამოვტყდები, რომ ბევრი წიგნის კოპირებისას მე საავტორო უფლებებს ვარღვევდი“, — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

სახელმძღვანელოების პრობლემის მოგვარების ერთერთი გზაა სპეციალური ლიტერატურის თარგმნა. ცხადია, კარგია, თუ ჩვენი სტუდენტობა უცხო ენაზე წაიკითხავს საჭირო მასალას, მაგრამ სწავლის პირველ დონეზე მაინც აუცილებელია, რომ მან მშობლიურ ენაზე მიიღოს განათლება. ამიტომ საუკეთესო გამოსავალია კლასიკურად აღიარებული ლიტერატურის გადმოქართულება. თუმცა, ამასაც აქვს თავისი წინააღმდეგობები. არის დარგები, რომლებსაც არ სჭირდებათ სასწავლო ლიტერატურის ყოველწლიური განახლება, მაგრამ ისეთ დისციპლინებში, რომლებშიც სამეცნიერო ინფორმაცია შედარებით სწრაფად იცვლება, საქმე უფრო რთულადაა. პროფესორი ზაზა ფირალიშვილი თარგმნას და ადგილობრივი სახელმძღვანელოების შექმნას პარალელურ პროცესად მიიჩნევს. მისი თქმით, სრულყოფილი სახელმძღვანელოები ვერ შეიქმნება, თუ სათანადო თარგმნილი ლიტერატურა არ იარსებებს. „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თარგმანი, ნებით თუ უნებლიედ, აწესებს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც ჩვენში შექმნილი ლიტერატურა უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთან, მხოლოდ თარგმნაზე აქცენტის გადატანა და საკუთარი თავის მხოლოდ მომხმარებლის მდგომარეობაში ჩაყენება ზიანს აყენებს აკადემიურ პროცესს. ამიტომ, ერთის მხრივ, სტუდენტს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ორიგინალურ ლიტერატურაზე თუ არა, მის თარგმანზე მაინც, მაგრამ, ამავე დროს, იგი მშობლიურ ენაზე არსებული პროპედევტიკული მასალითაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომელიც მას ორიგინალური ლიტერატურის დაძლევაში დაეხმარება“, — განაცხადა მან.

მე-11 გვერდზე

უნივერსიტეტში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ეტაპი დაიწყო

ინტერვიუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან გულნაზ გალდავასთან

უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყების საზეიმო განწყობა უკვე მრავალმხრივ გამოიხატა. სწავლის პროცესი ძალაში შევიდა და საუნივერსიტეტო სივრცე საქმიანმა გარემომ დაიკავა. აქ ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია და საერთო წარმატება-წარუმატებლობის შედეგებიც იმის მიხედვით იკვეთება, ვინ როგორ ართმევს თავს ამ ვალდებულებას. მომსახურე პერსონალის შესარჩევად გამართული კონკურსების შემდეგ რით დაკავდა უნივერსიტეტის ახალი ადმინისტრაცია? პირველ რიგში რა სახის პრობლემების გადაჭრაზეა იგი ორიენტირებული და როგორ აპირებს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც საუნივერსიტეტო საზოგადოების მხრიდან მოდის.

თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ქალბატონი გულნაზ გალდავა იმ შესრულებულ სამუშაოებზე საუბრობს, რაც ახალი სასწავლო წლისთვის გაკეთდა და იმ გეგმებსაც გვაცნობს, რისი შესრულებაც ახლო მომავალშია გათვალისწინებული. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თავს უფლებას არ აძლევს, იყოს მშვიდად და მზად არის, მთელი რიგი პრობლემური საკითხები თანმიმდევრულად გადაჭრას.

მაღლივ კორპუსში ახალი კომპიუტერული ცენტრი გაიხსნა

ხათუნა ხატიაშვილი

— ახალი სასწავლო წლისთვის მზადების მხრივ, ზაფხულის პერიოდში, რეალურად, ბევრი რამ გაკეთდა. საუბარი კონკრეტული ფაქტებით შეიძლება, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს მაქსიმუმია, არასწორ მიდგომად მიმაჩნია. აუცილებელია, უფრო სწრაფი ნაბიჯებით წინსვლა. ყველაფერი მარტივად მისაღწევი არ არის იმ თვალსაზრისით, რომ წლების განმავლობაში უამრავი პრობლემა დაგროვდა და თავად მათი სიმრავლე არ იძლევა ყველა პრობლემის ერთბაშად გადაჭრის საშუალებას. ფაქტობრივად, მათთან ძირფესვიანად შეჭიდება გვიხდება. ახალ სასწავლო წელს სტუდენტებს არაერთი სიახლე რომ დახვედროდათ, ამისთვის ვიზრუნეთ. ეს, თუნდაც, USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი ახალი კომპიუტერული ცენტრია, რომელიც ზაფხულში უკვე არსებობდა, მაგრამ სასწავლო პროცესთან ინტეგრირება სწორედ ამ ეტაპზე მიმდინარეობს. 75 კომპიუტერით აღჭურვილი ცენტრი მცირედი საჩუქარი არ გახლავთ. აქ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, არა მხოლოდ სასურველი ინფორმაცია მოიძიონ, არამედ იმუშაონ პროექტებზე. გარკვეულწილად აღიჭურვა ფაკულტეტებიც. რა თქმა უნდა, ეს ამონურული თემა არ არის, მაგრამ ჩვენი სტუდენტობა ადრე ასეთი ცენტრებით განებივრებული არ ყოფილა.

რამდენიმე დღეში ფუნქციონირებას დაიწყებს ახალი კომპიუტერული ცენტრი მაღლივ კორპუსშიც, სადაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტია განთავსებული, რამდენიმე კვირაში ასეთივე ცენტრი მეორე კორპუსის ფოიეშიც მოეწყობა. სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ეტაპი დაიწყო.

მიმდინარე სასწავლო წელს თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი 2 982 ახალგაზრდა გახდა, რომელთაგან გრანტი მხოლოდ 512-ს არა აქვს. ეს ნიშნავს, რომ ძირითადი კონტინგენტი ჩვენთან მაღალი აკადემიური მოსწრებით მოვიდა. უნივერსიტეტი მათ შესაბამისი მატერიალური ბაზით უნდა დახვდეს, რადგან უმაღლესი განათლების მისაღებად მზაობა სტუდენტებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგებით უკვე დაადასტურეს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, უფრო კონკრეტულად კი, „საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების" პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტში ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, ჩატარდა მასშტაბური სამუშაოები და ეს ხაზგასმით თსუ-ის მე-11, ე.წ. ბიოლოგების კორპუსს ეხება (სულ 19 ათასი კვადრატული მეტრის ფართი), სადაც 1984 წლიდან დღემდე გათბობის პრობლემა არ გადაჭრილა. მოგეხსენებათ, მაღლივი კორპუსის ტერიტორია ქარიანი ადგილია და ზამთრის პერიოდში ლექციების ჩატარება ხშირად შეუძლებელი ხდებოდა. როგორც გარეთ, ბიოლოგების კორპუსშიც ისე წვიმდა. ამ შენობაში 4000 კვადრატული მეტრის ფართობის მხოლოდ ფანჯარა შეიცვალა. სახურავის რეაბილიტაციისთვის გამოცხადებული ტენდერის პროცედურები დასასრულს უახლოვდება. წელს ბიოლოგების კორპუსში სტუდენტებს საუკეთესო პირობებში სწავლის საშუალება ექნებათ. საუნივერსიტეტო რესურსების ფარგლებში, ასევე, ხორციელდება სამუშაოები აუდიტორიების აღსადგენად, ახალი ლაბორატორიების მოსაწყობად. ვფიქრობ, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევთ.

— საინტერესოა, რა სახის წინააღმდეგობას აწყდება თსუ-ის ადმინისტრაცია მომსახურების პრობლემების მოგვარების პროცესში, თუნდაც ტენდერების ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებით?

— ტენდერები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ხორციელდება. კანონმდებლობა თავად არის მეგზური, რა პროცედურა უნდა ჩავატაროთ ტენდერის ორგანიზებისთვის. ზოგჯერ ხდება, რომ კომპანია მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, თუმცა მისი შემდგომი პროცედურული გზებიც არსებობს.

უნივერსიტეტმა დასუფთავების სფეროში გამოცხადებული ტენდერის შედეგად გამარჯვებულად შპს „სუფთა სამყარო" გამოავლინა, რომელთანაც ხელშეკრულება 1 იანვრამდე გავაფორმეთ. ეს ერთგვარი ტესტია, თუ რამდენად ეფექტურია ასეთი ტიპის შესყიდვა საუნივერსიტეტო სივრცისთვის. დასუფთავების მაღალ ხარისხს გვპირდებიან, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. თუკი რომელიმე კომპანია ვერ ამართლებს ნდობას და ეს პოზიცია უნივერსიტეტმა, თავის დროზე, შედეგების მიხედვით დააფიქსირა, არსებობს შესაბამისი იურიდიული გზებიც, რომლითაც ამ სახის პრობლემის დარეგულირება შეიძლება.

— როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხომ არ დააკონკრეტებდით მიმართულებას, სადაც თქვენი სამსახურებრივი ფუნქციის გააქტიურება აუცილებლად მიგაჩნიათ?

— აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების სხდომებსა და ყველა ფაკულტეტზე განხილულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, სადაც უმაღლესი სასწავლებლის ძირითადი მიზანი გამოიკვეთა. მისი ფორმულირება ერთ წინადადებაშია მოქცეული და ნიშნავს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2010 წელს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრი უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა სწორედ ადმინისტრაციის ფუნქცია გახლავთ. ჩვენ უკვე ვსაუბრობთ აბსოლუტურად სხვა მიდგომებზე, სწავლების საერთაშორისო სტანდარტებზე, კვლევის გააქტიურებაზე, მეცნიერების კომერციალიზაციაზე... ეს ყველაფერი, შესატყვისი დოზით მომსახურების განხორციელების გარეშე, შეუძლებელი იქნება. ამ კუთხით ბევრი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ახალ სასწავლო წელს ადმინისტრაცია ახალი შემადგენლობით შევხვდით. ამ პერიოდში ჩატარდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსი და ყველა პროცედურა უკვე დასრულებულია. ყველას, ვინც პირველად შემოაბიჯა წელს უნივერსიტეტში, ან ვინც სწავლის გასაგრძელებლად დაბრუნდა, უნივერსიტეტის განახლებული ადმინისტრაცია დახვდა. სასწავლო პროცესის დაწყებამდე, საკონკურსო შედეგებით შერჩეული კადრები USAID-ის დახმარებით, ზაფხულში პროფილური ტრენინგების მეშვეობით მოვამზადეთ და ისინი სტუდენტობას მომზადებული დახვდნენ.

— შესაძლოა, უნივერსიტეტის უნიკალური მემკვიდრეობა თავის როლს დღესაც ასრულებს და ქვეყანაში მოქმედი სხვა უნივერსიტეტების ძირითად კონკურენტად თსუ ამიტომაც რჩება. თსუ-მ უკვე შეიმუშავა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პირველმა წარუდგინა წესდება, რომლის პრეამბულა ისტორიული წესდების მიხედვით დაიწერა, თვისობრივად კი, თანამედროვე პრინციპებს შეიცავს. თქვენი აზრით, რას მისცემს ამ დოკუმენტის ამოქმედება უნივერსიტეტს ახალს და რამდენად იქნება ის უმაღლესი სასწავლებლის ავტონომიურობის გარანტი?

— რა თქმა უნდა, ეს პირველი ქართული უნივერსიტეტი გახლავთ, ფასეული ისტორიული მემკვიდრეობით, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ჩვენი თვითდამშვიდების გარანტიაც ეს არის. ტრადიცია, ისტორია და ფასეული მემკვიდრეობა, გნებავთ სახვალიო გადასახედიდან, ჩვენი თვითგადარჩენის პერსპექტივის განმსაზღვრელი არ არის. მხოლოდ ისტორია ვერ გადაგვარჩენს, თუ 21-ე საუკუნეზე ორიენტირებული მიზნებისკენ სვლას არ გავაგრძელებთ.

წესდებასთან დაკავშირებით, უნდა გითხრათ, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი და უნივერსიტეტის ავტონომიურობის განმსაზღვრელი დოკუმენტია. მას შეიძლება პირობითად უნივერსიტეტის კონსტიტუციაც ვუწოდოთ. ბუნებრივია, მისი დამუშავების პროცესი კულუარულად არ განხორციელებულა. მასზე მუშაობდა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი, გარკვეული შენიშვნების თუ მოსაზრებების გათვალისწინებით მან გაიარა ყველა პროცედურა, დამტკიცდა წარმომადგენლობით საბჭოზე და შესაბამისი რეაგირებისთვის დღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშია წარდგენილი. გიდასტურებთ, ის უნივერსიტეტის ავტონომიურობის განმსაზღვრელია, რადგან თავად მოქმედ კანონმდებლობაშია ფიქსირებული, რომ კონკრეტული საკითხები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების ფარგლებში უნდა გადაწყდეს. თავისუფლება, რაც კანონმა მოგვცა და როგორც საუნივერსიტეტო ხედვის ფარგლებში წარმოგვედგინა, წესდებაში ისე ავსახეთ.

— ახლოვდება უნივერსიტეტის დაარსებიდან 90-ე წლისთავი და მომავალ წელს ის, ალბათ, საგანგებოდ აღინიშნება. რა ტიპის ღონისძიებებს გაატარებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა?

— ეს განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი თარიღია. თსუ თავისი არსებობის განმავლობაში, ისტორიული ეტაპების განურჩევლად, ყოველთვის ასოცირდებოდა ცოდნასა და ცოდნის ტაძართან. ამ კუთხით დისკვალიფიკაციის ეტაპი უნივერსიტეტს არასოდეს ჰქონია. ყოველმხრივ ბევრია საკეთებელი საიმისოდ, რომ ღირსეულად შევხვდეთ საიუბილეო თარიღს. უკვე ვმუშაობთ და მალე შეიქმნება საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი სპეციალური პროგრამა, რომელიც, გარკვეულწილად, საიუბილეო ღონისძიებების ციკლი იქნება. გვინდა, რომ იუბილეზე წარმოდგენილი იყოს ყველა ჩვენი მეგობარი, უამრავი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებთანაც თანამშრომლობა და ურთიერთობა გვაკავშირებს არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეშიც. უნივერსიტეტის პარტნიორი უცხოური უმაღლესი სასწავლებლები ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობენ იგივე სასწავლო პროცესის განვითარების თვალსაზრისით, გვაქვს ერთობლივი პროგრამები, გაფორმებულია უამრავი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, არსებობენ უნივერსიტეტები, რომლებიც ჩვენთვის ისევე მშობლიურია, როგორც ნებისმიერი აქვე, ახლოს მდებარე სასწავლებელი. დიდი ხანია თანამშრომლობის საერთაშორისო წრედში ვართ ჩართული და, ბუნებრივია, მოვისურვებთ, რომ მათ ჩვენთან ერთად იზეიმონ. იუბილესთან დაკავშირებით ბევრი რამ უკვე დამუშავებადახვეწის პროცესშია. ალბათ, მალე მივმართავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მხარი დაგვიჭიროს ისტორიული პირველი და მეორე კორპუსების სრული რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებაში. ეს კორპუსები უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ. ჩვენი სტუდენტობა ხშირად ინტერესდება უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გუმბათის პერსპექტივით. მისი რეაბილიტაციისთვისაც მუშაობა დაწყებულია და სპეციალისტები პრობლემების გადაჭრის მიდგომებს განიხილავენ. გვინდა, გუმბათის სარეაბილიტაციო სამუშაოები საიუბილეოდ დასრულდეს, მაგრამ ის მხოლოდ ერთი კონკრეტული პრობლემა არ არის. მისი წინმსწრები პრობლემები გახლავთ მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგების, ფასადის გამაგრების საკითხები, რათა შემდგომ გუმბათზე სამუშაოები გაგრძელდეს. ეს საფეხურეობრივი პრობლემებია და ვფიქრობთ, მხოლოდ გუმბათის სარემონტო სამუშაოების ჩატარება ეფექტური ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება. „სახალხო ბანკი" დიდ მხარდაჭერას გვპირდება გუმბათის აღდგენასთან დაკავშირებით და სპეციალისტთა ჯგუფიც გამოგვიგზავნა. ვნახოთ, მათ კეთილ ნებას რა პერსპექტივა ექნება.

— საქართველოს მთავრობამ „ცოდნის ქალაქის" პროექტის პრეზენტაცია უკვე გამართა, რაც უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე კამპუსის ტიპის მშენებლობის დაწყებას ითვალისწინებს. ამ ფაქტს არაერთგვაროვანი რეაქცია და შეფასებები უკვე მოჰყვა. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს უნივერსიტეტის განკარგულებაში მყოფი კორპუსების გაყიდვის ხარჯზე მოხდება. ამგვარი მოსაზრებები მოსალოდნელ რეალურ შედეგებთან რამდენად ახლოს დგას?

— ვარიაციები თემაზე, შესაძლოა, არსებობდეს, მაგრამ მეც შემიძლია დავაფიქსირო მოქალაქის პირადი აზრიც და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოზიციაც. აუცილებლად მხარდასაჭერია ის იდეა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს ახალი ქალაქი, ახალი და თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, აბსოლუტურად განსხვავებული სტანდარტების ინფრასტრუქტურა. სტუდენტებთან გამართული დიალოგებიდან ვიცი, რომ ახალგაზრდობას ეს აზრი და იდეა ხიბლავს. ისინი 21-ე საუკუნის მოქალაქეები არიან და, სწორედაც, უნდა იცხოვრონ და ისწავლონ შესაბამის გარემოში. თუ ამ გარემოს უზრუნველყოფის პერსპექტივა არსებობს, ბუნებრივია, ის მხარდასაჭერია. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ემოცია მოვლენებს წინ უსწრებს ხოლმე. ისტორიული შენობების ფარგლებში პირველი და მეორე კორპუსები შეიძლება განვიხილოთ. ისტორიული შენობების გაყიდვაზე საუბარი არსად მომისმენია. ვფიქრობ, ემოციებისგან თავის შეკავება უმჯობესია, მითუმეტეს, როცა რეალობა ძალიან მიესადაგება ჩვენი სტუდენტობის აღზრდის იმ მიზნებს, რასაც 21-ე საუკუნის მოქალაქისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ფორმირების პერსპექტივა ჰქვია.

სტუდენტი ახალგაზრდობის მხრიდან დიდი მოთხოვნა იყო კვების ობიექტის ამოქმედებასთან დაკავშირებით. ჩვენ მოვიპოვეთ კანონით გათვალისწინებული ნებართვები, გამოცხადდა კონკურსი და დღეს უკვე გვყავს გამარჯვებული შპს „ფუდ მასტერი." კომპანია თავისი ინიციატივით იწყებს სტუდენტების გამოკითხვას, როგორია დამოკიდებულება მათ მიერ შემოთავაზებულ მენიუსთან დაკავშირებით და როგორ წარმოუდგენიათ ფასები, რომლებიც მათი ხელმისაწვდომობის მიხედვით უნდა განისაზღვროს. „ფუდ მასტერი" აპირებს 400 ათასი ლარის ინვესტირების განხორციელებას. 2008 წლიდან უნივერსიტეტში კვების ორი ობიექტი ამოქმედდება, რომელთაგან ერთი პირველი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეორე კი, მაღლივ კორპუსში განთავსდება.

ახალი უნივერსიტეტი

წლობით ლექმოდებული სისტემა ამოქმედდა

17 ოქტომბერი სიღარიბესთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა

სიღატაკის პრობლემა — ეს მოუშორებელი სენი კაცობრიობას დასაბამიდან თან სდევს და ყველა დროში, როგორც შეუძლია, ისე ებრძვის მას. თუმცა ოცდამეერთე საუკუნეშიც ადამიანები და ქვეყნები ჯერ კიდევ ამ ნიშნით იყოფიან: მდიდრებად და ღარიბებად. მიუხედავად მსოფლიოს ათასობით ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციის საქმიანობისა, მილიონობით ადამიანს მინიმალური საარსებო საშუალება დღესაც არ გააჩნია და შიმშილით კვდება.

ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში მოსახლეობის 35 პროცენტი შიმშილობს, ყოველ წუთში 15-20 კაცი შიმშილით, ხოლო 10 ბავშვი — ინფექციური დაავადებებით იღუპება. ეს შემაშფოთებელი სტატისტიკაა. დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი. ნახევარ მსოფლიოს კი თურმე მეორე ნახევრის გადაუხდელი ვალები ახრჩობს.

ეკონომისტების აზრით, ამის ერთერთი მიზეზი დედამიწაზე არსებული რესურსების არასწორი გადანაწილებაა, რამაც, შესაძლოა, მსოფლიოს ომის საფრთხეც კი შეუქმნას. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ნედლეული განვითარებად ქვეყნებში მოიპოვება, განვითარებული ქვეყნები კი მსოფლიო სიუხვეს აკონტროლებენ. შესაბამისად, წარმოება და ბიზნესიც განვითარებულ ქვეყნებში ვითარდება, რადგან ღარიბი ქვეყნები ნედლეულს ვერ ამუშავებენ.

სიღარიბესთან ბრძოლა ახალი ქართული სახელმწიფოს ერთერთი პრიორიტეტია. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები ყველა სფეროში უმთავრესად ამ მიზანს ემსახურება. ჰუმანიტარული დახმარებით ქვეყანა რომ ამ პრობლემას ვერ დაძლევს, ეს ეკონომისტებმაც იციან და პოლიტიკოსებმაც.

შურთხია ბეროშვილი

ემზარ ჯგერენაია, ეკონომიკური მეცნიერებათა კანდიდატი, ფინანსისტი:

— ოცდამეერთე საუკუნეში ეკონომიკა ფილოსოფიურად შეიცვალა. დღეს მსოფლიოს ორი მთავარი პრობლემა აწუხებს — რესურსების შეზღუდულობა და და მისი არასწორი გადანაწილება. ჩამორჩენილი ქვეყნები ხშირად განვითარებული ქვეყნების მევალეები არიან. მსოფლიოში ვალის მოცულობა 880 მილიარდ დოლარამდე დაგროვდა. ამიტომ განვითარებული ქვეყნები იძულებული არიან დაეხმარონ ღარიბ ქვეყნებს, სადაც სოციალური უკმაყოფილების გამო ტერორიზმის, რელიგიური ფანატიზმის და კრიმინალური დანაშაულებების საფრთხე იზრდება. ამიტომ ასეთი ქვეყნები სხვა სახელმწიფოებისთვისაც რეალურ საშიშროებას წარმოადგენენ. მაგალითად, ნიგერიის მოსახლეობის ძირითადი მასა უღარიბესია, მათი შემოსავალი თვეში 20 დოლარიც კი არ არის. ამის გამო იქ მუდმივად არეულობაა და შეიარაღებული აჯანყებებიც ხშირია.

ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ — ეს არის ბრძოლა მსოფლიო უსაფრთხოებისთვის. მსოფლიო ბანკის, გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარი ამოცანა სიღარიბის დაძლევაა, რაც სოციალურ და პოლიტიკურ დაძაბულობასთან ბრძოლას ნიშნავს, რაც, ამავე დროს, განვითარებულ ბაზარს, ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების უკეთეს პირობებსაც გულისხმობს. ამ მიმართულებით მსოფლიო ბანკი, პერიოდულად, სხვადასხვა კვლევებს აქვეყნებს. ყველა საკითხს რეგიონების მიხედვით შეისწავლიან, რადგან დახმარების მიზნობრივი პროგრამები განახორციელონ.

მსოფლიო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უმჯობესი იქნება, კვლევების საფუძველზე მიზნობრივი პროგრამების განხორციელება დაიწყოს და ინფრასტრუქტურა მოწესრიგდეს.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ საქართველოზეც. ჩვენთან საკმაოდ დიდი ტრანშები იყო გამოყოფილი, მაგრამ ეფექტი მაინცდამაინც ვერ მოახდინა, რადგან პროექტების შერჩევაში მთელი რიგი ხარვეზები იყო დაშვებული. მიუხედავად ამისა, სოციალურ სფეროში ბევრი საჭირო და კარგი პროექტი განხორციელდა. ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება. კარგი იქნება, თუ ეს ორგანიზაციები ქვეყანას ღია ეკონომიკაზე გადაყვანაში დაეხმარებიან, ასევე მნიშვნელოვანია კორუფციასთან ბრძოლა. მთავრობის მხრიდან უნდა განხორციელდეს ეფექტური მენეჯმენტი და საინვესტიციო კლიმატის შექმნა.

განვითარებულმა ქვეყნებმა თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკას კიდევ ერთხელ უნდა გადახედონ, ამასთან, დამოკიდებულება ჩვენც უნდა შევიცვალოთ.

მსოფლიო ბანკის და გაეროს ყველა პროექტს ქვეყნის რომელიმე სფეროში განხორციელებული რეფორმა უდევს საფუძვლად, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ეს პროექტები არაეფექტურად ხორციელდება. შესაძლოა, ეს გაეროს ბიუროკრატიზმის ბრალია, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტი სამართლიანად ლაპარაკობდა. ამ ორგანიზაციებს დიდი დაფინანსება და საკმაოდ სერიოზული შემოსავლები აქვთ, მაგრამ რატომღაც შედეგებზე პასუხს არ აგებენ. დიდი რაოდენობით ფული იხარჯება და ხშირად ეფექტი არ ჩანს. რეკომენდაცია ქვეყნის რეფორმებთან უნდა იყოს მიბმული.

— როგორ უნდა დაიძლიოს სიღარიბე საქართველოში, რა პრიორიტეტები უნდა გამოიკვეთოს, რომ ქვეყანამ შეძლოს ამ პრობლემის მოგვარება?

— ჩვენი მთავარი მიზანია ეკონომიკური განვითარება. ვერც ერთი დახმარება, დარიგებული ფქვილი და წამალი, საბოლოოდ, პრობლემას ვერ მოაგვარებს. ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნის სწორი მექანიზმი უნდა არსებობდეს. შესაძლოა, თუ პროცესები სწორად არ წარიმართა, 2020 წლისთვის ჩვენთან რესურსების არათანაბარი გადანაწილების შედეგად დაპირისპირება გაიზარდოს.

ბოლო 4 წლის განმავლობაში საქართველომ ძალიან ბევრ დახმარებაზე თქვა უარი. მთელი აქცენტი გადატანილია ეკონომიკურ განვითარებაზე. მილიარდიანი ბიუჯეტი 5 მილიარდი გახდა, რაც ნიშნავს, რომ ადამიანების პირდაპირი თუ ირიბი შემოსავალი 5-ჯერ გაიზარდა. მართალია, ფასებმა მოიმატა, მაგრამ ეს პროცესის თანმდევია და ლოგიკურია, ვინაიდან, შემოსავლების ზრდასთან ერთად, ფასებიც იზრდება. მართალია, სახელმწიფო სექტორში მომუშავე ადამიანების რიცხვი შემცირდა, მაგრამ ზოგიერთმა კერძო სექტორში გადაინაცვლა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სერიოზული გარდაქმნები უმოკლეს ვადებში განხორციელდა, და რაც ყველაზე მთავარია — შეიცვალა მოტივაცია.

— უმუშევრობა სიღარიბის ერთერთი მიზეზია. დასაქმების რა პროგრამა უნდა ამუშავდეს ქვეყანაში, რომ ეს პრობლემა დაიძლიოს?

— მძლავრი ეკონომიკა, ბიზნესის განვითარება თუ პროფესიონალი კადრების დასაქმება, განათლების მაღალ დონესთან არის დაკავშირებული. ამიტომ ჩვენთვის პრიორიტეტი უნდა იყოს უმაღლესი განათლების რეფორმირება. ვერავინ შემოგვედავება, რომ წლობით ლექმოდებული სისტემა ამოქმედდა, თუმცა ჯერ-ჯერობით არსებობს ხარვეზები, რომელიც გზადაგზა გამოსწორდება.

საერთოდ, ჩვენ ყველა პრობლემა ერთად გვაქვს მოსაგვარებელი: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დასაქმება, ძლიერი ჯარის შექმნა. ყველაფრის სწრაფად გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ, რაც მთავარია, დინამიკა არსებობს და მიმართულება სწორია.

ლაბირინთებში

აუდიტორიების დანომვრის ამოუცნობი ლოგიკა

მაკა ლდოკონენი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აუდიტორიებისა თუ კაბინეტების დანომვრა, რბილად რომ ვთქვათ, გამოუცნობ ლოგიკას ექვემდებარება. საჭირო აუდიტორიას არა მხოლოდ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლებიც ძნელად აგნებენ.

„მიმაჩნია, რომ აუდიტორიების, კაბინეტების, სხვადასხვა დანიშნულების ოთახებისა თუ სათავსოების გადანომვრის პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს. ამ მხრივ უნივერსიტეტში ნამდვილი ქაოსი სუფევს! შესაცვლელია უნივერსიტეტის ნუმერაციის სისტემაც, რის შესახებ მსჯელობა უკვე დავიწყეთ და საკითხის მოგვარება სარემონტო-საექსპლუატაციო განყოფილების უფროსს, პროფესიით არქიტექტორსა და დიზაინერს ზაზა ჯინჭარაძეს დავავალეთ“, — განაცხადა თსუ-ის მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ კრავეიშვილმა.

რაც შეეხება ნუმერაციის სისტემას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის ყველაზე მისაღები თამაზ კრავეიშვილის მიერ შეთავაზებული ვარიანტი აღმოჩნდა. ეს გახლავთ სასტუმროებში დამკვიდრებული ნუმერაციის პრაქტიკა, ანუ როდესაც ოთახის ნომრის პირველი ციფრი სართულის ნომერს ემთხვევა. მთელ მსოფლიოში წარმატებულად აპრობირებული ამგვარი სისტემა საუკეთესოა ადვილად მიგნების თვალსაზრისით.

ბიოლოგების კორპუსი ბლოკებად დაიყოფა და ოთახებიც შესაბამისად გადაინომრება. ნებისმიერი საუნივერსიტეტო კორპუსის ფლიგელების შესასვლელში იქნება წარწერა, რომელიც ამ ფლიგელში განთავსებული ოთახების ნომრებს მიანიშნებენ. რთული გადასანომრია უნივერსიტეტის მეორე კორპუსი. აქ ოთახებს, რა თქმა უნდა, სართულების შესაბამისად დანომრავენ, თუმცა კორპუსი მარჯვენა და მარცხენა ფლიგელებად დაიყოფა და შესასვლელში მიმართულების მიმანიშნებელი ისრები დაიკიდება. რაც შეეხება ინფორმაციას, თუ ვის ეკუთვნის კაბინეტი, ცალკე დაფებზე დაწერენ.

მთავარია და აუცილებელია, რომ ნებისმიერი კორპუსის შესასვლელში საინფორმაციო დაფები ნომრის მიხედვით მიგვანიშნებდეს თუ სად მდებარეობს საძიებელი ოთახი, აუდიტორია თუ კაბინეტი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში არსებობს აუდიტორები თავის ისტორიული ნომრებით. ეს აუდიტორიებიც ნუმერაციის საერთო სისტემას დაექვემდებარება, თუმცა, სპეციალურად დამზადებულ დაფაზე მიუთითებენ აუდიტორიის სახელწოდებასა და მის ადრინდელ ნომერსაც.

„ოთახების გადანომვრის პროცესი, ჩასატარებელი სამუშაოს ხარისხი და ვადები ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება. უბრალო და უხარისხო დაფების გაკეთება, რომელიც ხვალ და ზეგ კვლავ შესაცვლელი გახდება, არასასურველია. ამიტომ, ჯერჯერობით, საჭირო თანხების მოძიება გვჭირდება. იმედია, ეს ხანგრძლივი პროცესი არ იქნება“, - განაცხადა თამაზ კრავეიშვილმა.

სიახლე

„ბუღალტრული აღრიცხვა და ბიზნესი" — ახალი პროგრამა თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე „ბუღალტრული აღრიცხვა და ბიზნესის" პროგრამის პრეზენტაცია შედგა. მსგავსი ტიპის პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველია.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბუღტრული აღრიცხვისა და აუდიტის მაღალი დონის სპეციალისტები, რომლებიც ქართულ და უცხოურ წამყვან ორგანიზაციებში დასაქმდებიან.

„მართალია, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ცნობილ ფირმებთან და ორგანიზაციებთან, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ქართველ ბიზნესმენებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. ერთერთი ასეთი გამორჩეული ქართული კომპანიაა სააქციო საზოგადოება „მადნეული". უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი კურსდამთავრებული აკმაყოფილებდეს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, რომლის უზრუნველყოფას სწორედ ასეთი პროგრამებით შევძლებთ," – განაცხადა შეხვედრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის" პროგრამა მატერიალურ- ტექნიკური ბაზით უზრუნველყო სააქციო საზოგადოება „მადნეულმა", რომელიც მზად არის დაასაქმოს იმდენი სტუდენტი, რამდენსაც საწარმოს საქმიანობა მოითხოვს.

„უნდა ვაღიარო, რომ კომპანია „მადნეული" ამ დარგის სპეციალისტების ნაკლებობას ყოველთვის განიცდიდა. ამან განაპირობა ჩვენი მოთხოვნა „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის" პროგრამის კურსდამთავრებულებზე. სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან კომპანია „მადნეულში". მათგან საუკეთესოები კი სამუშაოდ ჩვენთან დარჩებიან," – აღნიშნა კომპანია „მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კობა ნაყოფიამ.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამით" ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 20 წარჩინებული სტუდენტი ისწავლის. უახლოეს მომავალში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამაც ექნება.

სტუდენტები დეკანატებისგან დროულ განმარტებებს ითხოვენ

„ჩვენ ყველაფერს გვიან ვიგებთ!“ — ასეთ პრეტენზიებს გამოთქვამენ სტუდენტები ზოგიერთი დეკანატის საყურადღებოდ, რომლებიც მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ახალ გადაწყვეტილებებსა და ოფიციალურ ინფორმაციებს თურმე ხან დროულად, ხან კი გასაგებ და პოპულარულ ენაზე არ აწვდიან.

გვინდა შევახსენოთ სტუდენტებს, რომ ყველა ინფორმაცია მათ შეუძლიათ იხილონ თსუ-ის ინტერნეტ-საიტზეც.

ჩაებით სტუდენტურ ფორუმში: www.forum.tsu.ge

უნივერსიტეტში სტუდენტთა ერთი ჯგუფის ინიციატივით შეიქმნა სტუდენტთა ფორუმი, რომლის მისამართია: www.forum.tsu.ge

ეს ფორუმი შეიქმნა არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებზე ლექტორებთან სასაუბროდ პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც.

ფორუმის შექმნის მიზანი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ვირტუალური ურთიერთობის ჩამოყალიბების მცდელობაა. როგორც ფორუმის შექმნის ინიციატორმა სტუდენტებმა გვაცნობეს, ამ ინიაციტივას სტუდენტური თვითმმართველობა მიესალმება.

სტუდენტური Press კლუბი

„გავუფრთხილდეთ ერთმანეთის კულტურას!"

სტუდენტები კახის ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის კარის აჭედვას აპროტესტებენ

ხათუნა ხატიაშვილი

18 ოქტომბერს თსუ-ისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის 40-მდე სტუდენტმა საქართველოში მოქმედ აზერბაიჯანის საელჩოს შენობასთან საინგილოში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აჭედვის ფაქტი გააპროტესტა. ახალგაზრდებმა საკუთარი პოზიცია მოკრძალებულ ფორმაში გამოხატეს. მათ ვაკეში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან საელჩოს შენობამდე გზა ფეხით გაიარეს და აზერბაიჯანის საელჩოს სახელზე დაწერილი საგანგებო მიმართვა იქვე, შესასვლელში დატოვეს.

„საქართველო ის ქვეყანაა, სადაც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები მეგობრულ და ტოლერანტულ გარემოში თანაცხოვრობდნენ. ერთად არსებობდნენ მართლმადიდებლური ეკლესიები, მუსლიმანური მეჩეთები, ებრაული სინაგოგები... ამ ფონზე აზერბაიჯანული მხარის დამოკიდებულება ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი სწორად არ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ქართულ მრევლს უფლება აქვს, თავისუფლად ჩაატაროს ღვთისმსახურება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ძველ ქართულ ეკლესია-მონასტრებში. ქართველი სტუდენტების სახელით გთხოვთ, აღდგეს ღვთისმსახურება ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ჩვენი თხოვნაა, ვიყოთ ტოლერანტულები! პატივი ვცეთ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთის კულტურას!"— ნათქვამია სტუდენტურ მიმართვაში. როგორც აქციაში მონაწილე სტუდენტებმა განმარტეს, მათ ფართომასშტაბიანი და აგრესიული ფორმის მიტინგის გამართვას თავი შეგნებულად აარიდეს, თუმცა დარწმუნებული არიან, რომ ქვეყანაში არ არსებობს არც ერთი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელსაც განსხვავებული პოზიცია შეიძლება ჰქონდეს. აზერბაიჯანის საელჩოს დაცვის თანამშრომლებმა სტუდენტებს ტარნსფარანტების მესერსა და შენობის კედლებზე გაკვრის საშუალება არ მისცეს, რის გამოც, ისინი, იძულებული გახდნენ, აქციის მთავარი ლოზუნგები: "ვიყოთ ტოლერანტულები" და "გავუფრთხილდეთ ერთმანეთის კულტურას!" იქვე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის კედელზე გამოეფინათ. მათ საელჩოს წინ საინგილოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების ამსახველი ცოცხალი ფოტო-გამოფენა მოაწყვეს. ფოტო მასალა ამავე სტუდენტებმა გაზაფხულზე საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მონახულებისას შეაგროვეს.

საინგილოში ერთადერთი მოქმედი ქართული ეკლესიის კარის აჭედვის შესახებ ინფორმაცია 15 ოქტომბერს „ადამიანის უფლებათა ცენტრმა" გაავრცელა. ტაძარი უკვე ორი კვირაა, დაკეტილია და იქ ქართველებს არ უშვებენ.

ამავე ცენტრის ცნობით, კახის ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის კარი აზერბაიჯანელებმა აჭედეს და წირვა-ლოცვის განახლების შემთხვევაში, ქართველებს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან.

საინგილოს ქართული მოსახლეობის განცხადებით, ადგილობრივმა აზერბაიჯანელებმა ქართველ მოძღვარს ეკლესიის კარის გასაღები ძალით წაართვეს.

ცენტრის ინფორმაციით, მომხდარის გამო, ისტორიულ ჰერეთში მცხოვრები ქართველები უკიდურესად აღშფოთებულები არიან, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავენ და დახმარებას ქართულ საზოგადოებას თხოვენ.

მათივე თქმით, აზერბაიჯანელების მიერ საინგილოში მცხოვრები ქართველების მიმართ ზეწოლა განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც გაუგებარი მიზეზების გამო საქართველო -აზერბაიჯანის დამაკავშირებელი სამთაწყაროს ხიდი ჩაიკეტა. საინგილოში და კახეთში, კერძოდ კი, დედოფლისწყაროს რაიონში მცხოვრები ჰერები უკვე ორი წელია, ერთმანეთს ვეღარ უკავშირდებიან.

როგორც ცენტრში აცხადებენ, ინგილოებმა დახმარებისთვის არა ერთხელ მიმართეს როგორც საქართველოს პრეზიდენტს, ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრებს, ოპოზიციას, მაგრამ - უშედეგოდ.

შეხვედრა

მოკლედ

როდის ჩატარდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდები?

ნინო ბერელიძე

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის ინიციატივით თსუ-ის სტუდენტებს შეხვდა. მან საჯარო ლექცია წაიკითხა უმაღლესი განათლების რეფორმის მიმდინარეობის შესახებ, სტუდენტების პრობლემები მოისმინა და დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა.

ქალბატონმა ბელა წიფურიამ სტუდენტებს მოკლედ უამბო იმ ცვლილებებისა და პრიორიტეტების შესახებ, რასაც განათლების რეფორმა ითვალისწინებს. მისი განმარტებით, უკვე დასრულდა რეფორმის პირველი ეტაპი, რაც გულისხმობს, რომ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, კრედიტების დაგროვების ევროპული სისტემა, უმაღლესმა სასწავლებლებმა გაიარეს ინსტიტუციური აკრედიტაცია და ემზადებიან პროგრამული აკრედიტაციისათვის, სასწავლებლებში ჩამოყალიბდა და აირჩა მართვის ორგანოები და ა.შ.

ამიერიდან კი იწყება მნიშვნელოვანი, მეორე ეტაპი, როდესაც სტუდენტები აქტიურად უნდა ჩაებან სასწავლებლის მართვის პროცესში.

„უმაღლესი განათლების რეფორმა მთლიანად სტუდენტზეა ორიენტირებული. თუმცა, მნიშვნელოვანია, თავად სტუდენტი იყოს აქტიური და მოტივირებული ამისათვის. სასწავლებლებმა კი იმაზე უნდა იზრუნონ, რომ მათ ხარისხიანი განათლება შესთავაზონ და სწავლისათვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნან", — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ბელა წიფურიამ იმ ცვლილებებზე ისაუბრა, რაც უახლოეს მომავალში განათლების სისტემაში განხორციელდება. აქედან, მთავარია, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შექმნა, რომლზედაც განათლების სამინისტრომ მუშაობა უკვე დაიწყო და რომლის ფარგლებშიც მოხდება სასწავლო პროგრამების შინაარსის შესაბამისობა ევროპულ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

ბელა წიფურიამ ისაუბრა სამაგისტრო გამოცდების შესახებ და აღნიშნა, რომ აქამდე თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეეძლო, თავად განესაზღვრა სამაგისტრო პროგრამის ჩატარების წესი. მინისტრის მოადგილის განმარტებით, სავარაუდოდ, 2008 ან 2009 წლის შემოდგომიდან მაგისტრანტებისთვის ჩატარდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდა, რომელსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი განახორციელებს, რის შემდეგაც უმაღლესებს დამატებითი გამოცდის ჩატარების უფლება ექნებათ.

შეხვედრაზე საუბარი მომავალში კრედიტების დაგროვების სისტემასაც შეეხო. როგორც ცნობილია, ბაკალავრის ხარისხი მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელიც დააგროვებს 240 კრედიტს, შესაბამისად, თითო სემესტრში 30 კრედიტის ოდენობას. როგორც შეხვედრაზე ბელა წიფურიამ განაცხადა, უახლოეს მომავალში სტუდენტს უფლება ექნება იმდენი კრედიტი ან საგანი აირჩიოს, რამდენის დაძლევასაც შეძლებს. შესაბამისად, დასაშვებია თითოეულმა სტუდენტმა რამდენიმე წლის განმავლობაში მოახერხოს 240 კრედიტის დაგროვება. ეს მეთოდი აპრობირებულია უცხოეთის საგანმანათლებლო სივრცეში, რომლის სრულუფლებიანი წევრი საქართველო 2010 წლისთვის უნდა გახდეს.

ქიმიის დარგს პოპულარიზაცია სჭირდება

11-დან 14 სექტემბრამდე უნივერსიტეტმა უმასპინძლა კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო სიმპოზიუმს, რომელიც პოლიმერებისა და პოლიმერული მასალების ქიმიას მიეძღვნა.

სიმპოზიუმის თანაორგანიზატორი იყო საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები საფრანგეთიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან, ფინეთიდან და რუსეთიდან. ერთერთი ორგანიზატორის, პროფესორ ომარ მუკბანიანის განცხადებით, სამეცნიერო ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო თსუ ადმინისტრაციამ და საფინანსო განყოფილებამ.

სიმპოზიუმს სტუმრობდა საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი მარკ აბადი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტებს ლექციებს ვიდეოთვალის მეშვეობით წაუკითხავს.

დასკვნით სხდომაზე მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომ ანალოგიური ღონისძიება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ გაიმართოს. შემდგომი სიმპოზიუმი ჩატარდება ბათუმში 2010 წლის სექტემბერში.

სტუდენტთა გულწრფელი ინტერესები ვაზის ფოთლებში მოელვარე პოლიტიკური ფიქრების წინააღმდეგ

„თუ უჭირთ, იცოდნენ, რომ დახმარება შეგვიძლია“ – გულწრფელი მოტივი, რის გამოც სტუდენტები გურჯაანს ესტუმრნენ

პირველი გვერდიდან

პრობლემები სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, მევენახეობის დარგში, სხვა ნებისმიერი სფეროს მსგავსად რეალურია. თითოეული მოქალაქე დათრგუნა ცოტა ხნის წინ ტელევიზიით ნაჩვენებმა უსიამოვნოდ პარადოქსულმა პრეცედენტმა, როცა ვაზთან ურთიერთობაში „გამობრძმედილმა“ კახელმა გლეხმა ნაჯახს ხელი სტაცა და მწიფობაში შესულ ვაზს გამეტებით წაუშინა. საინტერესოა, ვაზის გაჩეხვის შემდეგ ამ კაცს უსამართლობით ავსებული ფიალა შეუმსუბუქდა თუ უფრო მეტად დაუმძიმდა? მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოება დაფიქრდა...

რადგან თანამედროვე ცხოვრების დინამიკა არც ხანგრძლივად ფიქრის დროს იძლევა, ამავე საზოგადოების ყველაზე ჯანსაღმა და ახალგაზრდა ნაწილმა რთველში მონაწილეობა გადაწყვიტა. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმმართველობების ორგანიზებით 6 ოქტომბერს კახეთის რამდენიმე რაიონში ერთდროულად რამდენიმე აქცია, „სტუდენტური რთველი — 2007“ გაიმართა.

სასოფლო–სამეურნეო საქმიანობაში სტუდენტების ჩაბმა წინამორბედი თაობისთვის კომუნისტური ტრადიციების გადმონაშთად აღიქმება, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ყურძნის მოსავლის დაბინავებაში მონაწილეობის ინიციატივა ამჟამად თავად სტუდენტებისგან მოდის და შრომაც ნებაყოფლობითია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 70 წევრიანი ჯგუფი გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის ერთერთ ვენახში ისე აღმოჩნდა, რომ არცერთი მათგანი არც რთველის შემდეგ დაინტერესებულა მისი მეპატრონის ვინაობით. ყველაფერი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარის თეონა ჭალიძის ექსპრომტად გაჩენილი იდეის საფუძველზე მოხდა. მან ერთ ჩვეულებრივ დღეს ტელევიზიით ოქტომბრის თვის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზი მოისმინა, სადაც ითქვა, რომ მოსალოდნელი აციების გამო რეგიონებში მოსავლის აღებას პრობლემები ელოდა. იქვე გაიფიქრა, რომ სტუდენტებს აქვთ ძალა, რომლითაც სოფლის მოსახლეობის დახმარება და ყურძნის კრეფაში თუნდაც სიმბოლური წვლილის შეტანაა შესაძლებელი. „მეორე დღესვე დავრეკე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე, საიდანაც იმ განყოფილებასთან დამაკავშირეს, რომელიც რთველის პროცედურებს კურირებს. შევატყობინე სტუდენტებსაც და ყველაფერი ერთმანეთის დახმარებით დავგეგმეთ. რთველში წასვლის სურვილი ყველა ფაკულტეტიდან გამოითქვა და სტუდენტების რაოდენობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ყველას დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა“, — თქვა მან.

გამგზავრებამდე ერთი შეხედვით უმზეო ამინდი გურჯაანში შესვლისთანავე სასიკეთოდ შეიცვალა, წინასამუშაო განწყობა თეთრი მაისურებითა და „კეპებით“ ეკიპირებამ გააათკეცა და მოხდა ისე, რომ სტუდენტების მასპინძლებს ზუსტად ორ საათში 5 ტონიანი ლაფეტის ორჯერ დაცლა მოუხდათ.

ერთმანეთის მხარდამხარ ყოფნას რა ჯობია, მაგრამ დაკრეფილი ყურძნის ჩაბარება მთავარი პრობლემააო, ყურძენი ისეთი მოიყვანეს გლეხებმა, კაცის თვალი ვერ გაძღება მათი ცქერით და ყურებითო — შიგადაშიგ ისმოდა მეზობელი ვენახის დარაჯებისა თუ მეპატრონეების გალექსილი რეპლიკები, მაგრამ მუშაობასა და სიმღერაში გართულ სტუდენტებს ეს არ გაუგონიათ.

ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი პრობლემა ყურძნის ჩასაბარებელი ფასის 30 თეთრამდე შემცირებაა. იმის გამო, რომ ღვინის ქარხნები ამაზე მეტად მოკრეფილ ყურძენს არ იბარებენ, ან საკუთარი ვენახები აქვთ და ცალკეული პირების ყურძენი არ სჭირდებათ, გლეხობა უარს ამბობს საკუთარი ხელით მოყვანილი ყურძნის დაკრეფაზე.

„რთველმა რთულად ჩაიარა. რადგან ღვინის ქარხნები ყურძენს არ იბარებენ, გლეხები ვენახს არ კრეფენ. გლეხის ყურძენი არავის უნდა, ცხოვრება ჭირს, არც ტექნიკა გვაქვს. მოსავლის მოყვანა ძვირი ჯდება და მისი ჩაბარებელი ფასი ამიტომ არის მიუღებელი. ამის გამო, ზოგმა ყურძენი გადაყარა და ვაზი გაჩეხა, მის ადგილას ატამს, პომიდორს მოიყვანს და ამოისუნთქავს. არადა, წინათ ვაზის გაჩეხვისთვის 3 წელი ციხე იყო. გასავალი არც დაწურულ ღვინოს აქვს. მთავრობამ შაბიამანი მაინც უნდა გააიაფოს და გლეხის შრომასა და საკუთარ ინტერესებს შორის პროპორცია დაიცვას“, — აგვიხსნეს კახელმა გლეხებმა.

კახეთში მიმდინარე რთველი ხელისუფლებას ყურადღების მიღმა რომ არ დაუტოვებია, სადავო ნამდვილად არ არის, რადგან ვენახში სოფლის მეურნეობის მინისტრი პეტრე ცისკარიშვილი თავადაც ვიხილეთ. როგორც მინისტრმა აღნიშნა, უკვე ერთი თვეა, კახეთის ხშირი სტუმარია და შიგადაშიგ არც საკუთარი ხელით ყურძნის კრეფაზე ამბობს უარს. „წელს კახეთში დაახლოებით 180-200 ათასი ტონა ყველა ჯიშის ყურძნის მოსავალი მოვიდა, ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის. პროდუქციის მოთხოვნა იმაზე მეტია, ვიდრე გვეგონა. იმ პირობებში, როცა ღვინის დარგში ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორს, რუსეთს პოლიტიკური ემბარგო აქვს გამოცხადებული და ჩვენი ექსპორტიდან, დაახლოებით, 45 მილიონი ბოთლი ღვინო აღარ გადის რუსეთში, ყურძენზე მოთხოვნის შემცირება მოსალოდნელი იყო. მას შემდეგ, რაც შევქმენით სერიოზული საკანონმდებლო ბაზა ფალსიფიცირების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, რთველში, კახეთის გარდა, უკვე მთელი საქართველო ჩაერთო, რადგან ყურძენზე რეალური მოთხოვნა გაჩნდა. ჯიშის და ხარისხის მიხედვით ფასები სხვადასხვაა, რომელიც 30-35 თეთრიდან 50 თეთრამდე მერყეობს. ვინც ვენახს კარგად უვლის და ჰექტარზე ბევრი მოსავალი მოჰყავს, იმას ვაზის მოვლა მიღებული მოსავლის ჩაბარებაზე ძვირი არანაირად არ დაუჯდება“, — განმარტა პეტრე ცისკარიშვილმა.

ვენახის მეპატრონე, რომელსაც თსუ-ის სტუდენტებმა მოსავლის დაბინავებაში „ხელი წააშველეს“, რიგითი ადგილობრივი მოსახლე, გურჯაანის გამგეობის ყოფილი თანამშრომელი შალიკო უმსარაშვილი აღმოჩნდა. ყურძნის მოყვანა-ჩაბარებასთან დაკავშირებით პრობლემების არსებობა არც მან უარყო, თუმცა არც სტუდენტების ჟრიამულით გამოწვეული სიხარული დაუმალავს. „რომ გავიგე, ახალგაზრდები ვენახის დასაკრეფად მოდიანო, გამიხარდა. 12 ტონამდე ყურძენი მოვიდა, ბავშვები რამდენსაც გაწვდებიან, იმაზეც მადლობელი დავრჩები. ჩემი ვენახი ახალია, წელს ბოლომდე არ დავტვირთე, მაგრამ მომავალ წელს ნამდვილად ამაზე მეტი მოსავალი მექნება. ცუდი ის არის, რომ ყურძენს რაიონში სულ რამდენიმე ქარხანა იბარებს და გლეხს პროდუქციის ჩამბარებლის მოძებნა უჭირს“, — აღნიშნა მან. სტუდენტების მიერ დაკრეფილი ყურძენი ღვინის კომპანია „წავკისის ველისთვის“ იყო განკუთვნილი, სადაც ამავე სახელობის ღვინოს ჩამოასხამენ, თუმცა ჩამბარებელს აქვს უფლება, ბოთლებში ჩამოსხმული პროდუქცია ბაზარზე მისთვის სასურველი სახელწოდებითაც გავიდეს.

როგორც სტუდენტური რთველის მიმდინარეობით და მიღებული შედეგით აღფრთოვანებულმა „რთველი 2007“-ის კოორდინატორმა დავით ბერიძემ აღნიშნა, კახეთში რთველი ორ კვირაში მთლიანად დასრულდება. ქარხნებს, ფერმერებსა და გლეხებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ყურძნის რაოდენობა ცოტა არ არის და არც ღვინის ჩამოსხმა იქნება რთული. „რა თქმა უნდა, პრობლემები ყოველთვის არსებობდა და ახლაც არსებობს, მაგრამ საქმე ისე ნამდვილად არ არის, რომ ვენახის გაჩეხვის ცალკეულ პრეცედენტს ხალხმა მხარი აუბას. უბრალოდ, გლეხს მეტი აქტიურობა მართებს ვენახის მოყვანისა და შემდეგ მოსავლის ჩამბარებელი ობიექტის მოძიებისას“, — აღნიშნა დავით ბერიძემ.

უკვე განხორციელებული სტუდენტური იდეის ფონზე ახალგაზრდებმა შესაშურად იშრომეს და იხალისეს კიდეც. ყურძნის კრეფაში აზარტულობის ხარისხზე უფრო მეტად მათი უმრავლესობის გამოუცდელობამ და ამით გამოწვეულმა ინტერესმა იმოქმედა. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი მათგანი რთველში პირველად არ იყო, ყურძნის საჭრელად დარიგებულ დანებზე თითები თითქმის ყველამ „შეიჭრა". სამაგიეროდ, გამოუცდელობა არ დატყობია მათ ცეკვა-სიმღერას. გოგონებს ყველაზე მეტად დაკრეფილი ყურძნით დამძიმებული ვედროების გამოტანა უჭირდათ, ბიჭები კი, უპრეტენზიოდ ასრულებდნენ ორმაგ სვლას და ლაფეტი თვალის დახამხამებაში რამდენჯერმე, შესაძლოა, ამიტომაც შეივსო. სტუდენტები ცოტა დაიღალნენ, თუმცა ეს არცერთ მათგანს არ უღიარებია. პირიქით, შესვენების მიზნით, ჩრდილში შეკრებილთა შორის მორიგი ინიციატივა გაჩნდა — თვის ბოლოსთვის დასავლეთ საქართველოში მანდარინობა იწყება და დახმარება იქაურ მშრომელებსაც სჭირდებათ. ინიციატივის განხორციელებაში თეონა ჭალიძეს კვლავ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ცხელი ხაზის“ საფუძვლიანი იმედი აქვს.

იურიდიული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტები ირინა ჩიხლაძე და მარი დოლიძე რთველში პირველად მოხვდნენ და ძალიან მოეწონათ:

— მოკრეფა ადვილია, მაგრამ ვედროები ძალიან მძიმდება. მეგობრებთან ერთად ყოფნა, სადაც არ უნდა იყო, ყველგან კარგია, თან მუშაობის დროს სიმღერასაც არაფერი ჯობია. წინა დღით გავიგეთ, რომ ასეთი აქცია იგეგმებოდა და კარგია, რომ სიაში მოვხვდით.

მიხეილ სამხარაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურის სტუდენტი, ამავე ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარე:

— კიდეც ვმღერი, კიდეც ვხატავ, მაგრამ რთველში დიდი ხანია არ ვყოფილვარ. რა თქმა უნდა, შთაბეჭდილება დიდი იყო, თან ბავშვობა გავიხსენე, თან პირველკურსელებიც გავახარეთ. გვინდოდა, კახეთს ეგრძნო, რომ ახალგაზრდები მათ მხარში უდგანან. გლეხის მიერ ვენახის გაჩეხვის ფაქტი აღარ უნდა განმეორდეს. თუ უჭირთ, იცოდნენ, რომ დახმარება შეგვიძლია. არა მგონია, საქართველოში ვენახის გაჩეხვის საჭიროება არსებობდეს. სტუდენტებისთვის საინტერესო თავად მოვლენა იყო. ღვინის ფესტივალშიც დიდი სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას. საქართველოში ღვინოს რეკლამა არ სჭირდება, მაგრამ საზოგადოებამ საჭიროა, უფრო მეტად დაინახოს, რომ ღვინო არ არის უბრალოდ სასმელი, რომელმაც ქვეყანას მხოლოდ შემოსავალი უნდა მოუტანოს. ის საზღვარგარეთ ჩვენი სახელმწიფოს იმიჯია.

არჩილ კაიკაციშვილი, იურიდიული ფაკულტეტის მეცხრე სემესტრის სტუდენტი:

— იმის გარდა, რომ პირველად ვნახე, როგორ ხდება რთველის მოწევა, ასევე საფუძველი ჩაეყარა ახალ მეგობრებთან ურთიერთობას. ბევრი თანაუნივერსიტეტელი გავიცანი. კახეთში სტუმრობა სოციალური აქტი იყო: მევენახეობის დარგში არსებობს პრობლემები. ვენახის გაჩეხვის პრეცედენტი, მტკივნეულად აღვიქვი და როგორც ერთ მოქალაქეს, სურვილი გამიჩნდა, რომ რაღაც ფორმით დავხმარებოდი ვენახის ნებისმიერ მეპატრონეს. მაქვს თვითკმაყოფილების დიდი განცდა. ვფიქრობ, უნდა შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ყოველწლიურად საშემოდგომო სამუშაოებში ახლგაზრდების ფართოდ ჩართვას შეუწყობს ხელს. ასევე ხელისუფლების მოვალეობაა, მშრომელ ადამიანებს დროულად გადაუჭრას მოსავლის დაბინავებისა და მისი რეალიზების პრობლემები. დღევანდელმა რთველმა აჩვენა, რომ ერთად ყოფნის შემთხვევაში, შედეგი აუცილებლად კარგი გვექნება. ჩვენი მხრიდან ნაბიჯი უკვე გადადგმულია და ეს ერთჯერად სოციალურ აქტად არ უნდა დარჩეს.

სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურის სტუდენტი ქეთი ასათიანიც აღფრთოვანდა რთველში შემდგარი დებიუტით და, ალბათ, პირველად ინანა, რომ სოფელი არა აქვს.

— ყველაზე მეტად მიხარია, რომ გლეხს ყურძნის მოკრეფაში დავეხმარე, თან ისე, რომ მისი გვარი და სახელიც არ ვიცი. თანაკურსელებთან ერთად ქალაქგარეთ პირველად წამოვედი და უკვე გადავწყვიტე, რომ აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში აუცილებლად ჩავერთო.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსავლის დაბინავების პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. ნოემბერში სტუდენტები მანდარინობაში მონაწილეობის მისაღებად დასავლეთისკენ გაერმართებიან, თუ, რა თქმა უნდა, მორიგი ქილიკის მსხვერპლნი არ გახდებიან.

მოამზადა
ხათუნა ხატიაშვილმა

მარიამ ლორთქიფანიძეს ყოველთვის აქვს უფლება, ყველგან პირველმა თქვას საკუთარი მოსაზრება

მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85-ე წლისთავი

ადამიანის ფასი განისაზღვრება იმით, რასაც ქმნის, თუნდაც მისი ნამოქმედარი სულ მცირედი იყოს. მცირედს კი ნამდვილად ვერ დავარქმევთ იმას, რაც 2007 წლის 11 ოქტომბერს მარიამ ლორთქიფანიძის იუბილის აღნიშვნის ინიციატორებმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებმა: ლევან კიკვიძემ, ოლენა აბრამიშვილმა და გიორგი ასტამაძემ მოახერხეს. სწორედ სიკეთის ქმნის სურვილი, ადამიანურ ბუნებაში ფესვგადგმული ეს გრძნობა ამოძრავებდა ამ სამ ახალგაზრდას, როდესაც ზაფხულის ერთ საღამოს, უნივერსიტეტის ბაღში გადაწყვეტილება მიიღეს და უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერით განახორციელეს კიდეც.

მოეწყო საიუბილეო საღამო, ფოტოგამოფენა, წიგნის „ჩემი გზა (ზოგი რამ რაც გამახსენდა)“ პრეზენტაცია, გამოსაცემად მომზადდა მარიამ ლორთქიფანიძის „სამეცნიერო სტატიების კრებული“, ჩატარდა პროფესორთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, თსუ-ის შემოქმედებითმა ჯგუფმა, ალექსანდრე უნაფქოშვილის ხელმძღვანელობით, ოცდაათწუთიანი დოკუმენტური ფილმი „მარიამ ლორთქიფანიძე 85“ გადაიღო. იუბილარის პატივსაცემად თსუ-ის პირველ კორპუსში 85-ე კაბინეტს (საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიას) „აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის კაბინეტი“ ეწოდა.

მაკა ლდოკონენი

ყოველდღე, ჭავჭავაძის პროსპექტზე, უნივერსიტეტის ბაღში, პირველი კორპუსის ფოიეში, აუდიტორიებსა თუ კაბინეტში უსათუოდ მოჰკრავთ თვალს მშვიდი ნაბიჯებით მიმავალ ჭაღარა ქალბატონს, ზოგჯერ მომღიმარს, ზოგჯერ სევდიანს, ჩაფიქრებულს. ეს მარიამ ლორთქიფანიძეა - ადამიანი, რომლის სახელი და გვარი საქართველოში ყველამ იცის. ქალბატონი, რომელიც საუკეთესო მოგონებებით დასახლებულა გარშემო მყოფთა გულებში: პატარა, გამხდარ გოგონას თავიდან ალმაცერად უყურებდნენ კლასში, მერე ნიჭიერებით, სიბეჯითითა და თავმოყვარეობით გამორჩეულა, და როგორც საუკეთესო მოწაფეს, სკოლა ოქროს მედლით დაუმთავრებია. მეგობრობა და გვერდში დგომაც განსაკუთრებული სცოდნია, ალბათ ამიტომ, კითხვაზე — ვის კლასში ხარ? მარიკა ლორთქიფანიძისო, — პასუხობდნენ მარიამის თანაკლასელები.

„მარიკასთან სტუმრობა განსაკუთრებულად გვიყვარდა, თანაც, პატეფონი მაშინ მარტო მაგას ჰქონდა — ეგ კი, მოგეხსენებათ, „დიდი „როსკოში“ იყო. ვუსმენდით ფირფიტებს, ვერთობოდით, „ბრის ილი მიაუს“ ვთამაშობდით“, — იხსენებს ქალბატონი მარიამის სიყრმის მეგობარი ოთარ ჯაფარიძე.

60-იან წლებში ეროვნული ისტორიებისა და ენების წინააღმდეგ გეგმაზომიერი ბრძოლა დაიწყო. შემუშავდა თვალსაზრისი, რომ საბჭოთა კავშირი ერთი სახელმწიფოა და მისი ისტორია შერწყმულად უნდა იყოს წარმოდგენილი. „სსრკ ისტორიად“ წოდებულ სახელმძღვანელოში საქართველოს ისტორიას მხოლოდ 15 გვერდი დაეთმო. ეროვნული ისტორიის პოზიციების დამცველთა რიგებში მაშინ ქალბატონი მარიამიც ჩადგა. ამ ადამიანთა ძალისხმევით, საქართველოს ისტორია ვერ ამოიღეს საშუალო სკოლის პროგრამიდან – ეს კი კომუნისტური რეჟიმის პირობებში საკმაოდ რთული მისაღწევი გახლდათ.

1988 წელს თბილისის სასულიერო აკადემიამ განაახლა მუშაობა. მრავალი სასულიერო თუ საერო პირი ამ ფაქტს სკეპტიკურად უყურებდა და მიაჩნდათ, რომ სასულიერო აკადემიას კომპეტენტური კადრები არ ჰყავდა. იმ დღიდან მოყოლებული ქალბატონი მარიამი თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი გახლავთ.

გმირობის ტოლფასი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება ამ ადამიანის ცხოვრებიდან. ქარტეხილებით აღსავსე ბიოგრაფიის ფონზე უსათუოდ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც: თუ ადამიანი ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის მონაწილეა, ეს მისი დანაშაული როდია. ნებისმიერი მოქალაქისთვის, მითუმეტეს ისტორიკოსისთვის, საზოგადოებრივი პოზიციის დაფიქსირება ბუნებრივი საქციელია. ასაკი დანაშაული არ გახლავთ და იგი სხვისთვის გაღიზიანებისა და ჩრდილის მიყენების მიზეზად არ უნდა იქცეს.

„ვისაც კომუნისტური რეჟიმის პირობებში არ უმუშავია (პირველ რიგში, ისტორიკოსებს, საქართველოს ისტორიის მკვლევარებს ვგულისხმობ), გაუჭირდება იმის გაგება, თუ როგორი მარწუხების ქვეშ იმყოფებოდნენ ისინი... ვინც მუშაობს, მას შეცდომაც მოსდის, უშეცდომო მხოლოდ ისაა, ვინც არაფერს აკეთებს“, — მიაჩნია ქალბატონ მარიამს.

სწორედ ამიტომ, დღესდღეობით ქალბატონი მარიამი ქართველი ხალხის შეგნებული ნაწილის პატივისცემასა და აღიარებას იმსახურებს. ამიტომ თამამად აცხადებს, რომ არასოდეს ჰქონია უკმარისობის განცდა ახლობლებისა თუ კოლეგების მხრიდან, რომ ყოველთვის სათანადოდ იყო დაფასებული. 85 წლის იუბილეზე საკუთარი მოსწავლეების მონდომებამ კი, როგორც თავად აცხადებს, რამდენიმე წლის სიცოცხლე შემატა.

„რთულია დაიმსახურო სიყვარული სტუდენტების მხრიდან. ამგვარ ჯილდოს მხოლოდ დიდი შრომის, მეცნიერული ნიჭიერებისა და მრავალწლიანი კეთილსინდისიერი საქმიანობის შედეგად თუ მოიპოვებს პროფესორი,“ — განაცხადა საიუბილეო საღამოზე თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

მართლაც, დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო დამსახურებაზე. პირველი ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეების კორიფეების მოსწავლესა და კოლეგაზე.

„მე ქართული მეცნიერების განვითარებისა და მისი ტრიუმფის მომსწრე ვარ, კარგად მახსოვს, როგორ იმსახურებდნენ მსოფლიო აღიარებას ქართული სამეცნიერო სკოლები. წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი ისეთი შესანიშნავი ლექტორების სტუდენტი, როგორებიც იყვნენ: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ალექსანდრე ნამორაძე, იასე ცინცაძე, გიორგი გოზალიშვილი, გიორგი ნიორაძე, გიორგი ჩიტაია - თითოეული მათგანი საკუთარი დარგის საუკეთესო სპეციალისტი გახლდათ და სიკეთის კეთების დიდი სურვილი შინაგან მოთხოვნილებად ჰქონდათ გადაქცეული,“ — იხსენებს ქალბატონი მარიამი.

პირველ სექტემბერს უნივერსიტეტში მოსულ პირველკურსელ (ისტორიის ფაკულტეტზე - ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით) მარიამ ლორთქიფანიძეს ცხრილში ივანე ჯავახიშვილის ლექციების ძებნა დაუწყია. აღმოჩნდა, რომ, ივანე ჯავახიშვილი ისტორიკოსებთან ლექციების კითხვას მხოლოდ მესამე კურსიდან იწყებდა. მაშინ იურისტების ლექციებზე დასწრების ნება უთხოვია და მიუღწევია კიდეც საწადელისთვის.

დღეს კი თსუ-ში არა ერთი სტუდენტი აბარებს მხოლოდ იმის გამო, რომ ქალბატონი მარიამის ლექციებს დაესწროს, მოისმინოს მისი მოსაზრებები საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებსაც ქალბატონი მარიამის საგანი პირველ კურსზე არ ეკითხებათ, მის ლექციებზე დასწრებას ითხოვენ და, ეს, ბუნებრივია. უნივერსიტეტი მარიამ ლორთქიფანიძისთვის არასოდეს ყოფილა სამსახური. აქ მან საკუთარი ცხოვრების შეგნებული ნაწილი სამშობლოსა და ხალხის სამსახურში გაატარა. თავისი ცოდნა და სიკეთე ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის ზრუნვას მოახმარა. ამიტომაც აცხადებს სრული პასუხისმგებლობით: „მცირედ ნაწილს მაინც თუ ვიმსახურებ, რაც ჩემს შესახებ დაიწერა და ითქვა, ვთვლი, რომ ჩემი ვალი მოვიხადე!“.

მარიამ ლორთქიფანიძეს ყოველთვის აქვს უფლება, ყველგან პირველმა თქვას თავისი მოსაზრება, რადგან მან ეს თავისი განათლებით, ამ ქვეყნისადმი სამსახურით, ეროვნულ პოზიციებზე დგომით დაიმსახურა. თუკი რომელიმე პოლიტიკანს თავისი სუბიექტური დამოკიდებულებების გამო სურს, ჩრდილი მიაყენოს ქალბატონ მარიამს, ეს მხოლოდ მისი პიროვნული პრობლემა იქნება და ამით ის პოლიტიკურ დივიდენდებს ვერ დააგროვებს.

შურთხია გეროშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარაჯიშვილის სახელობის აუდიტორიაში ახლად შექმნილი „თავისუფალ სტუდენტთა ასოციაციის“ წევრები შეიკრიბნენ. მათ უნივერსიტეტის სტუდენტებს ასოციაციის წესდება გააცნეს და რექტორის სახელზე მიღებული პეტიცია წაუკითხეს.

როგორც ასოციაციის თავმჯდომარემ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მახარე მერაბაშვილმა განაცხადა, ასოციაციის მიზანია, სტუდენტების უფლებათა დაცვა და მათი აქტიური ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მისი ინფორმაციით, ასოციაციაში გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც ერთობლივად განიხილავენ პრობლემებს და ეძებენ არსებული სიტუაციიდან გამოსავალს.

ასოციაციის ერთერთი წევრის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის ნანა კალანდარიშვილის განცხადებით, სარაჯიშვილის აუდიტორიაში შეკრებილი სტუდენტები აპროტესტებდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას კრედიტებთან დაკავშირებით. მისივე ინფორმაციით, მათ მოთხოვნას უკვე 2500 სტუდენტი შეუერთდა და, შესაბამისად, ასოციაციამ მიიღო „პეტიცია“, რომელიც უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას გაეგზავნება.

შეხვედრაზე სტუდენტებმა კრედიტების გაზრდა მოითხოვეს და სემესტრული საფასურის — 750 ლარის გადახდა გააპროტესტეს.

პროტესტი

ვინც არ სწავლობს, ის მეტს იხდის! – „თავისუფალ სტუდენტთა ასოციაცია“ ამ ფორმულირების წინააღმდეგ

„ჩვენი აზრით, ეს გადაწყვეტილება უსამართლოა და ლახავს სტუდენტთა უფლებებს, ვინაიდან არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მათ და აიძულებს გადაიხადონ უსამართლოდ გაზრდილი გადასახადი. მაშინ, როდესაც სტუდენტი კონკრეტულ გადასახადს უნდა იხდიდეს კონკრეტული საგნის კრედიტის საფასურის შესაბამისად (მაგალითად, თუ სტუდენტს აკადემიური ხარისხის მისაღებად დააკლდა 5 კრედიტი, მან მთელი სემესტრის საფასური კი არ უნდა გადაიხადოს, არამედ მხოლოდ 5 კრედიტის ექვივალენტური ღირებულება).

ასევე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კრედიტების რაოდენობა შეზღუდულია 30-მდე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თუ სტუდენტი თუნდაც ერთ საგანს ვერ ჩააბარებს, ავტომატურად გაივლის დამატებით სემესტრს, ანუ გადაიხდის 750 ლარს.

ჩვენი აზრით, კრედიტების ასეთი სისტემა გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს სტუდენტებს და საბოლოოდ უბიძგებს, რომ დამატებითი თანხები შეიტანონ ბიუჯეტში. აქ უკვე საუბარი აღარ არის იმაზე, რომ აღნიშნული წესი არ უნდა ეხებოდეს მოქმედ სტუდენტებს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს წესი ამძიმებს სტუდენტის მდგომარეობას“, — აღინიშნა შეხვედრაზე.

ასოციაციაში სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებიც არიან გაერთიანებულნი, მაგრამ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს აუცილებლად უნდა სცოდნოდათ, რომ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებაში უკვე შესულია ცვლილება, რომლის თანახმად 2007-2008 სასწავლო წელი გარდამავალ პერიოდად გამოცხადდა.ამასთან, რექტორის 2007 წლის 5 სექტემბრის ბრძანების მე-11 პუნქტში ცვლილება შევიდა, კერძოდ, სტუდენტებზე არსებული საკრედიტო დავალიანების საფასური 2008 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრება ცალკეული დისციპლინის კრედიტების რაოდენობაზე გათვლით და 1 კრედიტის საფასური არის 25 ლარი. ბრძანებაში ჩაწერილია პუნქტი, რომლის მიხედვით, თუ სტუდენტი 1 იანვრის შემდეგ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოაგროვებს კრედიტების საჭირო რაოდენობას, უფლება აქვს, შეინარჩუნოს სტატუსი დამატებით ოთხი სემესტრის განმავლობაში, მაგრამ მან უკვე უნდა გადაიხადოს სრული სემესტრული გადასახადი.

ინფორმაცია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ წინა ნომერშიც გამოქვეყნდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ინფორმაციამ ასოციაციის წევრებამდე ვერ მიაღწია.

პეტიციაზე ხელმომწერმა 2500-მა სტუდენტმა, შესაძლოა, არც ის იცის, რომ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავს შექმნას სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომლის უმთავრესი ფუნქცია სტუდენტების წინადადებების და საჩივრების განხილვა იქნება. ასევე იქმნება ვებგვერდი, რომელიც დამატებითი მექანიზმი იქნება იმისთვის, რომ ინფორმაცია სტუდენტებამდე დროულად მივიდეს.

სტუდენტთა უფლებათა დაცვა, თავისთავად, კეთილშობილური მიზანია, მაგრამ ამას ობიექტურობა და იმ საკითხში კარგად გარკვევა სჭირდება, რომელსაც განიხილავ და იცავ, სხვანაირად ამას ახალგაზრდების შეცდომაში შეყვანა ჰქვია.

ჩემი პრინციპია, რომ მწერალი არ იყოს დავალებული ხელისუფლებისგან

შეხვედრა ლაშა ბუღაძესთან

თურმე, ამ სამყაროში, ერთადერთი სფეროა ლიტერატურა, სადაც არ გატყუებენ!... როდესაც ადამიანს უჭირს ტყუილ-მართალისა და შავ-თეთრის გარჩევა, აქაც ლიტერატურაა მშველელი!...

ეს „საიდუმლო“ მწერალმა ლაშა ბუღაძემ თსუ-ში გამართულ შეხვედრაზე „გაანდო“ პირველკურსელებს. მართალია, ლაშა ბუღაძე მორალისტ მწერლად არ მიიჩნევს თავს, მაგრამ მისგან ბევრი შეიძლება ისწავლო და სასიკეთო რჩევებიც მიიღო. თინეიჯერების საყვარელი მწერალი და დრამატურგი ილიას და ჯავახიშვილის იდეების გამზიარებელია. მწერლის აზრით, მათი მოღვაწეობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ისინი სოციალური კრიტიკოსები იყვნენ და მათ ნაწარმოებებს სარკის ეფექტი ჰქონდა. ლაშა ბუღაძეს, ასევე, ძალიან მოსწონს ლათინოამერიკული მწერლობა — მარკესი, ბორხესი, კორტასარი... მისი აზრით, 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურაზე სწორედ მათ მოახდინეს გავლენა.

ლაშა ბუღაძე კარგად იცნობს თეატრალურ სამყაროსაც. მან ქართველ მაყურებელს თავი დაამახსოვრა როგორც სკანდალურმა დრამატურგმა. იგი მიიჩნევს, რომ მწერალმა სოციალური რეალობა უნდა ასახოს.

როგორც თვითონ ამბობს, გაუმართლა, რომ კარგი ქართულის მასწავლებელი შეხვდა და წიგნის კითხვა შეაყვარა, შემდეგ კი თვითონაც სცადა ბედი მწერლობაში. „ერთერთი მიზეზი, თუ რატომ ეზარებათ საქართველოში კითხვა, არის ის, რომ ადამიანები წიგნის სამყაროში არასწორად შეიყვანეს. მათ ცნობიერებაში კითხვა საშინელ სიმძიმესთან არის დაკავშირებული. წიგნის კითხვა არ უნდა იყოს მხოლოდ მოვალეობა, ის სიამოვნებას უნდა განიჭებდეთ“, — ურჩია პირველკურსელებს საყვარელმა მწერალმა.

„ლაშა ის მწერალია, რომელიც განსაკუთრებით კარგად იცნობს თანამედროვე ახალგაზრდების ფსიქოლოგიას, მისი ნაწარმოებებისადმი განსაკუთრებული ინტერესი იმითაც აიხსნება, რომ მწერალი მათთვის ახლობელ თემებზე საუბრობს, მისი პიესები წარმატებით იდგმება ქართულ სცენაზე. დიდი ხანია, მასთან ვმეგობრობთ, ამიტომ უნივერსიტეტში ყოველთვის სასურველი სტუმარია,“ — განაცხადა თსუ თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის უფროსმა თეონა ჭალიძემ.

„თავისუფალი თემა“ — ასე დაარქვეს სტუდენტებმა შეხვედრას, რომელიც კითხვა-პასუხის ფორმატით წარიმართა:

— რა აზრის ხართ მწერლის მოქალაქეობრივ პოზიციაზე, რამდენად უნდა იყოს ჩართული იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში?

— ეს შეკითხვა ძალიან ქრესტომათიულია. საქართველოში ყოველთვის არსებობდა მოსაზრება, რომ მწერალი, მაინცდამაინც, ჰუმანიზმის სადარაჯოზე უნდა იდგეს და აკეთილშობილებდეს კაცობრიობას. ეს ძალიან რთულია. უმთავრესი იმპულსი, თუ რატომ იწყებს მწერალი წერას, არის ის, რომ მას სხვა ადამიანებისგან განსხვავებით, მიაჩნია, რომ ის ამბები, რომელსაც ის თხზავს, არ შეუძლია, სხვასაც არ მოუყვეს. მწერლის განცალკევება სხვა მოქალაქისგან არასწორია. მწერალიც ისევე ბრაზდება, როგორც ბიოლოგი, ისიც ისევე ნერვიულობს, როგორც ექიმი. ასე რომ, ადამიანის სამოქალაქო აქტიურობა არ განისაზღვრება პროფესიით. საბჭოთა პერიოდში ის მწერლები აქტიურობდნენ და იდგნენ ტრიბუნასთან, რომლებიც მართალია, ნიჭით დიდად არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ იყვნენ მებაირაღენი და ხელისუფლების იდეების გამხმოვანებლები. იმ დროს დაწერილი ზოგიერთი წიგნი კომენტარია იმ რეალობისა, რომელიც, სამწუხაროდ, არსებობდა და ეს რეფლექსურად გადმოგვყვა კიდეც. თავისი პოზიციის დაფიქსირება ყველა ადამიანს შეუძლია. ჩემი პრინციპია, რომ მწერალი არ იყოს დავალებული ხელისუფლებისგან. არ მიყვარს დიდაქტიკური ტონი, მაგრამ ნაწარმოებში მწერლის პოზიცია უნდა ჩანდეს, თუმცა ძალიან ფრთხილად, რომ მორალისტურ სიბრტყეში არ გადაიჭრას. თუ პოზიცია არ ჩანს, გაუგებარია მწერლის ღირებულებები.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პროზა, რაც უნდა სიმბოლისტური, სიურეალისტური, ექსპერიმენტალური ან ავანგარდისტული იყოს, მაინც პრობლემებზე საუბრობს. როგორც ჩანს, საქართველოს ჭირდებოდა და დღესაც ჭირდება კრიტიკული აზროვნება.

— თანამედროვე ქართველი მწერლები ხშირად თავს არიდებენ ლიტერატურულ ენას, ხშირად ისინი უხარისხოდ ასახავენ რეალობას, რა არის ამის მიზეზი?

— ენა ურთიერთობის მთავარი კომპონენტია. არსებობდა ენა, რომლითაც ჩვენი წინაპრები საუბრობდნენ, სხვაგვარად საუბრობენ ჩვენი მშობლები, სხვა ენა ისმის ქუჩაში, სხვა — ტელევიზიით. ზოგიერთს წარმოუდგენია, რომ თუ ლიტერატურას ქმნი, მაინცდამაინც აღმატებული ენა უნდა გამოიყენოს მწერალმა. დღეს ლიტერატურა მკვეთრად სოციალური გახდა. ვერ დავეთანხმები იმ კრიტიკოსებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქართული ლიტერატურა არ ასახავს რეალობას. პირიქით, ჩემი აზრით, ერთადერთი, რასაც თანამედროვე ქართული ლიტერატურა ასახავს, რეალობაა. თემა და შინაარსი განაპირობებს ენას და სტილს. ძველი ბიჭები შუშანიკის ენით ხომ არ ისაუბრებენ? მართალია, არიან ისეთი მწერლები, რომელთა ნაწარმოებები უფრო ახლოს არის მსუბუქ ჟურნალისტიკასთან, ვიდრე მწერლობასთან, მაგრამ არიან ღირსეულნიც — მაგალითად, აკა მორჩილაძე, რომელიც აბსოლუტურ დამაჯერებლობას აღწევს რეალობის აღწერისას.

— როგორც იცით, უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა თეატრალური დასი, თქვენი აზრით, გაამართლებენ?

— ძალიან კარგი იქება, რომ ეს ტრადიცია დამკვიდრდეს უმაღლეს სასწავლებლებში. არავინ იცის, რა მოულოდნელობებს შემოგვთავაზებს ცხოვრება, შეიძლება სხვა პროფესია ავირჩიოთ, მაგრამ სულ სხვაგან გამოვავლინოთ ჩვენი უნარები და ამას ხელშეწყობა ჭირდება. კარგი იქნება, სოციალურ კომპონენტებსაც თუ გაითვალისწინებთ. ბროდვეიზე არის თეატრები, რომლებიც კონკრეტულ პრობლემაზე, მაგალითად, დანგრეული ოჯახების, ოჯახური ძალადობის, აბორტის თემებზე იდგმება. ასობით პიესა იწერება. უმეტესი მათგანი ლიტერატურულად ღირებული არ არის, მაგრამ, თავისთავად, ეს პროცესს ქმნის.

— თქვენი აზრით, რომელი წიგნია დღეს ყველაზე მაღალრეიტინგული, რომელი მწერლის წიგნები იყიდება ყველაზე მეტად?

— ამერიკის ერთერთმა სააგენტომ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიხედვით „ჰარი პოტერი“ წიგნების საუკეთესო სამეულში მოხვდა. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. პირველ ადგილზეა ბიბლია, მეორეზე — „ჰარი პოტერი“, მესამეზე — ყურანი.

სხვათაშორის, გაცილებით კარგ ზღაპრებს წერდნენ ანდერსენი და ჰოფმანი, მაგრამ რატომღაც „ჰარი პოტერი“ ბევრად უფრო პოპულარულია. შეიძლება იმიტომ, რომ მასში აღწერილი ამბები უფრო სიტუაციურია. დღეს ამ წიგნის წყალობით ერთ დროს ყველაზე უსუსური და ღარიბი გამომცემლობა ერთერთი მდიდარია მსოფლიოში.

საქართველოში ყველაზე კარგად გოჩა მანველიძის წიგნები იყიდება. ეს არის მასკულტურული ტიპის ლიტერატურა, მაგრამ, ალბათ, ესეც დროის მოთხოვნაა. როდესაც საუბრობენ ქართული ლიტერატურის და საზოგადოების პრობლემებზე, ყოველთვის მინდა პესიმისტებს ვუპასუხო: დღეს ნებისმიერი სახის ლიტერატურა იქმნება. ქართველი მკითხველი რომ არსებობს, ამის დასტურია ტრადიციად ქცეული წიგნის ბაზრობები, რომელიც ყოველწლიურად იმართება. ამით იმის თქმა მინდა, რომ არც ისე უიმედოდ გვაქვს საქმე.

მრგვალი მაგიდა

დისკუსია კონსტიტუციური მონარქიის დამყარების თაობაზე

12 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური გაზეთის „ახალგაზრდა იურისტისა“ და სტუდენტური მოძრაობა „პირველების“ ძალისხმევით გაიმართა დისკუსია საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარების

თაობაზე, რომლის ინიციატივაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს ეკუთვნის. შეხვედრას ესწრებოდნენ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე, მწერალი ლაშა ბუღაძე, უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

„ქართველი ერი თავისი სულიერი მწყემსის მოსაზრებას ანგარიშს უწევს. საბოლოო სიტყვა კი საზოგადოებაზეა, რომელმაც უნდა დაინახოს ამ საკითხის სამართლებრივი, ისტორიული და რეალური ასპექტები“, — განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა არჩილ კაიკაციშვილმა.

შეხვედრაზე, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, თავისი მოსაზრებები გამოთქვა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დავით კერესელიძემ. დისკუსიაში ჩაერთვნენ სტუდენტებიც. გადაწყდა, რომ დისკუსიები ამ თემის ირგვლივ კვლავ უნდა გაგრძელდეს.

ბლიც-ინტერვიუ

თსუ-ის კურსდამთავრებულებს კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი მიენიჭებათ

ხათუნა ხატიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სამაგისტრო პროგრამების ნუსხას გერმანული სამართალი დაემატა.

გერმანული სამართალი კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამაა, რომლის სრულ სალექციო კურსს თსუ-ში გერმანელი პროფესორები წაიკითხავენ. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი მიენიჭებათ, საუკეთესო შედეგების მქონე მაგისტრები კი, სწავლას კიოლნის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში გააგრძელებენ. გერმანიის საელჩოს წარმომადგენლების, პროგრამის დამფინანსებლისა და გერმანელი პროფესორების მონაწილეობით 4 ოქტომბერს გერმანული სამართლის პროგრამა საზეიმოდ გაიხსნა. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტმა" რამდენიმე შეკითხვით თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს დავით კერესელიძეს მიმართა.

— ბატონო დავით, რით გამოირჩევა ახალი გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამა იმ დანარჩენი სამაგისტრო სასწავლო გეგმისგან, რომელიც იურიდიულ, ან უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე მოქმედებს?

— ეს არის თსუ-ისა და კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების ერთობლივი პროგრამა, რომელიც სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის ერთობლივად მინიჭებას ითვალისწინებს. ეს პროექტი არის პირველი, რომლითაც, პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოში ხარისხის მინიჭება გერმანული ფაკულტეტის მხრიდან მოხდება. ასეთი ქართველი მაგისტრები კიოლნის უნივერსიტეტის დიპლომებს მიიღებენ. ბოლონიის პროცესის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლაა. ამ მიმართულებით ნაბიჯი დიდი ხანია გადავდგით, როცა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და, კონკრეტულად, იურიდიულ ფაკულტეტებთან ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობები დავიწყეთ, მაგრამ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც, რეალურად, ერთობლივ პროგრამაზეა საუბარი. ბოლონიის კონტექსტიდან გამომდინარე, ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ ეს ითვლება.

— 2007 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, თსუ-ის სხვა ფაკულტეტებთან შედარებით, პირველ კურსზე ჩარიცხულთა რაოდენობა ტრადიციულთან შედარებით ნაკლებად რეიტინგული აღმოჩნდა. ამის მიზეზად რას მიიჩნევთ?

— პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მცირეა, რადგან მისაღები კონტინგენტიც მცირე გვყავს. იურიდიულ ფაკულტეტზე სამი მიმართულების გაერთიანების შემდეგ 6 ათასამდე სტუდენტი იყო და მათი შემცირება აუცილებელი გახდა. რეფორმამდე ბიზნესის სამართალი და საერთაშორისო სამართალი ცალ-ცალკე იყო, ჰუმანიტარული ფაკულტეტიც კი, სამართალს ასწავლიდა. სტუდენტების ასეთი მრავალრიცხოვანი კონცენტრაცია, შესაბამისად, ამ სინთეზმა გამოიწვია. ახლა კლების ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს. ჩვენ სწავლის განსაკუთრებული რეჟიმი გვაქვს არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ საქართველოს მასშტაბით. თითოეულ სემესტრში რამდენიმე ასეული სტუდენტი ასეთ რეჟიმს თავს ვერ ართმევს და სხვა უნივერსიტეტში, ან სხვა ფაკულტეტზე გადადის. მთლიანობაში, ამჟამად, ბაკალავრიატში, დაახლოებით, 1 200-მდე, სამაგისტრო პროგრამებზე 200-მდე სტუდენტი და 300 დოქტორანტი სწავლობს.

დაკვეთა ზემოდან და პასიურობა ქვემოდან

რატომ არ არსებობს დღემდე უნივერსიტეტისთვის საჭირო სახელმძღვანელოების ნუსხა?

მე-4 გვერდიდან

უნივერსიტეტის პროფესორები, სახელმძღვანელოებთან ერთად, სილაბუსების რეცენზირების პრობლემასაც აყენებენ. მათი აზრით, დიდია ალბათობა იმისა, რომ სარეცენზიო სილაბუსი იმ ადამიანის ხელში აღმოჩნდება, რომელმაც წინა კონკურსში ვერ გაიმარჯვა ან მომავალში აპირებს მონაწილეობას, რაც რეცენზიის ობიექტურობას ეჭვქვეშ დააყენებს.

მათ, ასევე, მიუღებლად მიაჩნიათ ამ საკითხის მხოლოდ უცხოელი ექსპეტების დახმარებით გადაწყვეტა. „ჯერ ერთი, უცხოელებს არ უყვართ ცუდი რეცენზიების წერა, მეორეც, წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მათ მხოლოდ მწირი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეთ ჩვენს აკადემიურ გარემოზე. არის კიდევ ერთი, ვფიქრობ, არც ისე უმნიშვნელო მომენტი: უცხოელებზე აქცენტის გადატანით ჩვენ შეიძლება უნებურად უნდობლობა გამოვუცხადოთ ჩვენს პროფესურას და ექსპერტებს, არასასურველი ფსიქოლოგიური კლიმატი შევქმნათ და გადაჭარბებული ადმინისტრირების წნეხის ქვეშ მოვაქციოთ ადამიანები, რითაც, პირველ რიგში, საუნივერსიტეტო რეფორმა დაზიანდება. რეცენზირება აუცილებელია, მაგრამ კარგად უნდა მოვიფიქროთ მისი ფორმები და კრიტერიუმები“, — აღნიშნა პროფესორმა ზაზა ფირალიშვილმა.

დასმული საკითხებიდან, შესაძლოა, ზოგიერთი სადავო იყოს, მაგრამ ის, რაშიც პროფესურასაც და სტუდენტსაც ერთნაირად სჭირდება უნივერსიტეტის დახმარება, სახელმძღვანელოებია. ამ დიალოგის შემდეგ, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა — რა კეთდება ამისთვის უნივერსიტეტის მხრიდან, როგორ ივსება ბიბლიოთეკა, რა ახალი სახელმძღვანელოები იბეჭდება უნივერსიტეტის გამომცემლობაში.

გამომცემლობის დირექტორთან, ნუგზარ წიკლაურთან საუბარში გაირკვა, რომ თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი ქართული სახელმძღვანელოების ბეჭდვა ჯერ ისევ პრობლემაა, რადგან აქამდე ინერციით გრძელდებოდა საფაკულტეტო სარედაქციო საბჭოების მიერ ყველა წიგნისთვის გაცემული რეკომენდაციების მავნე ტრადიცია. გამომცემლობა კი ცდილობს უნივერსიტეტის გრიფით მხოლოდ მაღალი დონის და სასწავლო ღირებულების მქონე ლიტერატურა გამოსცეს. „ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ უნივერსიტეტმა თანხები არასაჭირო წიგნების დაბეჭდვისთვის დახარჯოს. მაგალითად, იყო ისეთი შემთხვევები, როცა მოგვმართეს 30 წლის წინ გამოცემული წიგნის ხელახალი დასტამბვის მოთხოვნით. მიმაჩნია, რომ მეცნიერება დღეს ძალიან დინამიურად ვითარდება და 30 წლის წინანდელი სახელმძღვანელო, რაგინდ საუკეთესო არ უნდა იყოს, ვერ გამოადგება სტუდენტებს“, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა. მისი თქმით, გამომცემლობას აქვს გამოკვეთილი პოზიცია — თუკი არსებობს მაღალი დონის სახელმძღვანელო რომელიმე მიმართულებით, განსაკუთრებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, უნდა ითარგმნოს. სხვა შემთხვევებში კი უნდა მოიძებნოს კლასიკურად აღიარებული ლიტერატურა, მოიპოვონ მისი თარგმნის და დაბეჭდვის უფლება.

„რაც შეეხება ქართველოლოგიას, აქ სხვა მიდგომაა. ეს მიმართულება ჩვენია და ჩვენვე უნდა მივაქციოთ ყურადღება. მაგალითად, მზად გვაქვს თამაზ გამყრელიძის „თეორიული ენათმეცნიერება“, მერაბ ჩუხუას „ქართულ-იჩქერიული ენების შედარებითი გრამატიკა“, აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“ ბატონი აკაკის კომენტარებით, ასევე ალბომი „საქართველო — კოსტიუმი, ტიპაჟი, ორნამენტი“. ასე რომ, უნივერსიტეტის გამომცემლობა დააფინანსებს ქართველოლოგიას. სხვა მიმართულებებმა კი თვითონ უნდა იაქტიურონ, რომ მოგვაწოდონ იმ ლიტერატურის ნუსხა, რომელიც თანამედროვე სწავლებისთვისაა აუცილებელი“, — განაცხადა გამომცემლობის დირექტორმა.

რაც შეეხება დასაბეჭდად გამზადებულ სახელმძღვანელოებს, ბატონი ნუგზარის თქმით, უნივერსიტეტის გამომცემლობა ბევრ საინტერესო სიახლეს ჰპირდება საუნივერსიტეტო საზოგადოებას, მაგალითად, დასაბეჭდად გამზადებულია კისის „სტატისტიკა“, გაიტონისა და ჰილის ცნობილი და საუკეთესოდ აღიარებული სახელმძღვანელო, რომელსაც თარგმნიან ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, ასევე დაგეგმილია გამოიცეს „ნეიროანატომია“ და მსოფლიოში საუკეთესო სახელმძღვანელოდ მიჩნეული ჰარისონის „შინაგანი სნეულებანი“.

გამომცემლობას განზრახული აქვს დაისტამბოს ოქსფორდის სერია, რომელიც, მართალია, სახელმძღვანელო არ არის, მაგრამ სწავლების პირველ საფეხურზე, ზოგადი განათლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ესენია ჯონ ამოლდის „ისტორია“, ჯონათან ქულერის „ლიტერატურის თეორია“, ბატერის და მაკმანუსის „ფსიქოლოგია“, პიტერ კოლისის „კოსმოლოგია“ და სუზან ბლეკბორის „ცნობიერება“, ზიმბარდოსა და გერიკის მთელ მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელო „ფსიქოლოგია და ცხოვრება“.

„შეამჩნიეთ, ალბათ, რომ რამდენიმე წიგნია მედიცინის სფეროდან. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენ უშუალო კონტაქტები გვაქვს მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან, სანდრო ცისკარიძესთან და მასთან კონსულტაციის შემდეგ დავადგინეთ იმ წიგნების სია, რომლის უპირველესი საჭიროებაც არსებობს. სხვა ფაკულტეტებთანაც გვაქვს კონტაქტები, მაგრამ მათ შორის მედიცინის ფაკულტეტი გამორჩეულად აქტიური და მოწესრიგებულია.

რაც შეეხება ავტორებს, ჩვენ დავბეჭდეთ როლანდ თოფჩიშვილის სახელმძღვანელო „ევროპისა და ამერიკის ხალხების ეთნოლოგია“, ასევე გამოსაცემად მზადდება მიხეილ ქურდიანის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“, ლელი ბარამიძის „ქართული ენის ისტორიული გრამატიკა“, ზურაბ კიკნაძის „ქართული ფოლკლორი“, „ქართული ჟურნალისტიკის ქრესტომათია“, რომელიც მოიცავს XIX საუკუნეს. ვაპირებთ გამოვცეთ ზურაბ ქომეთიანის „მემბრანოლოგია“, არნოლდ გეგეჭკორის „ბიოგეოგრაფია“, რომელიც შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნი იქნება“, — აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

ამჟამად გამომცემლობაში დასასტამბად შეტანილია კიდევ რამდენიმე ნაშრომი და მიმდინარეობს მისი ექსპერტიზა. საბოლოო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, გამოიცეს თუ არა უნივერსიტეტის გრიფით ეს წიგნები, მიღებული არ არის.

ამ ეტაპზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ უნივერსიტეტის გამომცემლობა ტენდერის ჩატარებას ელის. გამარჯვებული ფირმა წლის ბოლომდე გამოსცემს 25-მდე ახალ, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დასტამბულ წიგნს.

„შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებული ბიბლიური ტექსტი შეიძლება სულაც არ იყო ქართული ?!

ქართულ-ებრაული დისკუსია

შურთხია გეროშვილი

— მე ისრაელში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი საქმიანობა იმის საშუალებას მაძლევს, რომ იქაც საქართველოს ვემსახურო, — განაცხადა ქართველმა ებრაელმა მეცნიერმა და მთარგმნელმა, რეუვენ ენუხმა თსუ-ში გამართულ შეხვედრაზე, სადაც საჯარო ლექცია — ,,ფიქრები ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანების შესახებ“ წაიკითხა.

ებრაული ენა რეუვენ ენოხმა დიდი მეცნიერების: აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, ივანე ქავთარაძის რჩევით შეისწავლა. იგი მათ დამსახურებად მიიჩნევს, რომ ებრაულ კულტურას ეზიარა. პირველად ვარლამ თოფურიას დავალებით დაიწყო მუშაობა ქართველ ებრაელთა სამეტყველო ენის შესწავლაზე და ამ მიზნით საქართველოს ყველა კუთხე შემოიარა. თუმცა პედაგოგის გარდაცვალების შემდეგ ამ თემაზე მუშაობა შეწყვიტა და მისი გაგრძელება მხოლოდ ოცდასამი წლის შემდეგ შეძლო.

საქართველოდან წასვლის შემდეგ ისრაელში თავის დამკვიდრება არ გასჭირვებია. ამჟამად, ბატონი რეუვენი იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში სამეცნიერო ჯგუფთან ერთად მეცნიერულ პროექტებზე მუშაობს.ასევე, სამარიაში, არიელის საუნივერსიტეტო ცენტრში, ებრაული მემკვიდრეობის განყოფილებაზე რამდენიმე კურსს კითხულობს. მათ შორის, ერთერთია „ყოფილი საბჭოთა კავშირის ებრაული თემები“. ამ ლექციებზე მას საშუალება ეძლევა თანამემამულეებს ქართველი ებრაელების შესახებაც ესაუბროს და საქართველოს ისტორიაც გააცნოს. მისი აზრით, არ შეიძლება ქართველ ებრაელებზე ისაუბრო ისე, რომ საქართველოს წარსული არ გაიხსენო.მისმა ნაშრომმა, რომელიც ქართველ ებრაელთა მეტყველებას ეხება, სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

,,ისრაელში ქართული კულტურისადმი ინტერესი ძალიან დიდია, მაგრამ ამ მიმართულებით ცოტა რამ კეთდება. ჩემი აზრით, ერთობლივი თანამშრომლობაა საჭირო“, — აცხადებს ბატონი რეუვენი.

საჯარო ლექციაზე წამოჭრილმა საკითხებმა ქართველი სტუდენტების გარდა, მისი ყოფილი პედაგოგები, კოლეგები და მეცნიერებიც დააინტერესა. რეუვენ ენოხმა ქართულ ბიბლიურ თარგმანებთან დაკავშირებით მსმენელს საკმაოდ ორიგინალური ვერსიები შესთავაზა. თუმცა თავიდანვე განაცხადა, რომ მისი კვლევა არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ და ფუნდამენტურ ჭეშმარიტებად და ეს მხოლოდ მისი მოკრძალებული ,,ფიქრებია".

ქართულ სამეცნიერო წრეებში არაერთხელ დასმულ შეკითხვაზე, პირველად როდის და რომელი ენიდან ითარგმნა ბიბლია ქართულად, მეცნიერს, შეიძლება ითქვას, ორიგინალური ვერსია გააჩნია.მისი აზრით, პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში — „შუშანიკის წამება" მოხსენიებული ბიბლიური ტექსტი, შეიძლება, სულაც არ იყო ქართული და მას განათლებული სომეხი პიტიახშის ასული, შესაძლოა, სხვა ენაზე კითხულობდა.

,,ამ უძველესი ტექსტის გაცნობისას ასეთი კითხვაც ჩნდება: — ნუთუ შუშანიკმა ქართული ისე კარგად იცოდა, რომ ამ ენაზე კითხულობდა ფსალმუნს? ვინ იცის, იქნებ სომხურად კითხულობდა ან ბერძნულად? ის ხომ განათლებული ქალი იყო. მაგრამ ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ იგი არამეულად კითხულობდა, რადგან ბიბლიის იმდროინდელი არამეული თარგმანი ნამდვილად არსებობს.

ბატონი რეუვენის აზრით, სავარაუდოდ, შუშანიკს არამეულიც ეცოდინებოდა, რადგან სპარსეთის იმპერიის სახელმწიფო ენა სწორედ არამეული გახლდათ, სომხეთი კი სპარსეთის იმპერიის ნაწილი იყო.

,,კორნელი კეკელიძე წერდა, რომ ყურადღება მივაქციოთ იმ ებრაელების მონაწილეობას ქართულ ებრაულ საქმიანობაში, რომლებიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდნენ. პირველი ქრისტიანები საქართველოში ებრაელები იყვნენ, რატომ არ შეიძლებოდა გაქრისტიანებულ ებრაელებს მონაწილეობა მიეღოთ ქართულ მწიგნობრულ საქმიანობაში. ასევე, შესაძლებელია, რომ ისინი ქართველებს ტექსტების თარგმნაში დახმარებოდნენ“, — აღნიშნა მეცნიერმა.

მისი თქმით, ამ მიმართულებით საკვლევი და საკამათო მრავლად არის. თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული მწერლობა შეიძლება სულ სხვა დროს და სხვა ნაწარმოებით იწყებდეს დროის ათვლას, მაგალითად, წმინდა ნინოს ცხოვრებით, ან ფარნავაზის ცხოვრებით, როგორც ამას ზოგიერთი ქართველი მკვლევარიც ვარაუდობს.

აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ რეუვენ ენოხს თხოვა, ამ საკითხებთან დაკავშირებით მომავალშიც გაეგრძელებინა კვლევა და ურჩია, თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად უფრო მეტი და დამაჯერებელი არგუმენტები მოეპოვებინა: ,,გვაქვს ძალიან ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა ბიბლიის თარგმანთან დაკავშირებით, მაგრამ, ჯერჯერობით, ევროპაში სათანადოდ ამის შესახებ არ იციან. ბატონი რეუვენის მოსაზრებები საინტერესოა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ამ საკითხების კვლევისას მეტი დაფიქრება და დაკვირვებაა საჭირო. ქართული ბიბლიური წიგნები, ძირითადად, ითარგმნებოდა მონასტრებში. ვეჭვობ, რომ სადმე ებრაული დიასპორა ისეთი ძლიერი ყოფილიყო, რომ ქრისტიანული ბიბლიური წიგნების თარგმნაში უშუალოდ მიეღო მონაწილეობა. თუ ასეთი მაგალითები უფრო მეტი მოიძებნება და შემდგომი კვლევა გამოავლენს ამგვარ ფაქტებს, მხოლოდ მაშინ ექნება ამ ვერსიას არსებობის უფლება.ამიტომ კვლევა ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. საკითხი საინტერესოა, მაგრამ ერთი და ორი მაგალითი სერიოზული დასკვნების გასაკეთებლად არ კმარა“.

მზექალა შანიძის აზრით, ზოგიერთი წიგნების თარგმნის დროს შესაძლებელია ყოფილიყო ებრაული გავლენა, მაგრამ ამისათვის კიდევ სხვა ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო, კერძოდ — არა მხოლოდ წმინდა ტექსტობრივი თვალსაზრისით, არამედ, სად, როგორ და რა პირობებში შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი მძლავრი კულტურული კერა, რომელსაც ბიბლიის თარგმანზე შეიძლება მოეხდინა გავლენა.

რეუვენ ენოხის ნაშრომის შესახებ პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემაც გამოთქვა მოსაზრება: ,,ბატონი რეუვენის ,,ფიქრები", მართლაც, ყურადღებას იმსახურებს, თუმცა

ჩვენ მხოლოდ ,,შუშანიკის წამებაზე“ დაყრდნობით არ ვამტკიცებთ, რომ ბიბლია ქართულ ენაზე მეხუთე საუკუნეში არსებობდა. ,,ქართლის ცხოვრებაში" წერია, რომ არჩილ მეფის დროს ბიბლია, კერძოდ, სახარება ითარგმნა. ასევე, შეგვიძლია დავიმოწმოთ ბერძნული წყარო, როდესაც იოანე რუფუსი პეტრე იბერის ცხოვრებაზე ლაპარაკობს. მისი ცნობით, პეტრე იბერმა თავის ენაზე ზეპირად იცოდა ბიბლიური წიგნები. რუფუსი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ — მან ზუსტად იცოდა, რომ მეხუთე საუკუნეში ქართველებს თავიანთ ენაზე ჰქონდათ ბიბლია.

სამწუხაროდ, ევროპაში წმინდანთა დიდ ლექსიკონებში, დიდ საძიებლებში არ არის ცნობები ქართველი წმინდანების, მათ შორის, შუშანიკის შესახებ. ჩვენი მოვალეობაა ევროპელ მეცნიერებს მათ შესახებ ვაცნობოთ. ერთერთ გზად კი ჩვენი დიასპორა მეგულება, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს და ქართულ კულტურას ემსახურება, მათ შორისაა რეუვენ ენოხი“.

ახალი უნივერსიტეტი

მაღალტემპერატურული ზეგამტარობის საიდუმლო ჯერ კიდევ არ ამოხსნილა

8-11 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციას — „მაღალტემპერატურული ზეგამტარობა, თავდაპირველი კონცეფცია და ახალი შედეგები“, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატის, ალექს მიულერის 80 წლისთავსა და მაღალტემპერატურული ზეგამტარობის აღმოჩენის 20 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციის თბილისში ჩატარების იდეა ეკუთვნოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ალექსანდრე შენგელაიას, რომელიც ალექს მიულერის მოწაფეა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 15 ქვეყნის 40-მდე მეცნიერი, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი გეორგ ბედნორცი, რომელიც, ალექს მიულერთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორად აირჩია.

მაია ტორაძე

ზეგამტარობა, როგორც მოვლენა, 1911 წელს აღმოაჩინეს, თუმცა მისი ფართო გამოყენება დღემდე არ ხერხდება, რადგან ის ძალიან დაბალ ტემპერატურაზე მიიღება. ზეგამტარობის აღმოჩენიდან დღემდე ფიზიკოსების ოცნებაა, რომ ეს მოვლენა ნივთიერებებში ჩვეულებრივ ოთახის ტემპერატურაზე დაიმზიროს.

შვეიცარიელმა მეცნიერებმა კარლ ალექსანდრ მიულერმა და იოჰანეს გეორგ ბედნორცმა მიაკვლიეს სრულიად ახალი ტიპის ნივთიერებას, რომელმაც ზეგამტარების გამოყენების ტემპერატურა წინანდელთან შედარებით ძალიან მაღლა აწია. ეს იყო ე.წ. კრიტიკული ტემპერატურის ნახტომისებური გაზრდა. ამ აღმოჩენისთვის ალექს მიულერს და გეორგ ბედნორცს 1986 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

შვეიცარიელი მეცნიერების ფუნდამენტურ ნაშრომს, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ მოვლენის დამზერის შემდეგ ზეგამტარობის გამოყენებისთვის საჭიროა არა თხევადი ჰელიუმი, არამედ, თხევადი აზოტი, რომლის ფასი ათჯერ ნაკლებია თხევადი ჰელიუმის ფასზე. ამდენად, ზეგამტარობის გამოყენება ეკონომიკურად გაცილებით უფრო მომგებიანი და მარტივი გახდა. მართალია, მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ოთახის ტემპერატურას, მაგრამ, ბედნორცისა და მიულერის მიგნების შემდეგ, ძალიან მიუახლოვდა მას.

ამ ეტაპზე მკვლევარები ორი მიმართულებით მუშაობენ — განაგრძობენ ახალი ნივთიერებების ძიებას, სადაც კიდევ უფრო მაღალი იქნება კრიტიკული ტემპერატურა და იკვლევენ მაღალტემპერატურული ზეგამტარობის მექანიზმს. თუ ისინი მიაკვლევენ ძირითად პრინციპს, კიდევ უფრო მაღლა ასწევენ კრიტიკულ ტემპერატურას.

თბილისში ჩატარებულ კონფერენციაზე მეცნიერები მნიშვნელოვან შეთანხმებამდე მივიდნენ — იმისთვის, რომ შეისწავლონ მაღალტემპერატურული ზეგამტარობის ფენომენი, აუცილებელია კრისტალური მესერის რხევების გათვალიწინება. აქამდე ცნობილ მეცნიერთა დიდი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ეს ფაქტორი არც ისე მნიშვნელოვანია. ბოლოდროინდელმა კვლევებმა და ექსპერიმენტებმა კი დაადასტურეს, რომ აუცილებელია კრისტალური მესერის გათვალისწინება იმ მოდელებში, რომლებსაც თეორეტიკოსები ქმნიან მეცნიერული ექსპერიმენტების საფუძველზე.

კონფერენციის მონაწილეთა დიდი ყურადღება დაიმსახურა თსუ-ის პროფესორის, ალექსანდრე შენგელაიას მოხსენებამ, რომელიც შეეხებოდა იმ ექსპერიმენტულ ფაქტებს, რომლებიც მაღალტემპერატურულ ზეგამტარებში ჯერ კიდევ არ არის ახსნილი. კერძოდ, მან ისაუბრა ექსპერიმენტებზე, რომელიც შვეიცარიაში, პოლ შერერის ინსტიტუტის ცენტრში განლაგებულ ამაჩქარებელზე ჩატარდა და საინტერესო შედეგებით დასრულდა. ამ ეტაპზე თეორეტიკოსებმა შედეგების ახსნა რომელიმე თეორიულ მოდელს უნდა შეუსაბამონ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციას მაღალი შეფასება მისცეს მონაწილეებმა, რომლებმაც გაიზიარეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კახა ლომაიას წინადადება და შეთანხმდნენ, რომ ამგვარი კონფერენცია თბილისში რეგულარულად — ორ წელიწადში ერთხელ გაიმართოს.

კახა ლომაია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:

— წელს უკვე ნობელის პრემიის მეორე ლაურეატი ესტუმრა საქართველოს. პირველი იყო გერმანელი ბიოფიზიკოსი, პროფესორი მიხელი, დღეს გახლავთ შვეიცარიელი პროფესორი, ფიზიკოსი ბედნორცი. ეს მიანიშნებს, რომ საქართველო საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების მსოფლიო რუკაზე იმკვიდრებს ადგილს, რაც მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის მეცნიერებისადმი ინტერესის კიდევ უფრო გაღვივების თვალსაზრისით. ჩვენი ქვეყნის მთავრობის სახელით მონაწილეებს გავაცანი ინიციატივა, რომ ეს კონფერენცია რეგულარულად ჩატარდეს საქართველოში, იმისდა მიხედვით, თუ როგორ აიგება სამუშაო გრაფიკი იმ მაღალი რანგის მეცნიერებისა, რომლებიც იმყოფებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გიორგი ხუბუა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:

— ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ნობელის პრემიის ორი ლაურეატი — ალექს მიულერი და გეორგ ბედნორცი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები გახდნენ. არანაკლებ საამაყოა ის, რომ ბატონი მიულერის მოწაფე, ალექსანდრე შენგელაია უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

მოხარული ვარ, რომ მაღალი დონის კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა და მასში მონაწილეობდა 15 ქვეყნის 40-მდე ცნობილი მეცნიერი მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან. ეს არის დიდი აღიარება ქართული საუნივერსიტეტო მეცნიერებისა.

ალექსანდრე ალექსანდროვი, ლონგბორგის უნივერსიტეტის პროფესორი:

— კონფერენციამ ძალიან მაღალ დონეზე ჩაიარა. აქ შეიკრიბნენ ადამიანები, რომლებიც ამ თემატიკაზე, მინიმუმ, ბოლო 20 წლის განმავლობაში მუშაობენ. ჩვენ ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ და ეს პრობლემა დღემდე ყველას აწუხებს, რადგან მაღალტემპერატურული ზეგამტარობის საიდუმლო ჯერ კიდევ არ ამოხსნილა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ წარმოიშვება კონსენსუსი იმ ძირითადი ურთიერთქმედების თაობაზე, რომელიც პასუხისმგებელია მაღატემპერატურული ზეგამტარობის პროცესზე. ყოველ შემთხვევაში, თბილისში გამართულ კონფერენციაზე ჩვენ, მცირე გამონაკლისის გარდა, შევთანხმდით, რომ კრისტალური მესერის რხევებთან ურთიერთქმედება მაღალტემპერატურულ ზეგამტარებში უმთავრესია.

სასიამოვნოა, რომ აქ ვხედავთ გეორგ ბედნორცს, რომელმაც ალექს მიულერთან ერთად აღმოაჩინა მაღალტემპერატურული ზეგამტარობა. მაშინ, როცა ისინი ამ საკითხზე მუშაობდნენ, სტიმული იყო მაღალი კრიტიკული ტემპერატურის აღმოჩენა ელექტრონებისა და მესერის რხევების ძლიერი ურთიერთქმედების სისტემაში.

ამ კონფერენციაზე დაისვა კონკრეტული საკითხები. კერძოდ, რომელი ურთიერთქმედება აგებს პასუხს ეფექტზე, როგორ გავზარდოთ ტემპერატურა, რომ მივაღწიოთ ოთახის ტემპერატურას, რის შედეგადაც ეს აღმოჩენა შეიძენს ფართო გამოყენებით მნიშვნელობას.

თავად თეორეტიკოსი გახლავართ და, ბუნებრივია, თეორიული საკითხები მაინტერესებს. ექსპერიმენტული შედეგების შესახებ აქ ბევრი საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს. განსაკუთრებით კი აღვნიშნავ იმ ჯგუფს, რომელიც დაკავებულია შეღწევადობის სიღრმის გაზომვებით. ძალიან საინტერესო იყო პროფესორ ალექსანდრე შენგელაიას მოხსენება. კიდევ დამამახსოვრდა, რამდენიმე მოხსენება, სადაც განხილული იყო მაგნიტური ველის შეღწევადობის სიღრმე და მისი დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკულად ყველა (ის ადამიანებიც კი, რომლებსაც არ სჯეროდათ), შეთანხმდა, რომ ამ მასალებს აქვს ე.წ. „პოლარონები“ — ეს არის ელექტრონები, რომლებიც ძლიერად არიან დაკავშირებული მესერთან და ისინი ვრცელდებიან მესერის დეფორმაციასთან ერთად.

ამ საკითხებზე ჯერ კიდევ აღმოჩენამდე ვმუშაობდი და ვიცი, რომ ბედნორცი და მიულერი, ფაქტობრივად, ეძებდნენ პოლარონებს ახალ მასალებში. ამ კონფერენციის შემდეგ უფრო მყარად ვარ დარწმუნებული, რომ მათ ის იპოვეს.

საპატიო დოქტორობა ნიშნავს, რომ მე ამ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრი ვხდები

იოჰანეს გეორგ ბედნორცი, ნობელის პრემიის ლაურეატი, შვეიცარიელი მეცნიერი:

— **მას შემდეგ, რაც თქვენი აღმოჩენა ნობელის პრემიით აღინიშნა, რა შეიცვალა მყარი სხეულების ფიზიკაში?**

— ჩვენ აღმოვაჩინეთ ნივთიერების სრულიად ახალი კლასი, რომელშიც ზეგამტარობას არავინ ეძებდა. აღმოჩენის შემდეგ ველოდით, რომ ამის თაობაზე მეცნიერებში გარკვეული სკეპტიციზმი დაისადგურებდა, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, მან ძალიან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. რამდენიმე ადამიანმა დაიჯერა, რომ ეს სიმართლე იყო და ჩვენი შედეგები გაიმეორა, რამაც კიდევ უფრო მყარად დაადასტურა, რომ მართლები ვიყავით. ამის შემდეგ დაიწყო არნახული ბუმი ამ მიმართულებით. შედეგად ის მივიღეთ, რომ ზეგამტარობის კრიტიკული ტემპერატურა, რომელიც აღმოჩენის დროს 35 კელვინი იყო, ამჟამად 135 კელვინია..

რაც შეეხება ამ მოვლენის ახსნას, ჯერჯერობით, 20 წელი გავიდა და მთელი მსოფლიოს მეცნიერები თავს იმტვრევენ მისი მექანიზმის ახსნაზე, მაგრამ, ჯერჯერობით, შედეგები არ ჩანს.

დიდი პროგრესია აღმოჩენის პრაქტიკული გამოყენების, ტექნიკური და ინჟინრული თვალსაზრისითაც. თავიდან ძნელი იყო ზეგამტარი კაბელების დამზადება, მაგრამ ამჟამად უკვე



მეორე თაობის ზეგამტარი კაბელები მზადდება, რომლებიც თავიანთი მონაცემებით უკვე ბევრად აჭარბებენ ტრადიციულ დენის გამტარებს, მაგალითად, როგორიცაა სპილენძი.

მაღალტემპერატურული ზეგამტარობის აღმოჩენამ, ასევე, დიდი იმპულსი მისცა ექსპერიმენტული მეთოდების დახვეწას და დამუშავებას. ამიტომ, დღეს, გაცილებით მეტი არსენალი გვაქვს ესპერიმენტული კვლევებისათვის, რაც, იმის მიმანიშნებელია, რომ შესაძლოა, ახალი აღმოჩენების წინაშე დავდგეთ.

— **ალბათ, სხვა უნივერსიტეტების საპატიო დოქტორიც ბრძანდებით. რა შეგრძნებაა, როცა ხედავთ, რომ თქვენს დამსახურებას ასე აფასებენ და აღიარებენ?**

— რა თქმა უნდა, ამ მომენტებში ყოველთვის მეუფლება სიამაყის გრძნობა, რადგან ის საქმე, რომელიც ერთად გავაკეთეთ მე და ჩემმა კოლეგამ, ალექს მიულერმა, დაფასებული და შეფასებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. რა თქმა უნდა, საპატიო დოქტორობა ნიშნავს, რომ მე ამ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრი ვხდები, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივია.

მოკლედ

ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის ლექციები თსუ-ში

ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, მათემატიკოსი ესტატე ხმალაძე, რომელმაც შარშან წარმატებული სტუდენტისთვის სტიპენდია დააწესა, რამდენიმე კვირაა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის კითხულობს ინტენსიურ კურსს „შესავალი შემთხვევით პროცესთა თეორიაში და მისი გამოყენებები“. ლექციები ნოემბრის თვეში დასრულდება, რის შემდეგაც სტუდენტთა ამ ჯგუფთან მუშაობას პროფესორ ესტატე ხმალაძის ასისტენტი გააგრძელებს.

გისენის უნივერსიტეტის პროფესორმა თსუ-ში საჯარო ლექცია წაიკითხა

თსუ-ში სტუმრად იმყოფება გისენის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი ლორენც კინგი, რომელიც, ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან ერთად, 2008 წლის სექტემბერში თსუ-ში ჩაატარებს საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: „გარდამავალი პერიოდი ევროპასა და კავკასიის ქვეყნებში“.

გისენის უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დიდი ხანია, პარტნიორული ურთიერთობები არსებობს. შარშან თსუ-ის დელეგაცია მიწვეული იყო გისენის უნივერსიტეტის საიუბილეო დღეებზე, სადაც ქართველმა პროფესორმა ალექსანდრე შენგელაიამ წამოაყენა საერთაშორისო კონფერენციის თბილისში ჩატარების იდეა, რასაც მეცნიერთა და DAAD-ის წარმომადგენელთა მხრიდან მხარდაჭერა მოჰყვა.

ამ ეტაპზე პროფესორი ლორენც კინგი სამუშაო შეხვედრებს ატარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და DAAD-ის წარმომადგენლობაში. 17-19 ოქტომბერს პროფესორმა ლორენც კინგმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „თანამედროვე გეოგრაფიის აქტუალური საკითხები“.

ახალი ინტერპრეტაციები არგონავტებზე

საერთაშორისო კონფერენცია – არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა

მაკა ლდოკონენი

საერთაშორისო კონფერენცია „არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში 1-დან 3 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა. კონფერენცია საბერძნეთის კულტურის სამინისტროსა და საქართველოში საბერძნეთის საელჩოს ურთიერთთანამშრომლობით ჩატარდა.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს. კონფერენციის განმავლობაში მათ საშუალება ჰქონდათ, თვალყური ედევნებინათ არგონავიტიკის სფეროში წარმოებული თანამედროვე გამოკვლევებისთვის. სამეცნიერო დისკუსიები სხვადასხვა მიმართულებით წარმოებდა: „არგონავტიკა და ანტიკური კულტურა“, „არგონავტიკა პოსტანტიკურ ეპოქაში“, „არგონავტიკა თანამედროვე მსოფლიოში“. კონფერენციის დასრულების შემდეგ ბერძენმა სტუმრებმა საქართველოში ის ადგილები მოინახულეს, სადაც ისტორიამ არგონავტების კვალი დღემდე შემოინახა.

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ რისმაგ გორდეზიანის განცხადებით, მსგავსი კონფერენციები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო ფუნქციით არ იფარგლება, არამედ იგი ტრადიციულად აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას, როგორც მეცნიერთა აქტივობის გამოსავლენად, ასევე სტუდენტებისთვის უახლესი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. რაც შეეხება არგონავტიკის თემას, ის მართალია უძველესია, თუმცა აქტუალურობა არ დაუკარგავს და როგორც ნებისმიერი ჭეშმარიტად მეცნიერული ღირებულების პრობლემა, გამუდმებით კვლევას საჭიროებს.

საქართველოსა და კვიპროსს შორის ურთიერთობა ახალ შინაარსს იძენს

კონფერენციის ფარგლებში თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ და კვიპროსის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა იოანის ტაიფაკოსმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კვიპროსის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება საქართველოს და კვიპროსის საუნივერსიტეტო სივრცეების დაახლოებას, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის გააქტიურებას შეუწყობს ხელს. გიორგი ხუბუამ იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული კულტურული ურთიერთობების ტრადიციები აღდგება და ახალ შინაარსსაც შეიძენს.

იოანის ტაიფაკოსის განცხადებით, კვიპროსის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტს შესანიშნავი ინტელექტუალური პოტენციალი, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და საბერძნეთთან დაკავშირებულ დარგებში მაღალი დონის კვლევების წარმოების შესაძლებლობა გააჩნია, რაც მიმდინარე აკადემიური წლიდან ორივე უნივერსიტეტისთვის კარგ წინაპირობად იქცევა სახელშეკრულებო პუნქტების შესასრულებლად.

მოსაზრებები მედეას თვალებზე

კონფერენციის მსვლელობაში არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებით არა ერთი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა. მიმოიხილეს ჰელიოსის კოლხური მემკვიდრეობა, აიეტის ქვეყანა და არგო ჰომეროსის ტრადიციაში, მედეას სახე თანამედროვე ქართული მხატვრული კულტურის კონტექსტში, თანამედროვე ბერძნულ დრამატურგიაში, იტალიურ კულტურაში: მითოლოგიაში, თანამედროვე ლიტერატურის ზოგიერთ ნიმუშში, მუსიკასა და იკონოგრაფიაში. საუბარი ვან გოგის, ევრიპიდეს, ლარს ფონ ტრიერისა თუ პაზოლინისეულ მედეასაც შეეხო. იმსჯელეს არგონავტიკის ტექსტის ორი ტრადიციით ნაკითხვის აუდიო-ესთეტიკურ ეფექტსა თუ არგონავტიკის თემის ასახვის ფორმებზე ბიზანტიურ რომანში, არგონავტების მითის ენიგმატურ ლოგიკასა თუ ქრისტიანულ სახისმეტყველებაზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდა ვენეციელი მეცნიერის, ფილიპომარია პონტანის მოხსენებამ „მედეას ზმანებანი“, რომელშიც იგი პირველი საუკუნის დასაწყისში შექმნილი პაპირუსის გრაგნილის (სახელწოდებით „Papirus Oxyrinchus 4712“) ფრაგმენტების აღდგენას ცდილობდა.

„Papirus Oxyrinchus 4712“-ის ასზე მეტი ფრაგმენტი სამი წლის წინ ჯოვან ბატისტა დალესიომ გამოსცა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს საკმაოდ მწირი ნაწყვეტები არგონავტიკის თემაზე შექმნილი ელინისტური ეპიკური პოეზიის ფრაგმენტები უნდა იყოს, რომლის აპოლონიოს როდოსელთან კავშირი უცნობია.

აქვე მოგახსენებთ, რომ ბერძენი პოეტი და ფილოლოგი აპოლონიოს როდოსელი ჩვ.წ.აღ-მდე III საუკუნეში მოღვაწეობდა. სწორედ მან შეისწავლა და ლიტერატურულად გადაამუშავა არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის ამსახველი მითები. „არგონავტიკის“ პირველ ორ წიგნში დეტალურად არის გადმოცემული არგონავტების გასამგზავრებლად მზადება და კოლხეთამდე გავლილი გზა. მესამე წიგნში მედეას იასონისადმი სიყვარულია აღწერილი. მეოთხე წიგნი კი სამშობლოსკენ მიმავალი არგონავტების ფანტასტიკურ მოგზაურობას ეძღვნება. „არგონავტიკაში“ კონცენტრირებული ფაქტების სიუხვე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ აპოლონიოს როდოსელი ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა მის ხელთ არსებული მდიდარი ტრადიციებიდან.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიმართ. მეცნიერები პოემის ლექსიკურ და სტილისტურ ანალიზსა თუ მასში წარმოდგენილი ეპიკური ფორმულების გარჩევას დიდი ყურადღებით ეპყრობიან.

ფილიპომარია პონტანი თავის მოხსენებაში „POxy4712“-ის უცნობი სტრიქონების გამოაშკარავებას შეეცადა: პირველი და მეორე ფრაგმენტის წაკითხვისა და ინტერპრეტაციის შემდეგ ირკვევა, რომ საუბარია მედეას სიზმარზე, რომელშიც იგი აიეტის ხარების მიერ გამოფატრულ თავის საყვარელ იასონს ხედავს. ეს ამბავი აპოლონიოსის III წიგნში მოთხრობილ მედეას ცნობილ სიზმარს ჰგავს. ნაწყვეტების თავმოყრის შემდეგ ფილიპომარია პონტანი გვთავაზობს სტრიქონების წაკითხვის საკუთარ მცდელობას: „მან დაფარა თავისი გუგები უძილო ქუთუთოების ქვეშ, თითქოს ეძინებოდა“.

„ჩვენ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორ განვითარდება სიზმარი, ვერ ვიმსჯელებთ, რა კავშირი აქვს მას როდოსელის მედეას სიზმართან, რომელშიც მედეა ჩაერევა და დაეხმარება იასონს უმძიმესი სამუშაოს შესრულებაში. პაპირუსის მე-11 და მე-12 სტრიქონები ეხმიანება აპოლონიოსთან იასონისა და მედეას პირველი საიდუმლო შეხვედრის ეპიზოდის შესავალს. ეს პასაჟი იმითაც არის საინტერესო, რომ მას მოჰყვება სამედიცინო პროტოკოლის მსგავსი რამ, რომელიც აღწერს მედეას სასიყვარულო ემოციებს გმირის გამოჩენისას. საეჭვოა, რომ ეს ანალოგიები შემთხვევითი იყოს“, - განმარტავს ფილიპომარია პონტანი.

მეცნიერის აზრით, პაპირუსები ეხება პოემას, რომელიც დიდ ყურადღებას ამახვილებდა მედეას ჩაძინების პროცესსა და სიზმრის დაწყებაზე: ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ მოსაზრებებთან, რომლებიც ლიტერატურაში მედეას თვალებთან დაკავშირებით ფიგურირებს (ევრიპიდედან აპოლონიოსამდე და გრილპარცერიდან პაზოლინსა და არიელ დორფმანამდე). შესაძლოა, ეს ფორმულირება ასევე გვახსენებდეს არისტოტელეს „ფიზიოლოგიურ დოქტრინას სიზმრების შესახებ,“ რომელიც შეესაბამება ელინისტური ეპოქისთვის ტიპიურ დაინტერესებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებით და რაც აპოლონიოსის მიერ „არგონავტიკაშიც“ გახლავთ დამოწმებული.

არისტოტელეს ტრაქტატის (სიზმრის ფიზიოლოგიაზე) მიხედვით „სიზმრები წარმოქმნილია აღქმათა მოძრაობით გრძნობითი ორგანოებიდან სისხლის გავლით უკან „შეგრძნების ორგანომდე“ ანუ გულამდე, რომელიც ტრადიციამ, ანტიკური ტრაგედიებიდან მოყოლებული, განსაზღვრა როგორც სიზმრის ჭეშმარიტი ადგილი.

„ზოგადად რომ ვთქვათ, მჯერა, რომ ცოტა თუ უარყოფს, რომ პოემა, რომლის ფრაგმენტები შემონახულია „POxy4712“-ში მედეას სიზმრის წარმოქმნასა და არსს ეხება. სტრუქტურულ და ლინგვისტურ დონეზე ამ ნაწყვეტებს ბევრი მსგავსება აქვს როდოსელის მესამე წიგნის პასაჟებთან. ეს ორი ელემენტი შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს არგონავტების შესახებ სხვა ცნობილი ელინისტური პოემიდან შემორჩენილ ვარიანტს“, — აცხადებს ფილიპომარია პონტანი და „POxyrinchus 4712“-თან დაკავშირებით სამ ძირითად პრობლემას გამოყოფს:

„თუ ჩვენი პაპირუსის პოემა აპოლონიოსის არგონავტიკაზე ადრინდელია, უნდა უგულებელვყოთ მირლეელი ასკლიპიადეს მსჯელობა, რომლის მიხედვით აპოლონიოსმა ყველაფერი გადმოიღო კლეონისაგან. აპოლონიოსი მართლაც პირველი იყო, ვინც მონოლოგებისა და სიზმრების ახალი ლიტერატურული მოდელები შემოიტანა? პირველი იყო ის, ვინც მედეა გმირ ქალად და სიყვარულისა და ქალურობის განსახიერებად დაგვისახა? და როგორ უნდა შევაფასოთ იმის შესაძლებლობა, რომ საუკუნეების შემდგომ კლეონის ნაშრომი ყოფილიყო ვალერიუს ფლაკუსის არგონავტიკის წყარო? რა უნდა ვუყოთ ახლანდელ თეორიებს, რომლებიც უგულებელყოფენ ელინისტურ პერიოდში მითოლოგიური ეპიკის ტრადიციის არსებობას?“

გადაყლაპა თუ არა გველეშაპმა იასონი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოლოგმა და ფოლკლორისტმა ქეთევან სიხარულიძემ არგონავტების თქმულების უცნობი ვერსია წარუდგინა მსმენელს. მისი მოხსენება სახვითი ხელოვნების იმ ძეგლებს შეეხო, რომლებზე წარმოდგენილი ეპიზოდებიც არ დასტურდება საყოველთაოდ ცნობილ მითოლოგიურ ტრადიციაში. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფოლკლორული წყაროები ყოველთვის არ აისახებოდა წერილობით ძეგლებში და დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლეოდა.

ჩვენამდე მოღწეული არგონავტების თავგადასავალი ლიტერატურულად დამუშავებული ვერსიაა. სავარაუდოა, რომ მას საფუძვლად დაედო ფოლკლორული სიუჟეტი, რომელსაც ზეპირსიტყვიერებაში უსათუოდ ექნებოდა შესაბამისი ვარიანტი. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ანტიკური ხანის ავტორები ზოგჯერ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან თქმულების ცალკეული ეპიზოდებისა და გმირების შესახებ.

ქალბატონი ქეთევანი არგონავტების მითის ერთერთი ვერსიის რეკონსტრუქციას ვატიკანის მუზეუმში დაცული წითელფიგურული კილიქსის საშუალებით ახდენს. კილიქსზე გამოსახული გველეშაპი ადამიანს გადმოანთხევს პირიდან. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს გმირი იასონია და გველეშაპის მიერ მისი გადაყლაპვისა და შემდეგ ამონთხევის ფაქტთან დაკავშირებით ადრე არსებული ცნობა ამჟამინდელ თქმულებაში არა გვაქვს.

„— სავარაუდოა, რომ მხატვარმა კილისზე თქმულების მისთვის ცნობილი ეპიზოდი გამოსახა, რომელიც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა. საზოგადოდ, გველეშაპის მიერ გმირის გადაყლაპვა უძველესი და უნივერსალური მოტივია. იგი გველეშაპის სახის სემანტიკას უკავშირდება, რამაც ინიციაციის რიტუალის მითოლოგიური გააზრება განაპირობა“, — აღნიშნავს ქეთევან სიხარულიძე.

გველეშაპი რთული მითოლოგიური სახეა, მასში ერთმანეთს ერწყმის გველისა და თევზის სიმბოლიკა თუ ფუნქციები, რასაც მისი ქართული სახელი „გველვეშაპი“ მშვენივრად გამოხატავს. ფიზიკურ ძალასთან ერთად გველეშაპი სიბრძნის განსახიერებაცაა. მასთან ზიარებული ადამიანი განსაკუთრებული შესაძლებლობებით აღიჭურვება. ამისთვის კი მის წიაღში, უფრო სწორად მუცელში უნდა ჩასულიყო, საიდანაც გარდასახული გამოდიოდა.

„— ამგვარი პროცესი გააზრებულ იქნა, როგორც სიკვდილის გზით ღვთაებრიობასთან ზიარება და იგი ხელახალი შობის სემანტიკით დაიტვირთა. როგორც ჩანს, გველეშაპის მიერ გმირის გადაყლაპვა და ამონთხევა არქაული მითოლოგიური სიუჟეტი იყო, რომელიც ინიციაციის რიტუალს დაედო საფუძვლად და რომლის რუდიმენტები გვხვდება მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებში,“ — აღნიშნა ქეთევან სიხარულიძემ.

გველეშაპთან მებრძოლ წმინდა გიორგის იკონოგრაფიაში ხან თევზის, ხან გველეშაპის ქერცლისებური ჯავშანი აცვია. ქერცლისებურად განლაგებული ლითონის ფირფიტების მსგავსი ორნამენტი ბრინჯაოს ხანის კავკასიაში აღმოჩენილ ნივთებზეც გვხვდება და მას თევზიფხური ეწოდება. ამგვარი ჯავშანი რომაელთა აღჭურვილობაშიც შედიოდა, მაგრამ მისი მითოლოგიური სემანტიკა დიდი ხნის დავიწყებულია.

კავკასიაში რომ გველეშაპის ძლიერი კულტი არსებობდა, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებს: ერთერთი მითის მიხედვით, მთის ნაპრალში გაწოლილმა გველეშაპმა გამოზარდა გმირი და მას ჯაჭვის პერანგი აჩუქა, რითაც გმირი უძლეველი გახადა. გარდა ამისა, კავკასიის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი მეგალითური ფიგურები – ეგრეთწოდებული ვეშაპოიდები. ზოგიერთ მათგანს ზურგზე საწმისი ან ცხვრის ტყავი აქვს ამოტვიფრული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ ბარაქიანობისა და სამეფო ხელისუფლების მფარველის ფუნქცია ეკისრებოდათ. სწორედ ამის გამო იცავდნენ საგანგებოდ ხეზე გამოფენილ საწმისს, როგორც ღვთაების სიმბოლოს.

ქეთევან სიხარულიძის აზრით, არგონავტების თქმულებაში საწმისის მოდარაჯე გველეშაპის არსებობა კავკასიურ ტრადიციებს ეფუძნებოდა. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ იასონიც ყოფილიყო გველეშაპისგან გადაყლაპულ გმირთა რიცხვში, იგი ხომ კოლხეთში იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ საკუთარ ქვეყანაში მეფის სტატუსით დაბრუნებულიყო — მეფის ტახტის მისაღებად გმირს კი გამორჩეული ძალა, ყოვლისმცოდნეობა და განჭვრეტის უნარი უნდა ჰქონოდა. სავარაუდოა, რომ მითის ჩვენთვის უცნობ ვერსიაში იასონი კი არ იტაცებდა საწმისს, არამედ ინიციაციის გზით მოიპოვებდა მას, როგორც სამეფო ხელისუფლების სიმბოლოს. ვატიკანის მუზეუმში დაცულ წითელფიგურულ კილიქსზეც ალბათ ეს მომენტია ასახული“.

სახელმწიფო არის დროებითი რეალობის ავტონომია

ფორუმში გივი ალხაზიშვილთან

ნინო კაკულია

— „გამარჯობა ბატონო გივი! ჩვენი ვირტუალური გაცნობა შედგა“ — ლიტერატურულ ფორუმში „ებლიტფო“ თქვენ ასე გეცნობათ უამრავი ადამიანი, ვინც თქვენი შემოქმედებით ინტერესდება. ურთიერთობის ასეთ ფორმაზე გადასვლა რამ გიკარნახათ? თქვენ კარგად „მიიღეთ“ და შეითვისეთ კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგია მაშინ, როცა თქვენი თაობიდან ზოგიერთ მათგანს კომპიუტერის მიმართ აგრესიაც კი აქვს. მაინც როგორ მიგიზიდათ ამ „ეშმაკის გამოგონილმა“ ეკრანმა?

— აღმოვაჩინე, რომ მწერალს სჭირდება კომუნიკაცია. მისი სიტყვა, ლექსი, მოთხრობა თუ ესსე — ეს არის კომუნიკაციის საშუალება გარკვეულ აუდიტორიასთან, შენს მკითხველთან. წიგნები არ იყიდება! წიგნების ტირაჟი, როგორც წესი, არ აღემატება ორასიდან ათასს. ფორუმში ათასობით ადამიანი გვეხმიანება, ვინც რეალურად წაიკითხა ჩემი და სხვათა ტექსტები. ეს დრომ გვითხრა და აქ უკვე ბუზღუნი თუ 80-იანი წლების მენტალიტეტით სიარული აბსურდია. ისე, წავიტრაბახებ და ვიტყვი, რომ შინაგანად ნოვატორობის მომხრე ვიყავი, ვარ და ასე მოვკვდები ალბათ... არ მიყვარს დახავსებული აზროვნება.

ტარიელ ჭანტურია ხუმრობს ხოლმე: „ათასმა სეროჟამ ისწავლა მანქანის ტარება და რა გახდა, მე და შენც რომ ვისწავლოთო“. ელემენტარული მონდომებაა საჭირო, მეტი არაფერი. თავიდან ჩემს ლექსებს ვერ ვაქვეყნებდი, შრიფტს ვერ ვცვლიდი, სასაცილო დღეში ვიყავი, მაგრამ არ შემრცხვა და ვისწავლე.

— თქვენ უნივერსიტეტელი ბრძანდებით და საინტერესოა თქვენი შეხედულება დღევანდელ სტუდენტურ ცხოვრებაზე. გსურთ თუ არა, დღეს უნივერსიტეტში სწავლობდეთ? თუ თქვენი დრო ჯობდა... მოდის თაობა, რომელმაც საერთოდ არაფერი იცის, რა ხდებოდა საბჭოთა პერიოდის დროს თქვენი სტუდენტობისას...

— დიახ, სამწუხაროდ, მე ვიყავი საბჭოური პერიოდის სტუდენტი. ამ წლების მიმართ ნოსტალგიას ათასი მიზეზის გამო ნამდვილად არ ვგრძნობ, თუმცა მაშინ ადამიანთა შორის ურთიერთობები პოლიტიზირებული არ იყო, რაც დღეს ასე მენატრება. მე ვარ 26 მაისს დაბადებული და ეს უნივერსიტეტში სწავლის დროს ჩემს ტრაგედიად იქცა. ყოველ დაბადების დღეზე ჯიბეში პასპორტი მედო, რადგან მეგობრებთან ერთად ქეიფის დროს თავზე დაგვადგებოდა ხოლმე ერთი მაიორი (სუკ-ის კაბინეტიდან), რომელსაც თავისი „კუდები“ ჰყავდა და გვეკითხებოდნენ: — რას აღნიშნავთო? მოგეხსენებათ, ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცოდით... მერაბ კოსტავა, შოთა ჩანტლაძე ... ხომ აბსოლუტურად განსხვავებულად მოაზროვნე ახალგაზრდები იყვნენ და 26 მაისს უნივერსიტეტის ეზოში ჩვენი თავყრილობა თვალშისაცემი იყო.

დღეს ვისაც უნდა სწავლა, აქვს ის მუხტი და ის სურვილი, რომ ისწავლოს, მისთვის შესანიშნავი პერიოდია. ის წიგნები, რაც გვენატრებოდა, ყოველთვის გამოგვქონდა კონსტანტინე გამსახურდიას თუ სხვა დიდი მწერლების ბიბლიოთეკებიდან და ჩუმად ვავრცელებდით ქსეროასლებს. ბედნიერი ვარ, რომ 1961 წელს მოვხვდი უნიკალურ ბიბლიოთეკაში, რომელიც საქართველოში პირველ ბიბლიოფილს — შალვა ალხაზიშვილს ეკუთვნოდა. მე 17 წლიდან სწორედ იმ ბიბლიოთეკაში გავიზარდე.

დღევანდელ სტუდენტებს კი მეტი თავისუფლება აქვთ თუნდაც იმ კუთხით, რომ რაც ჩვენ დროს იყო პრობლემური, ის დღევანდელი თაობისთვის ხელმისაწვდომია. ქალის და ვაჟის ურთიერთობა ტაბუდადებული თემა იყო, გარკვეული კონტროლის ქვეშ ვიყავით ყველა. მალვით აბსოლუტურად ყველაფერი ხდებოდა, მაგრამ დღეს ეს თემა ღიაა.

* * *

ასე ვარსებობთ, ამბოხიდან ამბოხებამდე
ჩნდება პაუზა ერთნლიანი, თორმეტწლიანი ან ოთხწლიანი
და დღე-ღამეს ვითვლით პულსივით,
გახშირებული სუნთქვის სითბო მინებს დაორთქლავს,
თვალში ჩაგვხედავს გაოგნების წუთი გულცივი
და დავმუნჯდებით, უსიტყვობით გავისუსებით
და მეგაფონებს, ტელე-არხებს შეესევიან
იგივეობის უსახური ჰაბიტუსები...

29. 09. 2007

ძნელია, უკომენტაროდ დატოვო პოეტის ლექსად ნათქვამი, მით უფრო მაშინ, როდესაც იგი ფორუმში გეპატიჟება... ჩვენი რუბრიკის სტუმარია გივი ალხაზიშვილი. ადამიანი, რომელიც პოლიტიკაში არასდროს ერევა, თუმცა აზრი თუ მოერევა, არასდროს იხევს უკან — თქვას მისი სათქმელი.

ბუნებრივია, მიმდინარე პოლიტიკური ბატალიები და ჩვენთვის ისტორიულად კარგად ნაცნობი მორიგი ისტერია ყველას გვიბიძგებს დიდ პოლიტიკაზე სჯა-ბაასისკენ. თავს არავინ წააგებს, თუკი იმას იტყვის, რისი თქმაც არ ეშინია. მთავარია, ადამიანს არ ეშინოდეს, რომ მისი სიტყვები მოცემულ ისტორიულ პერიოდში შეიძლება პოპულარულად სულაც არ ჟღერდეს, მაგრამ იცოდეს ერთი რამ: რომ მისი სიტყვების უკან ქვეყნის მომავალი თაობის წარმომადგენელთა ბედი დგას.



ამით იმის თქმა მინდა, რომ დრო შეიცვალა და ახალგაზრდობაც უფრო თავისუფალია. თუმცა ბოლომდე არც ისინი არიან თავისუფალნი მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარული რეჟიმი აღარ არის. ვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, ის ვერასდროს იქნება თავისუფალი.

ღვთის წინაშე რაღაც გარკვეული შიში ხომ გვაქვს ყველას. დოსტოევსკის აქვს ასეთი გამოთქმა: „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი დასაშვებია“. აი, „ყველაფრის დაშვებაში“ რომ გადავიდა, თუ გადადის ჩვენი დამოკრატია, ეს არის ცუდი.

— საბჭოთა ხელისუფლებისთვის უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ის კერა, რომლის წიაღშიც გამოთქმულ თავისუფალ აზრს, უმეტესწილად, იგი ანგარიშს უწევდა. აქ „აზვირთებული ტალღა“ ხშირად აბალანსებდა კიდეც ხელისუფლების ქმედებებს. უნივერსიტეტს ეს მისია უკვე აღარ აკისრია, რადგან თავისუფალი სიტყვის თქმა დღეს ქვეყნის პარლამენტშიც შეიძლება და უამრავი დემოკრატიული ინსტიტუტი მუშაობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის. ამდენად, დღეს პრიორიტეტულია განათლება პოლიტიკის გარეშე. საინტერესოა თქვენი აზრი განათლების რეფორმაზე...

— ძალიან ჭკვიანი წმინდა მამა ამბობდა (მე ხშირად ვიმეორებ ამ სიტყვებს), რომ სახელმწიფო არის დროებითი რეალობის ავტონომია. ამ დროებითი რეალობის ავტონომიაში არიან სამინისტროები და მინისტრები, რომლებიც დროებითი რეალობის ნაწილი არიან. დროებითი რეალობა არის დროებითი იმიტომ, რომ დროებითი რეალობა აუცილებლად შეიცვლება ხვალ, ზეგ... შესაბამისად, განათლების რეფორმაც ან დაიხვეწება, ან მოვა სხვა ხელისუფლება და მას შეცვლის. მაგრამ საქართველოში არ შეიძლება იყოს გამუდმებული რევოლუციური ცვლილებები, რადგან ჩვენ ასე სახელმწიფოდ ვერ ჩამოვყალიბდებით.

ვხედავთ, რომ განათლების პრიორიტეტები აბსოლუტურად შეიცვალა. არ მომწონს, როდესაც კლასიკურ ფილოლოგიაში ნაკლები ყურადღება ექცევა, მაგალითად, ჰაგიოგრაფიული ძეგლების კვლევას.

საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური იყო ყველა ჰუმანიტარული დარგი — ეს გახლდათ საშინელება, ამდენად ვერ ვიტყვი, რომ მაშინ უკეთესი განათლება გვქონდა. მაგრამ სპეციფიკურ დარგებს — კლასიკურ ფილოლოგიას, მათემატიკას, ფიზიკას, ბიოლოგიას დიდი ხელშეწყობა ჰქონდა და ეს დარგები ხელშეუხებელიც იყო იმ თვალსაზრისით, რომ აქ ვერ ჩააკვეხებდი მარქსს, ენგელსს, ლენინს, სტალინს... ამიტომ ამ კუთხით გაცილებით უკეთესი სწავლება გვქონდა.

დღეს კი არ მომწონს ის სისტემა, როდესაც ბაკალავრიატის დამთავრება არაფერს ნიშნავს, თუკი სწავლას მაგისტრატურაში ან დოქტორანტურაში არ გააგრძელებ.

— უნივერსიტეტში სასწავლებლად დღეს ძალიან პრაგმატული თაობა მოდის. თუ ადრე მოთხოვნა იყო ფილოლოგიურ სპეციალობებზე, შარშანაც და წელსაც გამოიკვეთა, რომ აბიტურიენტები უფრო ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებებს ირჩევენ. ეს აიხსნება იმით, რომ სტუდენტები აქედანვე ზრუნავენ საკუთარ კეთილდღეობაზე. რას იტყვით ამ ტენდენციაზე, როგორც პოეტი, რომლისთვისაც სულიერი საზრდო უფრო მეტს ნიშნავს, ალბათ, ვიდრე მატერიალური?

— 60-იანელების მწერლობას რომ გადახედოთ, მათ პუბლიცისტურ წერილებს თვალი რომ გადაავლოთ, ილია იქნება ეს, აკაკი თუ ვაჟა... ამას უსათუოდ კარგ ტენდენციად ჩათვლით. მე ამაზე რამდენიმე წელი ვიმუშავე და ერთი-ორი წერილიც გამოვაქვეყნე. გული უკვდება ყველას, რომ ქართველ კაცს ეკონომიკური ცნობიერება არ აქვს. სულ სომხები არიან ვაჭრები. ქართველი კაცი არ არის ბუნებით რაციონალური, ვაჭრობისკენ მიდრეკილი. აი, ჩვენი ისტორია: თავადაზნაურობა ადგა და თავისი მამულები დაყიდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბრიუსელში ექეიფათ და პეტერბურგში კარგად ესეირნათ ან კარგად ჩაეცვათ. ამით ისინი დაჩაჩანაკდნენ და, ფაქტობრივად, კვდომის ეს პროცესი დაინახა ილიამაც, აკაკიმაც და ვაჟამაც.

საქართველო კაპიტალიზმის გავლის გარეშე უცებ მოხვდა საბჭოურ სისტემაში და, შესაბამისად, შრომის კულტურაც ამიტომ არის ჩვენთან ასე დაბალი. თანდათან, ამ „შოკური თერაპიის“ პროცესში, ადამიანები სულ უფრო ცდილობენ, თავიანთი ცხოვრება ახალ თარგზე გადააწყონ.

საბჭოთა პერიოდში ყველაზე ღირებული პროფესია იყო მედიცინა. მას არ ჩამოუვარდებოდა, ასევე, ღვინის ტექნოლოგია. ეს ის ორი სფერო იყო, სადაც დიდი ფულის შოვნა შეიძლებოდა. მაშინ ცნობილი იყო, რომ ფილოლოგი და ჰუმანიტარი დიდ ფულს ვერ იშოვიდა, თუმცა ამ მიმართულებაშიც იყო ერთი ასეთი „ხვრელი“ — დისერტაცია. იცავდნენ ე.წ. „ტუფტა“ დისერტაციებს, მაგალითად, თემაზე: „ლენინის სახე ქართულ პოეზიაში“ და ხდებოდნენ დოქტორები. მათ „წარმატებული“ ადამიანები ერქვათ, ჰქონდათ მაღალი ხელფასი და პრივილეგია, რაც მათი ცხოვრების წესზეც აისახებოდა. „მამამისი პროფესორია და მას უნდა მივათხოვოთ ჩვენი ქალიშვილი“ — ეს ერთერთი გავრცელებული ფრაზა გახლდათ და ის დრო რომ წავიდა, კარგია!

— ანუ თქვენ წინააღმდეგი ხართ საზოგადოებაში პრივილეგირებული ფენის წარმოშობისა, თუნდაც ეს იყოს ინტელიგენცია? ჩვენ დღეს სწორედ შემოქმედი ადამიანების მიძინების პრობლემას განვიცდით. იქნებ ამის მიზეზი ის არის, რომ ასეთ ადამიანებს აღარ ვაფასებთ, აღარ წავახალისებთ, აქტიურად არენაზე აღარ გამოგვყავს?

— მწერალი უნდა იყოს თავის ადგილზე და უნდა აკეთოს ის, რაც უნდა აკეთოს. ჩემთვის არ არის საჭირო არავითარი პრივილეგია. ნუ თხოულობენ პრივილეგიებს — „რადგან ჩვენ ვწერთ ლექსებს და მოთხრობებს, ჩვენ მთავრობამ უნდა გვარჩინოსო!“ ასეთ მიდგომას რომ ვაპროტესტებ, ამის გამო ბევრი მწერალი მემტერება. ამავე დროს, შემოქმედი ადამიანებისადმი მთავრობის მხრიდანაც არასწორი დამოკიდებულებაა. ქართულ მწერლობაში არც ერთი პროექტი არ ხორციელდება. აქ ლაპარაკი არ არის პირდაპირ დაფინანსებაზე, სტიპენდიის მიცემაზე ან ფულის ჩუქებაზე. საუბარია წარმატებული პროექტების განხორციელების ხელშეწყობაზე. როდესაც მე და ტარიელ ჭანტურიას კულტურის სამინისტრო უარს გვეტყვის ჩვენს მიერ შედგენილი ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე იმ ერთადერთი მიზეზით, რომ ქართული პოეზია სახელმწიფოს პრიორიტეტი არ არის, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ? ჩვენნაირ პატარა ქვეყანაში შეუძლებელია ლიტერატურის ბაზრის იმედად დატოვება. ეს ნიშნავს ლიტერატურული კრიტიკის კვდომას, დრამატურგიის კვდომას, პოეზიისას და ეს სახეზეა...

— რით ახსნით თუნდაც იმ ტენდენციას, რომ ქართული ლიტერატურა სულს ღაფავს? ეს ყველა ნამდვილ ქართველს აღელვებს, რადგან ჩვენი მწერლობიდან აღარ მოდის ის მუხტი, რომელიც საზოგადოებისთვის საჭირო — საკვები ღირებულებების დამკვიდრებას უწყობდა ხელს?

— ჩვენ ასე გლობალურად არ ვფიქრობთ. აი, მაგალითად, ბაზარში გაიყიდება ვიღაც წითელთმიანი გოგოს წიგნი სათაურით: „ცოლი წავიდა საღალატოდ“. ბაზარმა მისცა „დაბრო“ და ეს უკვე საკმარისია. აქ ლიტერატურაში ჩარევაზე კი არ არის ლაპარაკი, ამ შემთხვევაში ვეხებით, ზოგადად, კულტურაზე ზრუნვის თემას. ლექსენი თუ ჩაენაცვლა კლასიკას, ეს დიდი დამსახურებაა ჩვენი პრესის, რადიოსი თუ ტელევიზიისა. ჩავთვალოთ, რომ, ჯერჯერობით, დიდი ცივილიზაციის განაპირა პოზიციაზე ვართ. თუმცა ცივილიზაცია დიდად არ მხიბლავს, რადგან ცივილიზაციას კულტურა არაფრად უღირს და იგი ისეთივე უღმერთოა, როგორც გლობალიზაცია. ცივილიზაცია და კულტურა ერთი და იგივე არასდროს ყოფილა. ცივილიზაცია თავისი საბაზრო კანონებით კედელთან აყენებს კულტურას — ეს არის ფაქტი. ამიტომ პატარა ქვეყნების ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რა გააკეთოს კულტურის გადასარჩენად. ვიღაცებს ფულები კი არ უნდა ურიგოს, არამედ ერთი-ორი შადრევანი ჩვენც უნდა გაგვიკეთოს. დღესდღეობით საქართველოში არ გამოდის არც ერთი ლიტერატურული ჟურნალი, რომელსაც კულტურის სამინისტრო პროექტის დონეზე მაინც ეხმარებოდეს.

— ხელისუფლებისთვის, დღეს, მწერლები საშიშროებას ნამდვილად არ წარმოადგენენ, რადგან ისინი პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად აღარ ერევიან. თუმცა უმეტესობას საკმაოდ აგრესიული პოზიცია აქვს და ესეც განაპირობებს მათ გაუცხოებას დღევანდელი პოლიტიკისგან. არავინ იცის, ქვეყანა ამით იგებს თუ აგებს, დღეს „თქმა სჯობს არათქმასა“ თუ პირიქით, მაგრამ საინტერესოა — რას ფიქრობს ბატონი გივი ალხაზიშვილი მწერლის როლზე ასეთ დაძაბულ ვითარებაში?

— 2003-ში მოხდა რევოლუცია, გიორგობის დღე იყო... ის, რომ შევარდნაძე გადადგა და ეს ახალგაზრდები მოვიდნენ, ამის პირველი მომხრე ვიყავი. პირველ არხზე გამოვედი და ვთქვი: მხარში დავუდგეთ მათ და ერთად მივხედოთ ქვეყანას-თქო. ეს იყო ჩვენი დამოკიდებულება. ეს აზრი დღემდე არ შემიცვლია. აქტიურ პოლიტიკაში არასოდეს ვყოფილვარ. იყვნენ მწერლები პარლამენტში და მათ თავი მოგვჭრეს, ზოგმა დსთ-ს მისცა ხმა... ჩემს სათქმელს კი ლექსში ვამბობ ხოლმე. მოკლედ, ასეა...

ადამიანის სუნთქვასთან გარითმული წიგნი, რომელიც მკითხველს „ფილოსოფიურ გუნებაზე დააყენებს“

წიგნის „ევდემოსი — მეორე სიზმარი (ანუ დროის შესახებ)“ ავტორი საქართველოში კვიპროსის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლეონიდას პანტელიდისი გახლავთ. წიგნი ბერძნულიდან თარგმნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა, თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ირინე დარჩიამ. ქართული გამოცემის რედაქტორები არიან: ფილოსოფიის დოქტორი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი და ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ანასტასია ზაქარიაძე და ცნობილი ქართველი მწერალი, ლიტერატურულ პრემია „საბას“ მფლობელი შოთა იათაშვილი. წიგნის პრეზენტაცია გაიმართა კონფერენციაზე „არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა“ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში.

ევდემოსი პლატონის აკადემიის კვიპროსელი მსმენელი და არისტოტელეს მეგობარი ყოფილა. ციცერონის თანახმად, დაახლოებით ძვ.წ.აღ-ით 359 წელს იგი ფერეში მოგზაურობისას მძიმედ დასნეულებულა. ერთ საღამოს ევდემოსს გამოეცხადა ღვთაებრივი სილამაზის ჭაბუკი, რომელმაც გამოჯანმრთელება და სამშობლოში დაბრუნება უწინასწარმეტყველა (ევდემოსი გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო კვიპროსზე ვერ ჩადიოდა). ევდემოსი მართლაც გამოჯანმრთელდა, მაგრამ მალე სირაკუსასთან მახლობლად ბრძოლაში დაიღუპა და, ამრიგად, მხოლოდ მისი სული დაბრუნდა „მარადიულ სამშობლოში“. ევდემოსის სიკვდილით შეძრწუნებულ არისტოტელეს შეუქმნია ნაწარმოები — დიალოგი „სულის შესახებ“, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ლეონიდას პანტელიდისის „ევდემოსი - მეორე სიზმარი (ანუ დროის შესახებ)“ ახალგაზრდა კვიპროსელი ფილოსოფოსის, ევდემოსის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ საღამოს გადმოგვცემს. მას კვლავ ღვთაებრივი ჭაბუკი გამოეცხადება, დროში ამოგზაურებს და ძველი ნიქოზიის ერთ-ერთ კაფეში მოახვედრებს. იქ თავმოყრილი ახალგაზრდები და სტუდენტები ევდემოსს ფილოსოფიურ საუბარში იწვევენ.

„მკრეხელობად ნუ ჩამითვლით, ჩემი მოკრძალებული ფილოსოფიური თხზულება არისტოტელეს მსგავსად რომ დავასათაურე. მინდოდა ხაზი გამესვა, რომ ფილოსოფიის ენას დრო არ ცვლის. წიგნის წერის დროს მიზნად ვისახავდი, რომ ნაწარმოების წაკითხვა ერთი ამოსუნთქვით ყოფილიყო შესაძლებელი, ანუ ისე, როგორც ოპერის ან სიმფონიური მუსიკის აღქმას ახერხებს ადამიანი. დიდი სურვილი მქონდა, „ევდემოსი“ ხმამაღლაც ადვილი საკითხავი გამხდარიყო, ანუ ტექსტი ადამიანის სუნთქვასთან ყოფილიყო გარითმული“, — განაცხადა წიგნის ავტორმა.

წიგნის წარდგენაზე ქალბატონმა ირინე დარჩიამ წიგნის დედაარზრზე ისაუბრა: „პანტელიდისის კვლევის დახმარებით მკითხველი თანამედროვე ფილოსოფიური აზრის სიღრმეებს სრულიად არაორდინალური ფორმით ეზიარება. შთამბეჭდავია წიგნის ავტორის ინტელექტი, მდიდარი ინფორმაცია, რომელსაც იგი ფლობს. ბატონმა პანტელიდისმა ქართველ მკითხველს კიდევ ერთხელ მისცა საშუალება — ისაუბროს და იკამათოს ფილოსოფიაზე, ანუ უყვარდეს და პატივი მიაგოს სიბრძნეს“.

„ევდემოსი“ საუკეთესო შენაძენი იქნება ქართველი მკითხველისთვის. ვინაიდან მასში საინტერესოდ არის შეზავებული ანტიკურობის სული, დიალოგის პლატონისეული მეთოდი და XX საუკუნის თანამედროვე მკითხველის საფიქრალი. პროფესორ რისმაგ გორდეზიანის აზრით, წიგნი ქართველ მკითხველს „ფილოსოფიურ გუნებაზე დააყენებს“.

ალმანახი „თაობები“ დასაფიქრებლად თაობებს გადაეცემა

ალმანახი „თაობები“ თავისი „ტექსტებითა და ავტორებით კალეიდოსკოპს უფრო წაგავს, ვიდრე ტრადიციულ ლიტერატურულ გამოცემას. მასში ახალი და ძველი ნაწარმოებები ყოველგვარი ლიტერატურული ნიშნის, მიმდინარეობის, ქრონოლოგიისა და ჟანრობრივი განსხვავების გარეშეა თავმოყრილი“, — აღნიშნავს ალმანახის შესავალში თანამედროვე პოეტი ლელა სამნიაშვილი.

ალმანახის შექმნის იდეის ავტორია ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერებისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი ემზარ ჯგერენაია. „თაობების“ პრეზენტაცია 18 ოქტომბერს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. პირველ ნომერში 68 ავტორი გაერთიანდა, რომელთაგან ყველაზე უფროსი ქალბატონი იზა ორჯონიკიძე, უმცროსი კი ახალგაზრდა პოეტი სანდრო ლორთქიფანიძე (ხვიარა) გახლდათ. ალმანახ „თაობების“ კონსულტანტს, მწერალ გივი ალხაზიშვილს მიაჩნია, რომ საერთო გულგრილობის ფონზე მწერლობა მკითხველამდე მიღწევის ნოვატორულ საშუალებებს პოულობს: „ინტერნეტ-სივრცეში ქართული მწერლობისთვის გამოჩნდა ახალი გზა და იმედია, რომ იგი თანდათან დაიბრუნებს თავის ადგილს, გამოაღწევს სავალალო ვითარებიდან“ .

მართლაც, უკანასკნელი წლების განმავლობაში ვირტუალური სივრცე ქართველი ავტორებისთვის მკითხველთან ურთიერთობის ორიგინალურ საშუალებად იქცა. უკვე ერთი წელია, რაც სხვადასხვა თაობის მწერლებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი „ებლიტფოც“ მასპინძლობს. „ებლიტფო“ 2006 წლის 18 ოქტომბერს გაიხსნა ერთადერთი თემით „საუბრები ლიტერატურაზე“. მალევე ჩაისახა პროექტ „თითო-თითოს“ იდეაც.

„პირველად, დავით ყანჩაშვილის (იორიკის) პოეზიის საღამოზე გამოვაცხადეთ, რომ მალე ალმანახს გამოვცემდით, რომელშიც ლიტერატურული საღამოების მასპინძლების თითო ნაწარმოები შევიდოდა. ამგვარად შეიქმნა ელექტრონული ლიტერატურული ჟურნალი „თითო-თითო.“ რაც შეეხება ალმანახის სახელწოდებას — „თაობები“, იგი ლიტერატურათმცოდნე მერაბ ღაღანიძემ და ზაზა შათირიშვილმა შემომთავაზეს“, — განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურული პროგრამებისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ გიორგი კილაძემ.

ალმანახის მეორე ნომერი „ებლიტფოს“ ახალ პროექტს — სახელწოდებით „ყველაზე მეტად“ განახორციელებს. მასში შევა ავტორის შერჩეული თითო ნაწარმოები, აქვე დაწერს საკუთარ მოსაზრებასაც, თუ რატომ თვლის შერჩეულ ნაწარმოებს თავის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვნად.

„ვფიქრობ, კიდევ ერთი სახლი შენდება ლიტერატურისთვის. მწერლებს თავიანთი შემოქმედების დასაბინავებლად და სულის მოსათქმელად ახალი ჭერი ექნებათ“, — განაცხადა ალმანახის პრეზენტაციაზე პოეტმა ნატო ინგოროყვამ.

წიგნი „დაფარული შუქი“ შარშან შვეციაში გამოიცა და წლის საუკეთესო წიგნის პრემია დაიმსახურა

დაფარული შუქი „ქვეყნის გაჩენისეული პირველი სამი დღის შუქია“, რომელიც ადამიანის სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ შეწყდა და ებრაელთა რწმენით, მესიის მოსვლის დღისთვის არის შემონახული. სხვა განმარტებით, დაფარული შუქი „სამყაროს შესაქმისი მთელი შვიდ

დღის შუქია“. მეტაფორულად კი იგი ადამიანის შინაგანი, ჭეშმარიტი დიდი შუქი გახლავთ — „წმინდა წყაროსეული“.

წიგნის — „დაფარული შუქი“ ავტორი თანამედროვე ებრაელი მწერალი, მეცნიერი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ნობელის პრემიის ლაურეატი, თანამედროვე ისრაელის ლიტერატურული პროცესების მკვლევარი, ისრაელის პენ-კლუბის თავმჯდომარე ორციონ ბართანა გახლავთ. მისი შემოქმედება 29 ენაზეა თარგმნილი. „დაფარული შუქი“ შარშან შვეციაში გამოიცა და წლის საუკეთესო წიგნის პრემია დაიმსახურა.

საქართველოში ორციონ ბართანა პირველად ხუთი წლის წინ ჩამოვიდა და კარგა ხანი მოანდომა ქართული ხასიათისა თუ სულის თავისებურებების შესწავლას. სწორედ მაშინ გაუჩნდა სურვილი, ებრაულ ენაზე გადაეთარგმნა ქართველი პოეტის ლექსები და რეუვენ ენოხის (ენუქაშვილის) დახმარებით გალაკტიონის ოცდაათი ლექსი თარგმნა კიდეც. რეუვენ ენოხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, მან თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები საქართველოსა და ქართული მეცნიერების განვითარებას მიუძღვნა, ქართული ლიტერატურის არა ერთი შედევრი თარგმნა ივრითზე. მასვე ეკუთვნის ორციონ ბართანას „დაფარული შუქის“ ქართული თარგმანი.

„დაფარული შუქი“ პირველი წიგნია, რომელიც თანამედროვე ებრაული ენიდან ქართულ ენაზე ითარგმნა. ეს მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა 10 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – საქართველოში ისრაელის საელჩოს, თსუ-სა და არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის (სამარიაში) ხელშეწყობით გაიმართა.

„მიხარია, რომ ამ წიგნმა სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში იხილა დღის შუქი. განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ ჩვენს სტუმარს, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ბატონ შაბთაი ცურს, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს ქართულ-ებრაული კულტურული თუ საუნივერსიტეტო ურთიერთობების გაღრმავების მიზნით“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

წიგნის გამომცემელმა, პროფესორმა ამირან გომართელმა აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, ქართულ კულტურას ისრაელში ნაკლებად იცნობენ. მან მზადყოფნა გამოთქვა კრებულის — „ათი საუკეთესო ქართული მოთხრობა“ ებრაულ ენაზე გამოსაცემად.

ებრაული სახლის პროგრამების კოორდინატორის, ზაირა დავარაშვილის აზრით, ორციონ ბართანა თავის ნაწარმოებში სწორედ ადამიანის შინაგან შუქზე საუბრობს. გარდა ამისა, ავტორი „დაფარულ შუქში“ ზოგადსაკაცობრიო შეკითხვებს სვამს, რომელთა ნაწილს თავად სცემს პასუხს, ნაწილს კი მკითხველს უტოვებს დასაფიქრებლად.

პრეზენტაციის ბოლოს ორციონ ბართანამ შეკრებილ საზოგადოებას საკუთარი წიგნიდან ნაწყვეტი წაუკითხა: „დაე, თავად ნაწარმოებმა ისაუბროს თავის თავზე. არ მინდა წინასწარ გაგიფუჭოთ განწყობა — კითხვა ხომ ინტიმური პროცესია მკითხველსა და წიგნს შორის.“

„ჩემი გზა“ ანუ ზოგი რამ, რაც მარიამ ლორთქიფანიძეს გაახსენდა

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85-ე, ხოლო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან მე-60 წლის აღსანიშნავად „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ“ გამოსცა წიგნი „ჩემი გზა (ზოგი რამ, რაც გამახსენდა)“. მასში ღვაწლმოსილი მეცნიერის პირადი მოგონებებია წარმოდგენილი. შესავალი წერილი წიგნის შემდგენელს, თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს ლევან კიკვიძეს ეკუთვნის. იგი ხაზგასმით აღნიშნავს საკუთარი მასწავლებლის სტუდენტებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას: „მარიამ ლორთქიფანიძე ყოვე-



ლთვის პატივისცემით ეპყრობა მოწაფეების აზრს და მათ თავისუფალ მოაზროვნეებად ზრდის“.

ოჯახი, ბავშვობა, სწავლის პერიოდი და მეგობრები, მასწავლებლები, დაძაბული ცხოვრებისეული მომენტები, მოქალაქეობრივი პოზიციები — ეროვნული ისტორიისა და ქართული ენის დასაცავად გამოსვლა, ქართველი აკადემიკოსების ერთი აქცია, საქართველოს რუსეთთან შეერთების 180 წლისთავის იუბილეს ჩაშლა, ასევე აფხაზეთისა თუ ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის საკითხი, ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვა – ეს და სხვა საინტერესო ამბები მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრებიდან სტუდენტების ინიციატივით შექმნილ ამ მოკრძალებულ გამოცემაშია თავმოყრილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ბავშვობის ოცნება“ და „ჩემი ოცნება“. როგორც ირკვევა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ბავშვობაში ბალერინობასა და პიანისტობაზე ოცნებობდა. ამჟამად კი მისი ოცნებები საკუთარ ქვეყანას დასტრიალებს:

„ჩემი ოცნებაა, მოვესწრო საქართველოს გაერთიანებას, ჩემს სამშობლოში არ იყოს ამდენი უმუშევარი, დათრგუნული ხალხი, ამდენი მათხოვარი, განსაკუთრებით ბავშვები. შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ახალგაზრდობა უცხოეთში არ გარბოდეს, ვინც წასულია — დაბრუნდეს... აუცილებელია ახალგაზრდობის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემით, სამშობლოს სიყვარულით აღზრდა... ჩემმა მასწავლებლებმა და მათმა მოწაფეებმა მიაღწიეს იმას, რომ საქართველოს ისტორია საშუალო სკოლაში ცალკე საგნად ისწავლებოდა, გამოცდა ბარდებოდა. ნუ ჩავიდენთ იმას მაინც, რისი გაკეთებაც, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ მოახერხეს კომუნისტებმა“.

წიგნის ბოლოს ქალბატონი მარიამი რჩევას აძლევს ქართველ ახალგაზრდობას: „მომავალ სტუდენტებს ვუსურვებ კარგად გამოიყენონ დრო, ისწავლონ, იკითხონ წიგნები, გახდნენ მაღალი დონის პროფესიონალები, იყვნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები“...

ჯილდო

2007 წლის ნობელიანტები

2007 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში ბრიტანელი მწერალი ქალი დორის ლესინგი გახდა.

დორის ლესინგი 1919 წელს დაიბადა. მისი ლიტერატურული დებიუტი 1950 წელს შედგა რომანით „ბალახი მღერის“. ლესინგის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად „ოქროს დღიური“ ითვლება, რომელიც 1962 წელს გამოქვეყნდა და იმთავითვე მსოფლიოს არა ერთი ქალბატონის სამაგიდო წიგნად იქცა. მსოფლიო ლიტერატურული მემკვიდრეობის საგანძურში დორის ლესინგის კიდევ ორმა წიგნმა „ზაფხული დაისის წინ“ (1973 წ.) და „მეხუთე ბავშვი“ (1988წ) დაიმკვიდრა ადგილი.

შეგახსენებთ, რომ შარშან ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში თურქმა მწერალმა ორჰან ფამუქმა მიიღო.

ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატად აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი დასახელდა ეკოლოგიურ პრობლემასთან ბრძოლის საქმეში გაწეული ღვაწლისათვის. ნობელის მშვიდობის პრემიის მფლობელები სხვადასხვა წლებში გახდნენ: ანდრეი სახაროვი, მიხაილ გორბაჩოვი, ნელსონ მანდელა, იასირ არაფატი, ლეხ ვალენსა, ჯიმი კარტერი.

ნობელის პრემია ფიზიკაში ფრანგ ალბერ ფერსა და გერმანელ პეტერ გრიუნბერგს მიანიჭეს ე.წ. „გიგანტური მაგნიტური წინაღობის ეფექტის“ აღმოჩენისთვის. ტექნოლოგია, რომელშიც ეს ეფექტი გამოიყენება, საშუალებას იძლევა კომპიუტერების მყარ დისკზე უზარმაზარი რაოდენობის ინფორმაცია შევინახოთ. „გიგანტური მაგნიტური წინაღობის ეფექტის“ დახმარებით უკანასკნელ წლებში მყარი დისკები საკმაოდ მინიატურული გახდა.

ნობელის პრემია მედიცინის დარგში ინტერნაციონალურ ტრიოს (იტალიელ მარიო კაპეკს, ბრიტანელ მარტინ ევანსს და ამერიკელ ოლივერ სმიტს) გადაეცემა. ასეთი გადაწყვეტილება ნობელის კომიტეტმა კენჭისყრის შედეგების შეჯამების შედეგად მიიღო.

ნობელის პრემია 10 მილიონი შვედური კრონაა (1,4 მილიონი დოლარი). ჩეკს საპატიო დიპლომთან ერთად ნობელიანტები შვედეთის მეფის - კარლ XVI გუსტავისგან დეკემბერში, სტოკჰოლმში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე მიიღებენ. მშვიდობის პრემიის გადაცემა კი, ტრადიციულად, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში მოხდება.

გვერდი მოამზადა მაკა ლდოკონენმა

მნიშვნელოვანი თარიღები

■ 13 ოქტომბერი რეკლამის დღეა. პირველი სარეკლამო საქმიანობა 1814 წელს აშშ-ში ვოლნი პალმერმა დაიწყო. იგი საგაზეთო ფართის გაყიდვაში კომპანიებს 25% საკომისიოს ართმევდა. XIX საუკუნის ცნობილმა სარეკლამო აგენტმა ჯორჯ პოუელმა 1865 წელს ბოსტონში საკუთარი სარეკლამო სააგენტო დააარსა, 1869 წელს კი „როუელის ამერიკული საგაზეთო ცნობარი“ გამოსცა, რომელშიც 500-მდე ამერიკული და კანადური გაზეთის ტირაჟი იყო მითითებული, რაც იმ დროისთვის საკმაოდ რთულად მოსაპოვებელი მონაცემები გახლდათ. 1875 წელს კომპანია „ფრენსის უილენდ ეიერის“ მფლობელებმა ე.წ. „ღია კონტაქტის“ პრაქტიკა შემოიღეს: მათ დაადგინეს აგენტისთვის განკუთვნილი საკომისიოს რაოდენობა იმ თანხიდან, რომელსაც გამომცემელი იღებდა.

■ 1946 წლის 14 ოქტომბერს ლონდონში სამოქალაქო ინჟინრების ინსტიტუტის შენობაში სტანდარტიზაციის ნაციონალური ორგანიზაციების კონფერენცია გაიხსნა. მასში 25 ქვეყანა მონაწილეობდა. კონფერენციაზე სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ფარუქ სუნტერმა წამოაყენა წინადადება — 14 ოქტომბერი სტანდარტიზაციის მსოფლიო დღედ დაეკანონებინათ, რათა ხაზი გაესვათ მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში სტანდარტიზაციის მნიშვნელობისთვის.

■ 1922 წლის 17 ოქტომბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე დააწესა. 1996 წელს მსოფლიოს ქვეყნების ლიდერებმა საერთაშორისო სამრეწველო სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება, ორჯერ შეემცირებინათ (2015 წლისთვის 800-დან 400 მილიონამდე) იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც შიმშილით იხოცებიან.

■ 1945 წელს, გაეროს წესდების ძალაში შესვლის შემდეგ, 24 ოქტომბერი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღედ დაკანონდა. ხოლო გენერალური ასამბლეის 1997 წლის რეკომენდაციით, გაეროს წევრი ყველა ქვეყნისთვის ეს დღე სახელმწიფო ზეიმად გამოცხადდა. გაეროში თავდაპირველად 51 ქვეყანა გაერთიანდა. დღეს მისი წევრი 191 ქვეყანაა.

■ 24-დან 30 ოქტომბრამდე განიარაღების კვირეულია.

■ 25 ოქტომბერი მშვიდობისთვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო დღეა. ეს თარიღი, ქალთა საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, 1980 წლიდან აღინიშნება.

■ 30 ოქტომბერი საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა დღეა. ცნობილია, რომ მსოფლიოში ავტომობილების რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით სამჯერ სწრაფად იზრდება.

■ 30 ოქტომბერი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღეა.

ჰელოვინის დღესასწაული და გოგრა – ბოროტი სულების დასაფრთხობად

„ჰელოვინი“ (halloween) ერთერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული დღესასწაულია, რომელსაც 31 ოქტომბერს კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში აღნიშნავენ. თანამედროვე ჰელოვინი სხვადასხვა კულტურის, ადათ-წესებისა და ტრადიციების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა.

დაახლოებით 2 ათასი წლის წინ ძველი კელტები (თანამედროვე ირლანდიის, ინგლისისა და, ნაწილობრივ, საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები) ზაფხულს ახალი წლის წინა ღამეს აცილებდნენ (ახალი წელი კელტებისთვის 1 ნოემბერს იწყებოდა). მათ მიაჩნდათ, რომ 31 ოქტომბრის ღამეს გარდაცვლილები დედამიწაზე ბრუნდებოდნენ ცოცხალი შთამომავლების საქმეების შესაფასებლად. ამ ღამეს ძველი კელტები ბოროტი სულების დასაფრთხობად გარეული ცხოველის ქურქით იმოსებოდნენ.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ არაერთი წარმართული დღესასწაული აიკრძალა. რომის პაპმა ბონიფაციუს IV-მ 1 ნოემბერი ყოველთა წმინდანთა დღედ გამოაცხადა და, მას შემდეგ, 1 ნოემბერს კათოლიკე წმინდანებისა და მოწამეების სულებს იხსენიებენ.

„ჰელოვინი“ ტრადიციებით ამერიკამაც გაამდიდრა. 31 ოქტომბრის ღამეს საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილი ბავშვები კარდაკარ დადიან, მასპინძლები კი ბავშვებს უხვად ასაჩუქრებენ.

„ჰელოვინის“ განუყრელი ატრიბუტია გამოშიგნული გოგრა ამოჭრილი თვალებით და პირით. გოგრაში ანთებულ სანთელს დებენ. ეს ტრადიცია ირლანდიური მითიდან იღებს სათავეს. მითი ძუნწ ჯეკზეა, რომელმაც ორჯერ მოატყუა ეშმაკი. როცა ჯეკი გარდაიცვალა, ღმერთმა იგი მიწაზე დააბრუნა და ბოროტი ძალების შესაშინებლად თვალების ადგილზე მოგიზგიზე ნახშირები დაუმაგრა. სწორედ ამიტომ, ძველი ირლანდიელები და შოტლანდიელები ვაშლებისა და კარტოფილისგან ჯეკის საზარელ სახეს ჭრიდნენ. აშშ-ში კი ამ მიზნით გოგრების გამოყენება დაიწყეს.

ხელოვნების ნიმუშების ეფექტურად გაწმენდის ახალი საშუალება

იტალიელი რესტავრატორების ჯგუფმა შეიმუშავა ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა ხელოვნების ნიმუშები: ძველებური ფრესკები, სურათები და ქანდაკებები მაქსიმალურად ეფექტურად გაიწმინდოს.

ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა პიერო ბალიონიმ თავის კოლეგებთან ერთად სპეციალურ გელში კობალტისა და რკინის ოქსიდის ნაწილაკები მოათავსა და მაგნიტური ღრუბელი მიიღო. ღრუბლის 50 ნმ დიამეტრიანი ფორები მკვლევარებმა მიკროემულსიით შეავსეს – ეს გახლდათ სურფაკატანის მოლეკულებისგან შემდგარი ნაერთი (საპნისმაგვარი, ზედაპირულად აქტიური ნივთიერება), რომელიც გასაწმენდი ობიექტის ზედაპირიდან ჭუჭყს შრეებად აძრობს.

გაწმენდის ამგვარი მეთოდი მარტივი და იოლია: ზედაპირს რამდენიმე მილიმეტრ გელს წაუსვამენ და 10 წუთიდან 1 საათამდე (დაბინძურების ხარისხის შესაბამისად) გააჩერებენ. წარმოიქმნება ფირფიტა, რომელსაც მაგნიტით მოაცილებენ.

გელის საფუძველზე დამზადებულ გამწმენდ სისტემებს, მართალია, ადრეც იყენებდნენ, მაგრამ მათ ხშირად უარყოფით შედეგამდე მივყავდით – წებოვნების გამო ისინი აგრესიული გამხსნელების გარეშე ძნელად სცილდებოდნენ გასაწმენდ ზედაპირს, რაც ნიმუშების დაზიანების მიზეზი ხდებოდა.

ბალიონის მეთოდებს მთელ მსოფლიოში იყენებენ. კოლეგებთან ერთად იგი სიენისა და ფლორენციის ტაძრებში აღორძინების პერიოდის ნახატების აღდგენაში მონაწილეობდა. რაც შეეხება ახალ — ნანოტექნოლოგიურ მეთოდს, მისი გამოცდა ძველებურ ფრესკებზე წარმატებით დასრულდა.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია

მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე

კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი: ილია ქავქავაძის გამზ.1

✆ 22 10 34

კვების პროდუქტებში შემავალი ზოგიერთი დანამატი ბავშვებში ჰიპერაქტიურობასა და ყურადღების დეფიციტს იწვევს

საუთჰემფთონის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეისწავლეს, თუ როგორი ზეგავლენა აქვს საბავშვო კვების პროდუქტებში შემავალ დანამატებს 3-დან 8 წლამდე ასაკის ბავშვების ქცევაზე. შერჩეული 300 ბავშვიდან ნაწილს შესთავაზეს სასმელი, რომელიც სტანდარტული რაოდენობით საღებავსა და კონსერვანტებს შეიცავდა, ნაწილს კი — ისეთი სასმელი, რომელშიც საერთოდ არ იყო მსგავსი დანამატები. პირველ ჯგუფში ბავშვების ქცევა ჰიპერაქტიური გახდა, ანუ აღგზნებადობამ ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად მაღალ დონეს მიაღწია, რომ მედიკამენტებით ჩარევა გახდა საჭირო.

ექიმები ადასტურებენ, რომ საღებავებისა და კონსერვანტების შემცველი სასმელის დალევის შემდეგ, სასკოლო ასაკის ბავშვების 5%-10% ეგრეთწოდებულ „ყურადღების დეფიციტის სინდრომს“ – ADHD (Attention deficit hyperactivity disorder) ავლენს. ამგვარი ფსიქიკური მოშლილობისთვის დამახასიათებელია ჰიპერაქტიურობა, იმპულსურობა, ცუდი ყოფაქცევა სკოლასა და სახლში. როგორც აღმოჩნდა, ბიჭები უფრო მეტად ექვემდებარებიან ADHD-ს, ვიდრე გოგონები. რაც შეეხება უფროსი ასაკის ბავშვების ქცევას, ნეგატიური ცვლილებები მათთანაც აღინიშნებოდა, თუმცა გამოხატვის ხარისხი ინდივიდუალური იყო.

„ექსპერიმენტი თვალსაჩინოდ და საფუძვლიანად გვიჩვენებს, რომ ხელოვნური დანამატები ADHD-ის განვითარებას უწყობს ხელს და უხვადაა ნაყინში, საკონდიტრო ნაწარმსა თუ სასმელებში, რომლებიც ბავშვების კვების რაციონიდან აუცილებლად უნდა ამოვიღოთ“, – მიიჩნევს კვლევის ხელმძღვანელი ჯოიმი სტივენსონი.

კვლევის შედეგებს ბრიტანეთის კვების მრეწველობის საბჭოს წარმომადგენლებიც გაეცნენ. მათ განაცხადეს, რომ პროდუქტების შემადგენლობიდან ნებისმიერი საკვები საღებავის ამოღებაა შესაძლებელი, გარდა კონსერვანტისა Sodium benzoate E211. ამ დანამატის გაუქმება მწარმოებლებში სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევს. მიუხედავად ამისა, ბრიტანელი მშობლები კატეგორიულად მოითხოვენ, კვების მრეწველობამ საბავშვო სამზარეულოზე იზრუნოს.

გთავაზობთ იმ საკვები დანამატების სიას, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებში ADHD –ის განვითარებას:

Sanset yellow E 110 – ყვითელი საღებავი;
Carmoisine E122 – წითელი საღებავი;
Tartrazine E102 – ახალი საღებავი შუშხუნა სასმელებისთვის;
Ponceau 4R E124 – წითელი საღებავი;
Sodium benzoate E211 – კონსერვანტი;
Quinoline yellow E110 – ყვითელი საღებავი;
Allura red AC129 – ნარინჯისფერი საღებავი.

გაგვიძლებს თუ არა ქაღალდის სახლები

სტატისტიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამერიკელების მიერ ყოველწლიურად გადაყრილი მუყაოს ქაღალდებისგან ქვეყნის მთელ საზღვარზე 15 მეტრი სიმაღლის კედელი აშენდებოდა. ამის გამო ამერიკელებმა გადაწყვიტეს, ფართოდ გამოეყენებინათ მშენებლობაში „ქაღალდობეტონი“ - პორტლანდცემენტისა და ქვიშის შენაერთი, რომელსაც დანაკუწებულ მაკულატურას უმატებენ. „ქაღალდობეტონი“ გამოირჩევა სიმსუბუქით (მისი 50-80% ქაღალდია), იგი კარგი თბოიზოლატორია და სხვა სამშენებლო მასალებზე 20-30%-ით იაფი ჯდება.

პირველი პატენტი ცემენტისა და ქაღალდისგან დამზადებულ სამშენებლო მასალებზე გასული საუკუნის 20-იან წლებში გაიცა, თუმცა, მაშინ არავინ დაფიქრებულა მაკულატურის გამოყენების პრობლემებზე. დღესდღეობით კი აშშ-ში აგებულ ასობით შენობაში „ქაღალდობეტონი“ წარმატებულ ექსპლუატაციაშია. ხოლო ქალაქ მარატონში (ტეხასის შტატი) უკვე მეორე ათწლეულია, რაც ქაღალდის სასტუმრო დგას.

ციფრები და ფაქტები

♦ ინგლისელმა სტატისტიკოსებმა დაადგინეს, რომ ნობელის პრემიის ლაურეატები საშუალოდ 2 წლით მეტს ცხოვრობენ, ვიდრე ამ პრემიაზე ნომინირებული მათი კოლეგები, რომელთაც ეს პრემია ვერ მიიღეს. ოსკარის მფლობელი კინომსახიობების სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 3,6 წლით აღემატება ამ პრემიის ნომინანტებისას;

♦ მინესოტას უნივერსიტეტის (აშშ) მარკეტინგის პროფესორმა, ფსიქოლოგმა ჯონან მეიერს ლივაიმ გააანალიზა სხვადასხვა სიმაღლის ჭერქვეშ მომუშავე ადამიანების აზროვნების თავისებურებანი. აღმოჩნდა, რომ დაბალჭერიან სამუშაო კაბინეტებში თანამშრომლები გაცილებით კონცენტრირებულები, დაკვირვებულები და აქტიურები არიან, მაღალჭერიანი ოფისები კი ნოვატორული იდეების გენერირებას უწყობს ხელს;

♦ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ს ჰყავდა მინისტრი, გვარად სილუეტი, რომლის შესახებ უამრავ პასკვილსა თუ ანეკდოტს თხზავდნენ. ერთხელ კარიკატურაზე ბატონი სილუეტი მისივე ჩრდილის სახით გამოსახეს, რის შემდეგაც კონტურულ ნახატებს სილუეტები დაერქვა. ფოტოგრაფიის გამოგონებამდე ამგვარი პორტრეტები ძალზე პოპულარული იყო;

♦ 700 ინგლისურ ოჯახში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ უფროსკლასელი ბავშვები, რომლებიც ტელევიზორთან ყოველდღე სამ საათზე მეტს ატარებენ, უფრო ხშირად ანებებენ სწავლას თავს (82%-ით მეტი მაჩვენებლით) ვიდრე ბავშვები, რომლებიც დღეში 1 საათის განმავლობაში უყურებენ ტელევიზორს;

♦ ერთი სამუშაო დღის მანძილზე მბეჭდავის თითები 20 კილომეტრიან გზას „გადიან“;

♦ აშშ-ის მოსახლეობის მხოლოდ 55%-მა იცის, რომ მზე ვარსკვლავია;

♦ დაკარგული სატელევიზიო პულტების 6%-ს თურმე მაცივარში პოულობენ;

♦ ავსტრიელმა ბიოქიმიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანის ოფლში 373 მფრინავი შენაერთია, რომლებიც ჯამში თითოეული ჩვენთაგანის ინდივიდუალურ სუნს წარმოქმნის;

♦ მსოფლიოში ყველაზე დიდი აეროპორტი ჰარტსფილდი (აშშ) წელიწადში 73 000 000 მგზავრს ემსახურება.

გვერდი მოამზადა **მაკა ლდოკონენმა**